პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8 81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ.-ფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- უმუშევართა ახალი დემონსტრაციები გერმანიაში.
- რუმინეთის მთავრობამ აკრძალა საბჭოთა კინო-ფილმების ჩვენება ბესარაბიაში.
- საბჭოთა ხე-ტყის ექსპორტი იაპონიაში.
- საბჭოთა მთავრობამ მიიღო ზომები ამერიკელი მფრინავების დასახმარებლად.
- საპროტესტო გაფიცვები საფრანგეთში.
- ბელგიაში სდევნიან უცხოელ მუშებს.
- გერმანიაში უმუშევრები მასიურად შედიან კომუნისტურ პარტიაში.
- დიდი მიწისძვრა აზერბეიჯანში.

პარასკევი, 27 დეკემბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 299 (2645)

გაზაფხულის თესვა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

გაზაფხულის თესვის კამპანია მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დასაჩქარებლად. საქ. კ. პ. (ბ) ცეკა თავის დადგენილებაში თესვის კამპანიის ამ მომენტს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ხსენებული დადგენილების თანახმად, განსაზოგადოებული სექტორის სივრცე გაზაფხულის თესვის დროს აყვანილ უნდა იქნას 100.000 ჰექტარამდე, ხოლო კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა პროცენტი 12-მდე მაინც; ამასთან დასახულია ცალკე რაიონები, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა გატარდეს.

გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით სოფლად ფართოდ და სწრაფად იშლება კოლმეურნეობრივი მოძრაობა.

ეს უდიდესი მოძრაობა და მისი კიდევ მეტად დაჩქარების აუცილებლობა ჩვენს წინაშე მთელ რიგ გადაუდებელ და რთულ ამოცანებს აყენებს. ერთი წუთითაც არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან, რომ სოციალისტური სექტორის გაძლიერება სოფლის მეურნეობაში აწყდება კლასობრივი მტრის, კულაკის გააფთრებულ წინააღმდეგობას. კულაკი იბრძვის კოლმეურნეობას არა მარტო ბანდიტური საშუალებებით (ცეცხლის წაკიდება კოლმეურნეობათა ქონებისათვის, ტერორისტული აქტები კოლმეურნეობათა მოძრაობის ინიციატორების წინააღმდეგ და სხვ.), არც მხოლოდ იმით, რომ იგი ცდილობს კოლმეურნეობებს მოსახლეობის თვალში სახელი გაუტეხოს სხვადასხვა პროვოკაციული ხრიკებით. ყოველივე ამასთან ერთად, კულაკი ლამობს თვითონ შეძვრეს კოლმეურნეობაში, გამოიყენოს მისი შეღავათები და შიგნიდან ააფეთქოს ის. ალაგ-ალაგ კულაკი, თუნდაც დროებით, მიზანსაც აღწევს. ირკვევა, რომ ზოგან კულაკები ახერხებენ კოლმეურნეობათა წევრებად გახდომას და მათ ხელმძღვანელ ორგანოებში მოხვედრასაც კი. ლუქსემბურგის (ყოფ. ბორჩალოს მაზრა) კოლექტივის გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ იქ შეპარულა 12 ინდივიდუალური გადასახადით დაბეგრილი და საარჩევნო უფლებას მოკლებული კულაკი. გარდა ამისა, წევრთა უმრავლესობას შეძლებული გლეხები შეადგენენ, ხოლო ღარიბთა პროცენტი ძალიან მცირეა. ეს „კოლექტივი" დაუარსებიათ კულაკებს, რომელნიც, რა თქმა უნდა, საქმეებს ისე ატრიალებდნენ, როგორც მათ მოეპრიანებოდათ. და აქ საგულისხმო ის არის, რომ ყოველივე ამას ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს არა მარტო ყოფილ ბორჩალოს მაზრაში, არამედ სხვაგანაც. აუცილებლად საჭიროა მოკლე დროში მოხდეს კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობის საფუძვლიანი შესწავლა და იქიდან უცხო ელემენტების რკინის ცოცხით გამოგვა.

შემდეგი გარემოება, რომელსაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს—ესაა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა იარაღ-მანქანებით. ჩვენში მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომელნიც თავისი ინვენტარის მხრით, ბევრად არ განირჩევიან ზოგიერთ ინდივიდუალურ მეურნეობებისაგან; მათ არ გააჩნიათ ტექნიკური ბაზა, რომლის გარეშე ლაპარაკიც არ შეიძლება სოფლის მეურნეობის ნამდვილ განსაზოგადოებაზე და მის რეკონსტრუქციაზე. გაზაფხულის თესვის დროს ამ ნაკლის აღმოფხვრა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს. ამ მხრივ საგულისხმოა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების შემდეგი ადგილი: **„გაზაფხულიდან მოეწყოს სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ოთხი სატრაქტორო კოლონა, 25 გასაქირავებელი პუნქტი გამწევი ძალით".**

„შემოტანილი სასოფლო იარაღ-მანქანები უმთავრესად გაიგზავნოს კოლმეურნეობებში, გასაქირავებელ პუნქტებში და ღარიბ და საშუალო—გლეხურ მეურნეობების მიერ კოლექტიურად გამოსაყენებლად". ამ დირექტივის მთლიანად და დაუფერხებლად გატარება მტკიცედ უნდა უზრუნველვყოთ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სატრაქტორო კოლონები უნდა იქცნენ იმ ცენტრებად, რომელთა გარშემო უნდა შემოვკრიბოთ ახლო-მახლო მდებარე რაიონების გლეხური მეურნეობანი მათი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად და მაღალ ტექნიკურ საფუძველზე გარდაქმნის მიზნით. ასეთი ხელს შეუწყობს არსებულ წვრილ კოლმეურნეობათა გაერთიანებას, რომ ამ გზით იქ შესაძლებელი გახდეს რთული მანქანების რაციონალურად გამოყენება.

კოლმეურნეობებისათვის საჭირო ტექნიკურ ბაზის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული აქტივის საშუალებების გამონახვასთან. ამ მიზნით, გარდა სახელმწიფოს და მუშათა ორგანიზაციების მიერ გაღებულ თანხებისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვით მოსახლეობის სახსრების მობილიზაციას. ამა თუ იმ კოლმეურნეობის შეფასების საზომად, თავის თავად ცხადია, არ კმარა სახელმწიფოებრივ დახმარების თუნდაც კოლექტიურად გამოყენება; უმთავრესია თვით კოლექტივის წევრთა მატერიალური მონაწილეობა განსაზოგადოებულ მეურნეობის რეკონსტრუქციაში. ამიტომ როგორც არსებულ, ისე იმ კოლექტივებში, რომლებიც ახლა იქმნება, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა განსაზოგადოებულ, განუყოფელ ფონდების. მათ შორის მიზნობრივი დანიშნულების ფონდების (მაგ., ტრაქტორების შესაძენად) გაფართოებას.

ამასთან ისმება კოლმეურნეობათა ფორმების საკითხი. ჩვენი ძირითადი ამოცანაა შევქმნათ უმაღლესი სახის კოლმეურნეობანი, კომუნები. გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს კი, ცხადია, უმთავრესად აღმოცენდებიან უფრო დაბალი სახის კოლმეურნეობანი (სასოფლო-სამეურნეო არტელები და მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობანი), რომელნიც კომუნებისაკენ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ. კოლექტივიზაციის უმაღლეს ფორმების განვითარებასთან ერთად. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ შედარებით მარტივ საწარმოო გაერთიანებათა მშენებლობას, რომ თანდათანობით მოვამზადოთ ტექნიკური და სუბიექტიური პირობები შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.

ცალკე უნდა აღინიშნოს შრომის ორგანიზაციის საკითხი კოლმეურნეობებში. დღემდე მათ არ გააჩნიათ მტკიცე საწარმოო გეგმები, მუშა ხელი სწორად არ არის განაწილებული, შრომის დისციპლინა სუსტია, კოლექტივის თვითეული წევრი ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს დაკისრებულ მოვალეობის შესრულებისათვის. ჩვენ გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ამ ნაკლულოვანებებს. ამ გზით და გაუმჯობესებულ ტექნიკის გამოყენების საფუძველზე აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი გახდება მოსავლიანობის და პროდუქციის საქონლიანობის საგრძნობლად გადიდება კოლმეურნეობებში. გაზაფხულის თესვის დროს ამ მომენტებს სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ძველ კოლმეურნეობათა ამ მხრივ გაჯანსაღებასთან ერთად, აღნიშნული ნაკლულოვანებანი თავიდანვე ავიცილოთ ახალ კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

ყველა ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა, თავისთავად ცხადია, მოითხოვს მტკიცე ხელმძღვანელებს და კვალიფიციურ ტექნიკურ კადრებს. ისინი სოფელს პირველყოვლისა ქალაქმა უნდა მისცეს. მუშათა კლასმა უნდა იკისროს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზატორის როლი. ეს ასეც ხდება. საქართველოს მუშათა კლასი ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში მუდმივად სამუშაოდ 400 მუშას აგზავნის. გარდა ამისა, სპეციალურად გაზაფხულის კამპანიის ჩასატარებლად ეწყობა მუშათა ბრიგადები, დაახლოებით 450 კაცის შემადგენლობით, რომელნიც სოფლად 2 თვეს დარჩებიან.

ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელება, გლეხობის თვითმოქმედების გაშლის და ადგილობრივი პარტორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის პირობებში, ეჭვს გარეშეა, მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს სოფლის მეურნეობის მასიური კოლექტივიზაციის საქმეში. გაზაფხულის თესვის კამპანიას ამ მხრივ შეიძლება აუცილებლად უნდა მოჰყვეს არსებული მიღწევების განმტკიცება და შემდგომი გარდატეხა ახლანდელ მდგომარეობაში.

მუშათა გამომგონებლობის შემოწმება

მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს წარმოებებში მუშათა გამომგონებლობის შემოწმება. შემოწმება უნდა დამთავრდეს 7—8 იანვარს, რომლის შემდეგ მოწვეული იქნება გამომგონებელ მუშების საქალაქო კონფერენციები (თბილისში, ქუთაისში, ბორჯომში, ბათომში, ფოთში, ჭიათურაში), რესპუბლიკანური თათბირი და იანვრის შუა რიცხვებში მუშა გამომგონებელთა საკავშირო ყრილობა.

გამომგონებლობის შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს გამომგონებლობის საქმის ფართოდ გაშლას და იმ დაბრკოლებათა აღკვეთას, რომელნიც წინ ეღობება მუშა გამომგონებელთა ინიციატივის გაშლას. გამომგონებლობა ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხია. ის ხელს უწყობს ჩვენი მრეწველობის ტექნიკურ პროგრესს. ჩვენი გიგანტური მშენებლობის პირობებში გამომგონებლობას შეუძლია ითამაშოს განსაკუთრებული როლი.

გამომგონებლობის ფართოდ გაშლისათვის ჩვენ უნდა შევქმნათ უაღრესად ხელსაყრელი პირობები. არც ერთი გამოგონება, არც ერთი საქმიანი წინადადება წარმოების გაუმჯობესების დარგში არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა ჩაიხშოს.

თუ რამდენად დიდმნიშვნელოვან საკითხად სთვლის პარტია მუშათა გამომგონებლობას, იქიდან სჩანს, რომ თითქმის არც ერთი დადგენილება, არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი სადირექტივო წერილი, რომელსაც საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძლევა მრეწველობის სხვადასხვა საკითხებზე, უყურადღებოდ არ სტოვებს გამომგონებლობის საქმეს.

გამომგონებლობისადმი ასეთი დიდი ყურადღების მიუხედავად, მუშათა გამომგონებლობის დარგში ჯერ კიდევ დიდია ბიუროკრატიული მიდგომა, კონსერვატიზმი, საქმის დაუფასებელი გაჭიანურება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთ წარმოება-დაწესებულებებში არ ტარდება სათანადოთ მუშათა გამომგონებლობის შესახებ არსებული დირექტივები. ზოგან სრულებით არ იცნობენ ამ დირექტივებს. ყოველივე ამის გამო გამომგონებლობისათვის ფრიად მძიმე პირობები არის შექმნილი. სამეურნეო ორგანოები მუშათა გამომგონებლობას მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მთელ რიგ ფრიად მნიშვნელოვან გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა განხორციელებას აფერხებენ. ეს იმით აიხსნება, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებს, სამეურნეო ორგანოებს დღემდე ვერ შეუგნიათ გამომგონებლობის უდიდესი მნიშვნელობა.

არც პროფესიონალური და პარტიული ორგანოები იჩენენ ამ საქმისადმი სათანადო ყურადღებას. ადგილებზე მათი დახმარება გამომგონებლობისადმი ძლიერ სუსტია. ისინი არ იღებენ საკმაო გადამწყვეტ ზომებს სამეურნეო ორგანოების წინააღმდეგ, რომელნიც გამომგონებლობას ბიუროკრატიულად უდგებიან. ქუთაისის კირის ქარხნის მუშის გამოგონება, (რომელიც 6 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა) დღემდე არაა დაჯილდოვებული, თუმცა 5 თვეზე მეტმა განვლო.

გამომგონებლობისადმი ასეთი მიდგომის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები. მოკლე ხნის განმავლობაში უნდა შევქმნათ უაღრესად ხელსაყრელი პირობები ამ საქმის ფართოდ გაშლისათვის. შემოწმებამ რომელიც ახლა ტარდება, უნდა მოახდინოს ამ დარგში საგრძნობი გარდატეხა.

გამომგონებლობის შემოწმება უნდა გატარდეს ყველგან—ყველა საწარმოში, განურჩევლად იმისა, ჰქონდა თუ არა იქ ადგილი გამოგონებლობას. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ გამომგონებლობაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მარტო ახალი დაზგების და სრულიად ახალი რამის შექმნა, არამედ მუშათა ყოველი საქმიანი წინადადება, რომელიც რაიმე მხრივ აუმჯობესებს წარმოებას.

არავითარ შემთხვევაში გამომგონებლობა არ უნდა გავიგოთ ვიწროთ. არსებითად გამომგონებლობის შემოწმება ნიშნავს ყველა საქმიან წინადადებათა შემოწმებას. ამ თვალსაზრისით თუ მივუდექით საკითხს, მაშინ ყველა ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, გამოუკლებლივ, ვპოვებთ შემოწმების ობიექტებს.

გამომგონებლობის შემოწმებამ უნდა გამოამჟღავნოს მუშათა ყველა ის საქმიანი წინადადებები, რომელნიც აქამდი იხშობდა. შემოწმების დროს ჩვენ უნდა აღვნუსხოთ ყველა ის წინადადებანი, რომელნიც დღემდე არ გატარებულა და მივიღოთ ზომები მათ დაუყოვნებლივ გასატარებლად ცხოვრებაში.

შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს გამოგონებათა განხორციელების გაჭიანურების მიზეზები და დამნაშავეთ სათანადო პასუხი უნდა მოეთხოვოთ. შემოწმების საშუალებით უნდა შევქმნათ პირობები, რათა მუშის ყოველი მისაღები და სასარგებლო გამოგონება დაუყოვნებლივ ხორციელდებოდეს. სამეურნეო დარგში მომუშავეებმა უნდა შეიგნონ, რომ ანგარიშის გაუწევლობა მუშათა გამოგონებისადმი ნიშნავს, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის ხელის შეშლას.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ არა მარტო იმას, რომ მუშათა გამოგონება გატარდეს ცხოვრებაში, არამედ თავის დროზე მიეცეთ ჯილდო გამომგონებლებს. არსებობს გარკვეული დებულებები მუშათა გამოგონებების დაჯილდოებისა და საჭიროა მისი ურყევლად გატარება ცხოვრებაში. იქ, სადაც არ ხდება გამომგონებელთა სათანადო დაჯილდოება, გამომგონებლობა ფეხს ვერ მოიკიდებს. ძალიან ხშირად ჯილდოს რაოდენობა იმაზე ნაკლებია, რაც დებულებით უნდა იყოს. ეს აუცილებლად ახშობს ყოველგვარ შემოქმედებით ინიციატივას. სამეურნეო მუშაკები ხშირად სთვლიან „წაგლეჯვათ", როცა ადგილებზე აყენებენ საკითხს საბჭოთა კავშირში მოქმედ დაჯილდოების დებულების უცვლელად განხორციელებას. სამეურნეო მუშაკთა ასეთ მიდგომას უნდა მოეღოს ბოლო.

ამასთან ერთად უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ დაჯილდოება ხდებოდეს ყველა საქმიან წინადადებების, რომელნიც იძლევიან შედეგათ შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვით ღირებულების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, წუნის შემცირებას, მუშაობის პირობების შემსუბუქებას და სხვ. ბევრგან კი გონიათ, რომ დაჯილდოება უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე ფრიად დიდი მნიშვნელობის ახალი რამ იქნება გამოგონებული. შემოწმების დროს უნდა იქნეს გაშინჯული წარმოებებში არსებულ გამომგონებლობის დამხმარე კომისიების მუშაობა. ეს კომისიები დირექტორების ხელმძღვანელობით მუშაობენ. მაგრამ ბევრგან ისინი არა თუ დახმარებას უწევენ გამომგონებლობის საქმეს, არამედ პირიქით აბრკოლებენ მას. იქ, სადაც ეს კომისიები არ დგანან თავის სიმაღლეზე, მათი შემადგენლობა უნდა შეიცვალოს.

უნდა იქნეს აგრეთვე შემოწმებული, არის თუ არა ყველგან გამოყენებათა და საქმიან წინადადებათა დაჯილდოების ფონდები და ხდება თუ არა მათი სისტემატიური შევსება მუშების წინადადებათა გატარებით მიღებულ ეკონომიიდან.

შემოწმება უნდა იქნეს ყოველმხრივ. შემოწმების პროცესის დროს ჩვენ უნდა ჩავაბათ გამომგონებელთა რიცხვში მუშების საგრძნობი რიცხვი. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს—არც ერთი მუშა არ უნდა დარჩეს გამომგონებლობის საქმის გარეშე. თვითეულმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენი მშენებლობის გიგანტურ ტემპის კიდევ უფრო დაჩქარებისათვის.

ს. ბ.

ხარბინში გაემგზავრნენ საბჭ. კავშირის წარმომადგენლები

მანჯურიაში იზრდება მტრული განწყობილება თეთრგვარდიელების მიმართ

ამხ. სიმანოვსკი დაინიშნა საბჭოთა კავშირის დრ. გენერალურ კონსულად ხარბინში

ცაი იუნ-ჟენი, ლი შაო-გენი, სიმანოვსკი და რუდი ხარბინში წავიდნენ

ხაბაროვსკი, 26 დეკემბერი. ხარბინში წავიდნენ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელი ცაი-იუნ-ჟენი და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზ. გამგეობის წევრი ლი შაო-გენი. იმავე მატარებლით ხარბინში გაემგზავრნენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველი ამხ. რუდი, მისი თანაშემწე ამხ.—დენისოვი და რკინის გზის გამგეობის წევრი ამხ. იზმაილოვი. ამხ. მელნიკოვის დაბრუნებამდე ამხ. სიმანოვსკი შეასრულებს გენერალური კონსულის მოვალეობას ხარბინში. ამხ. მელნიკოვი უკვე გამოემგზავრა მოსკოვიდან. (ადს).

მოელიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა ადმინისტრაციის ჩასვლას

ტოკიო, 25 დეკემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, 24 დეკემბერს დილით ადრე სადგურთან თავი მოიყარა მრავალმა საბჭოთა მოქალაქემ, რომელნიც უცდიდნენ საბჭოთა ადმინისტრაციის ჩასვლას, რათა მისალმებოდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთ. ზამთრის სუსხის მიუხედავად, ხალხი რამდენიმე საათს იდგა სანამ პოლიციამ არ გარეკა ისინი სადგურიდან. (ადს).

თეთრგვარდიელები ცუდ გუნებაზე არიან

ტოკიო, 25 დეკემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ძალიან გამწვავდა ურთიერთობა ჩინელ და თეთრგვარდიელ მოსამსახურეთა შორის. ის გამწვავება უმთავრესად გამოიწვია საბჭოთა და ჩინელ მოსამსახურეთა რიცხვის გათანასწორების მოლოდინმა. ჩინელი საზოგადოებრივობა მეტად მტრულად არის განწყობილი იმ თეთრგვარდიელთა მიმართ, რომელთაც ჩინეთის ქვეშევრდომობა მიიღეს (ადს).

ამხ. სიმანოვსკი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტი ხაბაროვსკში, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩინეთის მთავრობასთან. დაინიშნა საბჭოთა კავშირის დრ. გენერალურ კონსულად ხარბინში.

გაზეთები ხაბაროვსკის შეთანხმების შესახებ

პეკინი, 25 დეკემბერი. პეკინის და ტიან-ძინის გაზეთებში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა ხაბაროვსკის შეთანხმების შესახებ.

იაპონიის მისიის ოფიციოზი „ნორტ ჩაინა სტანდარტ-ი სწერს:

„მრავალი დაინტერესებული მაყურებლის წინაშე ისმის კითხვა—ცდილობდა თუ არა ნანკინის მთავრობა გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან იმით, რომ არ იცნობს დადებულ შეთანხმებას და გამოაცხადებს ცაი იუნ-ჟენმა გადააჭარბა თავის რწმუნებებსო".

გაზეთის სიტყვით, ოქმიდან გამომდინარე ფაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაა (ადს).

იერიშები საბჭოთა სკოლის წინააღმდეგ

ტოკიო, 25 დეკემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის სასწავლო ნაწილის უფროსმა ჩან-გოჩენმა განკარგულება გასცა, რომ საბჭოთა მოქალაქეების შვილების სკოლებში შემოღებულ იქნას ჩინელი მდივნის ახალი თანამდებობა. ეს ბრძანება ეწინააღმდეგება სკოლების შესახებ არსებულ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ საბჭოთა მოქალაქეების შვილების სკოლებში მხოლოდ საბჭოთა მოქალაქენი უნდა მუშაობდნენ (ადს).

რა ზარალი მიაყენეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას

ტოკიო, 25 დეკემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, მხოლოდ ბუხედუს უბანში ჩინელ ჯარისკაცთა ბრბოებმა გაანადგურეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის 200-ათასი მანეთის ქონება. (ადს).

ამხ. კაშენი ააშკარავებს ბურჟუაზიულ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ

საბჭ. კავშირი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაა

პარიზი, 25 დეკემბერი. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა.

კაშენმა განაცხადა, რომ ტენდენციურ და ყალბ მასალებზე აგებულ მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტს შეეხება, აგრეთვე, საფრანგეთის პრესის ცილისწამებით აღსავსე ანტისაბჭოთა კამპანიას უნდა დაუპირისპირდეს კონკრეტული ფაქტები საბჭოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

კაშენი მიუთითებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდეს ზრდაზე და აცხადებს, რომ საბჭოთა ბიუჯეტის რეალური ეკვივალენტი, ფრანკებად აღებული, სჭარბობს 100 მილიარდ ფრანკს (საფრანგეთის 1930 წლის ბიუჯეტი 50 მილიარდ ფრანკამდე აღწევს). კაშენი ხარისხობრივ ანალიზს უკეთებს საბჭოთა ბიუჯეტს და ხაზს უსვამს დაბანდებათა ზრდას სამრეწველო მშენებლობაში, არასაწარმოო ხარჯების შემცირებას და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯების ზრდას ისეთ ფარგლებში, რომელიც უცნობი და წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში. კაშენი მოაგონებს პალატას, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღდგენა ომის წინადროინდელ დონემდე და ხუთწლიანი გეგმის ლიად სამუშაოთა ძლევამოსილი განხორციელება ხუთწლედის პირველ წელს ხდებოდა უცხოეთიდან რაიმე დახმარების მიღების გარეშე.

კაშენი დაწვრილებით ახასიათებს ხუთწლიანი გეგმის სტრუქტურას, მიზნებსა და ტემპებს.

შეეხო რა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხს, კაშენი აღნიშნავს, რომ **1928-29** წელს საბჭოთა მეურნეობების ფართობი სჭარბობდა საფრანგეთის ოთხი უდიდესი დეპარტამენტის ტერიტორიას.

კაშენი ციფრებით ასაბუთებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შეუჩერებელ ზრდას.

მემარჯვენე ბურჟუაზიული დეპუტატი ოტრაზი ეკითხება კაშენს: „მაშ რით აიხსნება მენნონიტების გაქცევა საბჭოთა კავშირიდან"?

კაშენი მიუთითებს, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდის ზეგავლენით საბჭოთა კავშირიდან წასული მენონიტები, ყველანი, კულაკები არიან. ისინი დაჟინებით ეწინააღმდეგებოდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ნაწილი უკვე ნანობს თავის საქციელს და საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე ფიქრობს.

მემარჯვენე ბურჟუაზიული დეპუტატი ემილ ფორი ეკითხება კაშენს: „ნუ თუ საბჭოთა კავშირში სოციალური დაზღვევა ხდება საწარმოების, დაწესებულებების და სახელმწიფოს ხარჯზე და არა მუშათა ხელფასიდან გამორიცხული ანარიცხების ხარჯზე?"

კაშენი ფანტავს დეპუტატის ამ ეჭვს და გადადის საბჭოთა სოციალური პოლიტიკის სხვა მიღწევების დახასიათებაზე. მას მოჰყავს 7 საათის სამუშაო დღის შემოღების გეგმა, მიუთითებს საბჭოთა კავშირში არსებულ სავალდებულო შვებულებებზე ხელფასის შენახვით და სხვ.

კაშენი ხაზს უსვამს, რომ ყველა ამ ფაქტებს და ციფრებს ამახინჯებს ყველა ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა, ან მათ დუმილით უვლიან გვერდს. მაგრამ ზოგჯერ ამ ფაქტებს ადასტურებენ აშკარად მტრული, მაგრამ ერთგვარი ობიექტივობით აღჭურვილი უცხოელი ბურჟუაზიული მეთვალყურეები, რომელთა შორის, თუმცა, ფრანგები არ არიან.

კაშენს მოჰყავს ციტატები ხუთწლიანი გეგმის იმ შეფასებიდან, რომელიც „ბერლინერ ტაგებლატის" ყოფ. მოსკოველ კორესპონდენტს ბეფერს ეკუთვნის და რომელიც აღიარებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების აუცილებლობას; მოჰყავს აგრეთვე გერმანელი, ინგლისელი და ამერიკელი მეთვალყურეების მთელი რიგი მსგავსი უებლიე განცხადებები.

მომხსენებელი ბიუჯეტის საკითხზე ეკითხება კაშენს: განზრახ ხომ არ გამოსტოვა მან ციტატები საფრანგეთის გაზეთებიდან.

ამაზე კაშენი განმეორებით მიუთითებს, რომ საფრანგეთის პრესა დაჟინებით სდუმს ან ამახინჯებს ნამდვილ მდგომარეობას საბჭოთა კავშირში და ამჯობინებს ცილისწამებით სავსე ინფორმაციას. კაშენი აცხადებს, რომ, მიუხედავად ამისა, მას შეუძლია მოიყვანოს ულტრა-მემარჯვენე სოციალისტის, საფრანგეთის კოოპ. კავშირის მდივნის პაუსონის აზრი. (პაუსონმა ორჯერ ინახულა საბჭოთა კავშირი). პაუსონი ლაპარაკობს „საბჭოთა კავშირის ფანტასტიური ეკონომიური მიღწევების შესახებ უკანასკნელ წლებში", „შემოქმედებითი ალტაცებაზე ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად, რომლის შესახებ საფრანგეთში წარმოდგენაც არა აქვთ".

პაუსონი გამოსთქვამს რწმენას, რომ „საბჭოთა კავშირი შესძლებს დაეწიოს და გაუსწროს დასავლეთის სახელმწიფოებს".

კაშენს მოჰყავს პაუსონის სიტყვები, რომლითაც იგი სოციალისტებს მიმართავდა: „სოციალისტებო! იცოდეთ, რომ საკ. კომპარტია შესდგება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტებისაგან", მთავრობა და პრესა, მათ შორის სოციალისტურად, ანტისაბჭოთა ჭორების გავრცელებით სცდილობენ შთააგონონ საფრანგეთის მშრომელთ, რომ შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში, და უკანასკნელის გარშემო მტრულ ატმოსფეროს ჰქმნის.

კაშენი აღნიშნავს, რომ პაუსონი იმავე ანტისაბჭოთა ტენდენციებით ხელმძღვანელობდა, როცა თავისი მოხსენების ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეეხებოდა, დაამთავრა ციტატით ერიოს განცხადებიდან, რომელშიც გამოთქმული იყო იმედი, რომ „დადგება დღე, როცა რუსეთი მოისურვებს გამოსვლას იზოლაციიდან, როცა რუსეთის გლეხი მოისურვებს კონტაქტის განახლებას ევროპასთან და დანარჩენ ქვეყნიერებასთან, როცა რუსეთი თავს დააღწევს კოშმარულ ხანგრძლივ მდგომარეობას და ძველ ადგილს დაიკავებს ევროპის ხალხთა ცხოვრებაში".

კაშენი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს სოციალიზმის მშენებლის როლზე. საბჭოთა კავშირის ხალხები აღფრთოვანებით განაგრძობენ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს (კომუნისტების ტაში), „საბჭოთა კავშირი კი არ განცალკევებულა ევროპისაგან, განცალკევდა იმპერიალისტური ევროპა, რომელიც ინტერვენციის დამარცხების შემდეგ განაგრძობს გარემოცვას, იერიშებს, ბლოკადისა და საბჭოთა კავშირზე ახალი თავდასხმის მზადებას. მთელ ამ კამპანიაში საფრანგეთს საპატიო ადგილი უჭირავს".

ვრცელი საპასუხო სიტყვით გამოვიდა ერიო. (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ენ სი-შანი ძალებს იკრებს

პარიზი, 25 დეკემბერი. როგორც ჰოვენის სააგენტო იუწყება, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ენ სი-შანის ცირკულიარი ნანკინისათვის მხარის დაჭერის შესახებ, ჩრდილოეთის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ისევ განახლდა საომარი მოქმედება.

24 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია ენ სი-შანის მონაწილეობით, კონფერენციამ განიხილა ის საკითხი, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული რეორგანიზაციონისტთა (რომელთაც ვან ტინ-ვეი ხელმძღვანელობს) მოძრაობის ჩასაქრობად. ტაიუანში, სადაც ენ სი-შანი იმყოფება, თავს იყრიან სიშანის ჯგუფის —გომინდანის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის—ლიდერები. (ადს).

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 25 დეკემბერი. ბაზელში (შვეიცარია) ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს ბაზელის კანტონის პარლამენტში, რომ მან მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კანონის დამატება, რომელიც მიმართულია მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ. (ადს).

საბჭ. მთავრობამ მიიღო ზომები

ამერიკელი მფრინავების დასახმარებლად

მოსკოვი, 26 დეკემბერი. როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამხ. ლიტვინოვმა ამერიკის სენატორის ბორასაგან მიიღო დეპეშა. ბორა სთხოვს საბჭოთა მთავრობას—მიიღოს მონაწილეობა ამერიკელი მფრინავების ეილსონის და ბორლენდის ძებნაში. ეს მფრინავები ალიასკიდან გაფრინდნენ და იძულებული გახდნენ დაშვებულიყვნენ ყინულებში ჩარჩენილ გემის „ნანუკ"-ის მახლობლად, 100 მილის მანძილზე საბჭოთა ყინულ-მჭრელის „სტავროპოლ"-იდან. ამისავე შესახებ ვაშინგტონიდან ამხ. ლიტვინოვს დეპეშა გამოუგზავნა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გამგემ სკვირსკიმ, რომელიც იუწყება, რომ **ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს საბჭოთა მთავრობას—მიიღოს სასწრაფო ზომები მფრინავთა მოსაძებნად.**

დეპეშის მიღებისთანავე საკავშირო მთავრობამ განკარგულება გასცა —დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ამერიკელ მფრინავთა აღმოსაჩენად და მათთვის დახმარების მისაწოდებლად. ამასთან დაკავშირებით, არქტიკული კომისია აწყობს ექსპედიციას „საბჭოთა ქვეყნის" ტიპის აეროპლან „ანტ—4"-ზე მფრინავ **შესტაკოვის** მეთაურობით. შესტაკოვის აეროპლანის გარდა, ძებნაში მონაწილეობას მიიღებს ის ორი აეროპლანი, რომლებიც ამჟამად პროვიდენიეში (ზღვის უბეა) იმყოფებიან. დიდი ყინულების გამო, ყინულისმჭრელის მუშაობა შეუძლებელია. ამ ცოტა ხნის წინად ყინულისმჭრელმა „ლიტკე" სცადა მიახლოებოდა „სტავროპოლს", მაგრამ იძულებული გახდა ხელი აეღო ამ ოპერაციაზე. (ადს).

კლასობრივი სასამართლოს განაჩენი

პარიზი, 25 დეკემბერი. სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველი ინსტანციის განაჩენი საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის წევრის ბუტონიეს, კომუნისტის ლაკანის და „ლიუმანიტე"-ს ყოფ. რედაქტორის დენის საქმის გამო. მათ ბრალად ედებოდათ „ლიუმანიტე"-ს იანვრის ნომრებში იმ წერილების გამოქვეყნება, რომლებშიაც შტრეიკბრეხერების როლის შესასრულებლად გამოწვეულ ჯარის კაცებს მოუწოდებდნენ, რომ ისინი დაძმობილებოდნენ ლუარის რაიონის გაფიცულ სამთო-მადნის მუშებს. ბუტონიეს სასამართლომ მიუსაჯა ორი წლის პატიმრობა, ლაკანს—სამი წლის და დენის—ხუთი წლისა. (ადს).

საპროტესტო გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 25 დეკემბერი. ლიონის ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეებმა 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს იმის გამო, რომ მათ ტრამვაის კომპანიამ ხელფასი არ გაუდიდა. გადაწყვეტილია, იანვარში დაწყებულ იქნას ხანგრძლივი გაფიცვა, **თუ კომპანია არ დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებებს**. (ადს).

პარიზი, 25 დეკემბერი. მუნიციპალური მუშების უნიტარული კომიტეტის მოწოდებით, პარიზის მუნიციპალურ საწარმოებში დაიწყო დიდი საპროტესტო მოძრაობა მუნიციპალიტეტის საწარმოთა პოლიტიკის წინააღმდეგ; მუნიციპალიტეტის საწარმოებმა ამას წინად ხელფასი გაუდიდეს უმაღლესი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს, ხოლო მუშებისა და მოსამსახურეების ძირითადი მასებას ხელფასი უცვლელად დასტოვეს. პარიზის საგაზო ქარხნების მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს და ქარხნების წინ საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს. ასეთივე გამოსვლები მოხდა ჟანვილის, იერის და კლიშის საგაზო ქარხნებში. (ადს).

რეფორმისტების მორიგი ღალატი

ბერლინი, 25 დეკემბ. ფაბრიკების მუშათა კავშირის რეფორმისტულმა გამგეობამ დაავალა ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს—გადაჭრით შეებრძოლონ ყოველგვარ მოძრაობას, რომელსაც მიზნად აქვს ხელფასის მომატება იმ საწარმოებში, სადაც სატარიფო შეთანხმება არსებობს. (ადს).

რეპრესიები უცხოელ მუშების წინააღმდეგ

პარიზი, 25 დეკემბერი. ბელგიაში თვალსაჩინოდ გაძლიერდა რეპრესიები რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილე უცხოელი მუშების წინააღმდეგ. ბელგიიდან აუარებელი უცხოელი მუშა გააძევეს. ამავე დროს ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენელნი ყოველნაირად ხელს უწყობენ იტალიელთა და პოლონელთა ფაშისტური ორგანიზაციების მოქმედებას. (ადს).

ბურჟუაზიას „შობა" ჩაუმწარეს

უმუშევართა დემონსტრაციები გერმანიაში

ბერლინი, 25 დეკემბერი. შობის წინ ბერლინის ბურჟუაზიულ უბანში გაიმართა მრავალი ათასი უმუშევრის დემონსტრაცია. დემონსტრაციას წინ მიუძღოდნენ რევოლიუციონერი ბელადები პლაკატებით. პლაკატებზე ასეთი წარწერები იყო: „პური და სამუშაო", „ჩვენ გვინდა ვიცოცხლოთ, რად უნდა დღესასწაულობდნენ მდიდრები, ჩვენ კი დამშეულნი ვიყოთ", და სხვა. დემონსტრანტების რაზმები ბერლინის ყველა მუშური რაიონებიდან მოედნისაკენ მიემართებოდნენ. კომდეპუტატების გერნლეს და გრობისის სიტყვების შემდეგ უმუშევართა უზარმაზარი დემონსტრაცია დაიძრა ბურჟუაზიული რაიონის მთავარი ქუჩისაკენ. დემონსტრატებმა სამჯერ გაარღვიეს პოლიციელთა რკალი და გავიდნენ ბურჟუაზიული უბნის ცენტრში. (ადს)

რენეგატების კრება

პარიზი, 25 დეკემბერი. პარიზის გარეუბანში, კლიშში, მოხდა საფრანგეთის კომპარტიიდან გამორიცხული ჯგუფის კრება. შეგროვდა ასამდე სხვადასხვა ჯურის რენეგატი, დაწყებული ულტრა-მემარჯვენეებით და გათავებული ცრუ-მემარცხენე ტროცკისტული წარმომადგენლებით. კრებას დაესწრნენ აგრეთვე შრომის უნიტარული კონფედერაციის ოპორტუნისტული ოპოზიციის წარმომადგენელნი. კრებაზე გამოცხადდა „სოციალისტ-კომუნისტების" დელეგაცია, აგრეთვე პარტიიდან წინად გამორიცხული ანჟელიკა ბალაბანოვა. კრებაზე გამოირკვა, რომ შეუძლებელია ამ მრავალფეროვანი ჯგუფების ერთი პლატფორმის ირგვლივ გაერთიანება, რის გამოც კრება დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ დაარსა „მუშურ გლეხური პარტია", რომელშიაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ კომპარტიიდან გამორიცხული მუნიციპალური მრჩევლები შედიან.

ბურჟუაზიული გაზეთები თავაზიანად შეხვდნენ ახალი პარტიის დაარსებას. სოციალისტური „პოპიულერ"-ი ეხლავე ეპატიჟება მის წევრებს სოციალისტური პარტიის რიგებისაკენ.

„ლიუმანიტე" აღნიშნავს, რამდენად მართალი იყო კომპარტია, როდესაც გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ყოველგვარ გადახრას ბოლშევიკური ხაზიდან უკლონისტები ბურჟუაზიის ბანაკში მიჰყავსო (ადს).

საბჭოთა ხე-ტყის ექსპორტი იაპონიაში

ტოკიო, 25 დეკემბერი. „დალ-ლესის" წარმომადგენელმა ხელი მოაწერა წინასწარ ხელშეკრულებას სამრეწველო კონცერნთან „მიცუბისი"-სთან, რომელსაც ხე-ტყე უნდა მიაწოდოს მთელი წლის განმავლობაში. დღემდე ფირმა „მიცუბისი" ხე-ტყის მიწოდების ხელშეკრულებას სდებდა „ნიცირო მუკუზა"-ს კომპანიასთან.

გაზეთი „ძი-ძი" ბეჭდავს ამ ცნობას და სწერს:

„საბჭოთა კავშირი სარგებლობს იაპონიის ფირმების კონკურენციით, როგორც ეს „ნიცირო გიოგიო"-ს (იაპონელ თევზის მრეწველთა საზოგადოება) მიმართ მოხდა, და თავის სასარგებლოდ აწყობს საქმეს".

გარდაიცვალა ა. ფურკადი

მოსკოვი, 26 დეკემბერი. გარდაიცვალა პარიზის კომუნის მონაწილე ანრი ფურკადი, რომელიც მოსკოვში სცხოვრობდა (ადს).

სხვადასხვა

— ავსტრიის სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გასცა, რომ სამხედრო აღლუმების დროს სრულდებოდეს არა რესპუბლიკანური, არამედ ძველი მეფის დროინდელი ჰიმნი. (ადს).

— **კინო ცენზურამ ბესარაბიაში აკრძალა** ისეთი ფილმების დემონსტრაცია, რომლებიც საბჭოთა კავშირის ან რევოლიუციის წინა დემონსტრაციის ხელმძღვანელნი დააპატიმ- (ადს).

— **ამ ბოლო დროს კანადაში გახშირდა** უმუშევართა დემონსტრაციები. ვანკუვერში დროინდელი რუსეთის ცხოვრებას ეხებიან. რეს. (ადს).

● **გერმანიის ყველა რაიონებიდან ცნობები** მოვიდა, რომ უმუშევრები მასიურად შედიან კომპარტიაში (ადს).

● **ინგლისის მუშათა პარტიის** იმ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ, რომელიც ლონდონის უნივერსიტეტთან არსებობს, ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც იგი ჰგმობს მთავრობის მოქმედებას და მოითხოვს მირუტის პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ამხ. შლიაპნიკოვი აღიარებს თავის შეცდომებს

მოსკოვი, 26 დეკემბერი. „პრავდა"-ში მოთავსებულია ა. შლიაპნიკოვის წერილი, რომელშიაც იგი ერთხელ კიდევ აღიარებს აშკარად თავის წინანდელ შეცდომებს და ადასტურებს პარტიის ხაზის სრულ სისწორეს.

პროფკავშირების რევოლიუციონური შეჯიბრება

მოსკოვი, 26 დეკემბერი. პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს დამთავრებულ სესიაზე პოლონეთის დელეგაციამ—რევოლიუციონურ შეჯიბრებაში გამოიწვია იტალიის რევოლიუციონური პროფკავშირები, საფრანგეთის დელეგაციამ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რევოლიუციონური პროფმოძრაობა, რუმინეთის დელეგაციამ—სამხრეთ-სლავიის რევოლიუციონური პროფკავშირები, გერმანიის დელეგაციამ—საკავშირო პროფსაბჭო. შეჯიბრების მიზანია მუშაობის საუკეთესოდ წაყვანა და საუკეთესოდ მომზადება პროფინტერნის მე-5 კონგრესისათვის. სესიამ დაადგინა —დაავალოს პროფინტერნის აღმასრულებელს და საკავშირო პროფსაბჭოს, მიაწოდონ ვრცელი ინფორმაცია კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების მუშათა ფართო მასებს ხუთწლიანი გეგმის ჩატარებული მუშაობის მსვლელობის შესახებ. პროფინტერნის სექციებს უნდა განემარტოთ საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით ჩატარების აზრი და მნიშვნელობა. (ადს).

ციმბირის ლიტერატორების ხულიგნური გამოსვლა

მაქსიმ გორკის წინააღმდეგ

მოსკოვი, 26 დეკემბერი. ციმბირის ლიტერატორებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების ნაწილი გამოვიდა მაქსიმ გორკის წინააღმდეგ. ამის გამო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ცენტრალურ კომიტეტს უხეშ შეცდომად და ხულიგნობის მსგავს მოქმედებათ მიაჩნია გორკის გამოსვლების დახასიათება „ნიღაბ აფარებული მტრის მოხერხებულ გამოსვლად", გორკის გამტყუნება იმაში, ვითომ „მის ზურგს უკან ამოფარებულია საბჭოთა ლიტერატურის რეაქციონური ნაწილი", ვითომ გორკი იცავს „პილნიაკოვას" „ყველა მისი მხარეებით, ე. ი. არა მარტო ლიტერატურულ ფრონტზე". „ამგვარი გამოსვლები,—ნათქვამია დადგენილებაში,—ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგებიან პარტიისა და მუშათა კლასის დამოკიდებულებას უდიდესი რევოლიუციონური მწერლის გორკისადმი. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ციმბირის პროლეტკულტის საკ. ს.კ.პ. (ბ) ფრაქციის იმ რეზოლიუციის მიღებაში მონაწილეობისათვის, რომელიც გორკის წინააღმდეგ ხულიგნურ გამოსვლას შეიცავს, მიეთითოს ჟურნალ „ნასტოიაშჩეე"-ს რედაქციას, რომ მან, თავის ჟურნალში მოათავსა ისეთი მასალა, რომელიც შეიცავს დაუშვებელ გალაშქრებას გორკის წინააღმდეგ, **გადაყენებულ იქნას ჟურნალ „ნასტოიაშჩეე"-ს და გაზეთ „სოვეტსკაია სიბირ"-ის რედაქტორობიდან ამხ. კურო და გაწვეულ იქნას იგი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში**. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ციმბირის საოლქო კომიტეტს—გააძლიეროს ხელმძღვანელობა ციმბირის ლიტერატურულ ორგანიზაციების მიმართ; ლიტერატურაში ბურჟუაზიულ ტენდენციებთან გადამწყვეტ ბრძოლასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფილ იქნას „მემარცხენე" გადახრების გამოსწორება ლიტერატურული ორგანიზაციების მოქმედებაში. (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

ხუთდღიან საწარმოო კვირაზე გადასვლის შესახებ

მოსკოვი, 26 დეკემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

სამრეწველო საწარმოები, რომლებიც არ არიან გადასული განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, შეიძლება გადაყვანილ იქნანა ხუთდღიან კვირაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭირო იქნება გაძლიერებული ელექტრო მიწოდების შესანელებლად ან ტრამვაის და რკ. გზის მოძრაობის განსატვირთავად. ეს გადასვლა უნდა მოხდეს საწარმოს მუშათა საზოგადო კრების დადგენილებით და საბჭოთა კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის იმ სახალხო კომისარიატის ან ადგილობრივი აღმასკომის განკარგულების ნებართვით, რომლის გამგებლობაშიც ხუთდღიან კვირაზე გარდამავალი საწარმოო იმყოფება. ნებართვის გაცემა ხდება შრომის და პროფკავშირის ორგანოებთან შეკავშირებით. ხუთდღიან კვირაში

25 დეკემბერს იმუშავეს

ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად

ყაზანი, 25 დეკ. ყაზანის პროლეტარიატმა დიდის აღფრთოვანებით იმუშავა 25 დეკემბერს თათართა რესპუბლიკის კოლექტივიზაციისა და ტრაქტორიზაციის ფონდის სასარგებლოდ. (ადს).

იჟევსკი, 26 დეკემბერი. იჟევსკის საწარმოებმა 25 დეკემბერს იმუშავეს ვოტსკის ოლქის კოლექტივიზაციის ფონდის სასარგებლოდ. (ადს).

სვერდლოვსკი, 26 დეკემბერი. 25 დეკემბერს მუშაობდნენ ოლქის ყველა საწარმონი. მუშაობა თითქმის არავის გაუცდენია, შრომის ნაყოფიერება ჩვეულებრივს აღემატებოდა. ხელფასი გადაეცა ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ფონდს (ადს).

ტულა, 26 დეკემბერი. ინდუსტრიალიზაციის დღეს მუშაობდნენ ყველა ფაბრიკები და ქარხნები (ადს).

ლენინგრადი, 26 დეკემბერი. 25 დეკემბერს მუშაობა ყველა საწარმოებში სწარმოებდა. არ იყო არც ერთი საწარმოები, სადაც კოლექტივიზაციის დღე ჩაშლილიყოს (ადს).

ლუგანსკი, 26 დეკემბერი. 25 დეკემბერს ყველა საწარმო მუშაობდა მთლიანი დატვირთვით. მუშების რიცხვი აღემატებოდა ჩვეულებრივს, ვინაიდან სამუშაოზე გამოცხადდნენ ისინიც, ვისაც დასასვენებელი დღე ჰქონდა. (ადს).

კიევი, 26 დეკემბერი. ინდუსტრიალიზაციის მეორე დღემ დიდი წარმატებით ჩაიარა. სამუშაოზე გამოცხადდა ყველა მუშა-მოსამსახურე. მუშაობა სწარმოებდა დაკვრითი წესით. (ადს).

ოდესა, 25 დეკემბერი. ოდესის ყველა საწარმოები მუშაობდნენ ოლქის მთლიანი კოლექტივიზაციის ფონდისათვის. თითქმის არავინ გამცდარა.

არტემოვსკი, 26 დეკემბერი. ოლქის მშრომელებმა 25 დეკემბერს ჩაატარეს ინდუსტრიალიზაციის მეორე დღე. მაღაროებში მოეწყო ბევრი ახალი დამკვრელი ბრიგადა.

აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი

100.000 ჰექტარზე

მინსკი, 26 დეკემბერი. ბობრუისკის ოლქის დაბა გოროდეცში შემდგარმა კოლმეურნეობების მუშაკთა კონფერენციამ დაადგინა—შექმნას 100,000 ჰექტარზე აგრო ინდუსტრიალური კომბინატი, რომელიც გააერთიანებს 13 სასოფლო საბჭოს მოსახლეობას. კომბინატის მშენებლობისათვის გადაიდება—63 მილ. მანეთი, აქედან 25 მილ. მანეთი — გლეხობის სახსრებიდან. არჩეულ იქნა კომბინატის საბჭო, რომელიც შეუდგა მზადებას მშენებლობისათვის. დაიწყეს მუშაობა სახელოსნოებმა, შეუდგნენ საქონლის, თესლის და სხვ. აღრიცხვას (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ძლიერი მიწისძვრა აზერბეიჯანში

ბაქო, 26 დეკემბერი. 24 დეკემბრის ღამეს მომხდარი მიწისძვრა მოედო მთელ ლენქორანისა და შემახის ოლქებს. ალთი-აღაჩში მიწისძვრის დროს ისმოდა გუგუნი. ხუთი წუთის შემდეგ მიწისძვრა ორჯერ განმეორდა. ზიანი არ მომხდარა. 24 დეკემბრიდან ლენქორანის ოლქის სხვადასხვა ადგილას მიწა ხშირ-ხშირად იძროდა. ბევრ სახლში კედლები დასკდა. ბელიასუვარის დამფრთხალი მოსახლეობა ღამეს ღია ცის ქვეშ ატარებს. (ადს).

ბაქო, 26 დეკემბერი. 25 დეკემბრის ღამეს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა აზერბეიჯანის უბნის სხვადასხვა სადგურზე ძლიერი მიწისძვრა იგრძნეს. მიწისძვრა მოხდა სადგურ დივიჩიდან სადგურ იაშმამდე, 70 კილომეტრის მანძილზე. შუაღამიდან გათენებამდე სადგურები განუწყვეტლივ აცნობებდნენ ბაქოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ზოგიერთ სადგურზე პანიკამ იქამდე მიაღწია, რომ ბაქოდან სასწრაფოდ მოითხოვდნენ მატარებლების გაგზავნას მოსახლეობის ევაკუაციისათვის. მიწისძვრა განსაკუთრებით საგრძნობი იყო სადგურ ზარატზე. იმ დროს, როცა სადგური ბაქოს აცნობებდა პირველი მიწისძვრის ამბავს; განმეორდა მეორე მიწისძვრა, მასთან იმდენად ძლიერი, რომ ბაქოს მოლაპარაკე თანამშრომელი იძულებული გახდა დაეტოვებინა სადგურის შენობა; მან მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, რომ შენობის კედელი გაირღვა და შიგ დარჩენა საშიშარიაო. სადგურზე აუწერელი პანიკა დაიწყო, მცხოვრებნი სახლებიდან გამოცვივდნენ და მთელი ღამე ცის ქვეშ გაატარეს. დიდი ალიაქოთის გამო, სადგურს თითქმის დილამდე არ გაუცია პასუხი ბაქოს გამოხმაურებაზე. შემდგომმა ხშირმა და ზედიზედ მიყოლებულმა მიწისძვრამ გავლენა მოახდინა მატარებლების მოძრაობაზე. მეზობელი სადგურებიდან მიწისძვრის ადგილებში მატარებლები არ მიდიოდნენ. საქონლის ზოგიერთი მატარებლების ბრიგადები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ მატარებლები და გაშლილ მინდორზე გახიზნულიყვნენ. ხუდატსა და კუსარჩაის შორის ერთ-ერთი ბიძგის დროს საქონლის მატარებელი გაწყდა და 8 ვაგონი იქვე დარჩა. ადგილებიდან მიღებული ცნობებით, სადგურ ზარატის გარდა, რამდენიმე სხვა სადგურის კედლებიც გაირღვა. სუსტი მიწისძვრა თვით ბაქოშიც მოხდა. როგორც იუწყებიან, ბაქოს სეისმიურმა სადგურმა აღნიშნა 5 მახლობელი მიწისძვრა, რომელთა კერაც იმყოფება ბაქოს ჩრდილოეთ დასავლეთით, 50—60 კილომეტრის მანძილზე. მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბაქოშიაც კი ნიადაგმა 0,15 მილიმეტრზე გადაიწია. (ადს).

ნავთის შადრევანი

ბაქო, 26 დეკემბერი. ლენინის რაიონის მე-13 სარეწაოზე ახალ ჭაბურღილიდან № 1, რომელიც ამუშავებულ იქნა ერთი კვირის წინათ, 876 მეტრის სიღრმიდან ამოხეთქა ნავთის შადრევანმა, რომელიც დღე-ღამეში 270 ტონა (18.000 ფუთს) ნავთს იძლევა. შადრევანი თანდათან ძლიერდება. (ადს).

განაჩენი

გაუსმანის, შენგელიძის და სხვ. საქმეზე

ქუთაისი, 26 დეკემბერი. დღეს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც გაუსმანი ცნობილია დამნაშავედ უყაირათობაში და ბოროტმოქმედებაში, რისთვისაც მიესაჯა დაპატიმრება 2 წ. და 8 თვით; შენგელიძეს და ნაზაროვს ბოროტმოქმედებისათვის მიესაჯა: პირველს—1 წ. და 8 თვით, მეორეს—1 წ. და 4 თვით; ნიჟარაძეს—3 წლით, ფისანი გამართლებულია. (ადს).

მთავრობის წევრები ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 25 დეკემბერი ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მგალობლიშვილი, მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ჟღენტი, ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. ვაშაძე და სხ. გაეცნენ ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობათა ნაწილს, კერძოდ, სოფ. გეგუთის კოლმეურნეობას.

სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა შარშან აერთიანებდა სულ 15 მეურნეობას, წელს კი ამ სოფელში 800 მეურნეობიდან მოეწყო 3 კოლმეურნეობა, თითო 200 მეურნეობით; მათი საერთო ნათესი ფართობი 2.200 ჰექტარს უდრის. გლეხები დიდის ხალისითა და აღფრთოვანებით ეწერებიან კოლმეურნეობაში. ისინი თვითონვე ამბობენ: სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ერთად-ერთ საშუალებას კოლმეურნეობრივი გაერთიანებანი წარმოადგენსო. კერძოდ, მათ ძალიან ეჩქარებათ კოლექტიურ მეურნეობათა მექანიზაცია, ვინაიდან ახლა ამ მხრით მდგომარეობა სავალალოა. სამსავე კოლმეურნეობას სულ 1 ტრაქტორი აქვს და ისიც უვარგისი.

კოლმეურნეობებში გაუერთიანებელ გლეხთა შორის ძლიერი მისწრაფებაა კოლექტივიზაციისადმი, რადგან ისინი საქმით რწმუნდებიან, რომ მიწის კოლექტიური დამუშავების დროს მატერიალური ეფექტი უფრო დიდია, ვიდრე მეურნეობის ინდივიდუალური გაძღოლის დროს.

კოლმეურნეობათა გარდა, მთავრობის წევრებმა დაათვალიერეს რიონჰესის მშენებლობა და ის ადგილი, სადაც მომავალში 60 ჰექტარ მიწაზე მოეწყობა ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ბოსტნეულს მიაწოდებს ქუთაისსა და მის მეზობელ ქალაქებს.

შემდეგ მთავრობის წევრები სამტრედიაში წავიდნენ ადგილის ამოსარჩევად გიგანტური აგრო-კომბინატისათვის, რომლისთვისაც სრულიად საკავშირო მთავრობამ 40 მილიონი მანეთი გადასდო. (ად).

გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპი

ბაქოს პროლეტარიატი საქართველოს სოფლებში გზავნის 100 საუკეთესო მუშას

ხელი შეუწყოთ სოცშეჯიბრებას ცალკე სოფლებსა, რაიონებსა და ქალაქებს შორის გაზაფხულის კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 200 სტუდენტი მიემგზავრება სოფლად

6.845.000 მან. გაზაფხულის თესვისათვის

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებულ გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის შესამოწმებლად სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი იყო კომისია, რომელმაც განიხილა ზემოხსენებული გეგმა და საჭიროდ დაინახა მასში ზოგიერთი კორექტივების შეტანა.

კომისია შესაძლოდ სცნობს, რომ ბამბის ნათესების სივრცე გადიდებული იქნეს 4.700 ჰექტარით (მიწსახკომის გეგმით კი გათვალისწინებული იყო 3.700 ჰექტარით გადიდება) და ეს გადიდება ჩატარდეს ყოფილ ბორჩალოს მაზრაში. ბამბის ნათესების სივრცის გადიდება მოითხოვს სარწყავი სისტემების შეკეთება-გაუმჯობესებას, რაც დაკავშირებულია ცემენტის დიდ ხარჯთან. ამჟამად ცემენტის შემოზიდვა საქართველოში შეწყვეტილია, რადგან ფიქრობდნენ, რომ კასპის ცემენტის ქარხანა ამუშავდებოდა მარტში და შესძლებდა მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ვინაიდან უკვე გამორკვეულია, რომ კასპის ქარხანა ამუშავდება არა უადრეს ივლისისა, კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ საქართველოს სახ. ვაჭრობის ამხანაგობამ გააძლიეროს ცემენტის შემოზიდვა საქართველოში და ამ მასალით უზრუნველყოს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამუშაოები

კომისია შესაძლოთ სცნობს, რომ თამბაქოს ნათესების სივრცე აფხაზეთში გადიდებული იქნეს 1000 ჰექტარით და აჭარისტანში—100 ჰექტარით.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს დაევალა „ჟირსინდიკატ“-თან შეთანხმებით გამოარკვიოს სოიას ნათესების სივრცის გადიდების ფინანსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

ვინაიდან გამორკვეული არ არის, თუ რამდენად იხეირებს საქართველოში კუნჟუტის კულტურა, კომისიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ ამ კულტურის განსაზღვრულ სივრცეზე დათესვა არ იქნეს გათვალისწინებული გეგმით და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს დაევალოს მოახდინოს ამ კულტურის მოშენების ცდა სხვადასხვა ნიადაგზე.

გეგმით გათვალისწინებული კარტოფილის ნათესების სივრცე კომისიამ ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად. კარტოფილის თესვის გაფართოვების საკითხის დასამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ალ. კაჟარავას, კალანდაძის და ჭურციკაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა წარუდგინოს საქართველოს ეკონომსაბჭოს სათანადო ღონისძიებათა პროექტი.

გაზაფხულის თესვის კამპანიის საკრედიტო გეგმა კომისიამ დაამტკიცა 6.845.000 მანეთის რაოდენობით.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატსა და „სოფლის კავშირს“ წინადადება მიეცათ შეიმუშაონ სათესლე მასალის დამზადების და მუშა-საქონლის შეძენის და ამ მუშა-საქონლისაგან კოლონების მოწყობის გეგმები.

ტექნიკურ კულტ. სივრცე ორჯერ გაიზრდება

საქართველოს კლიმატიური პირობები ფრიად ხელსაყრელია ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის. ჩვენი მრეწველობისათვის ტექნიკური კულტურა დიდ საჭიროებას წარმოადგენს და ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ უკვე დადგა დრო, როდესაც გადაჭრით უნდა ავიღოთ კურსი ამ კულტურის ფართოდ გავრცელებაზე სოფლის მეურნეობაში.

1929 წელს მთელს საქართველოში ტექნიკურ კულტურებს ეკავა 26.840 ჰექტარი მიწა. 1930 წლის საგაზაფხულო კამპანიაში ეს ფართობი უნდა ავიდეს 53.100 ჰექტარამდე, რაც წარსულ წელთან შედარებით მომატებას იძლევა 97,8 პროცენტით.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ტექნიკურ კულტურათა ფართობის ასეთი გადიდება მომავალ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში სავსებით შესაძლებელია: ჩვენ მოგვეპოვება ამისთვის საჭირო თავისუფალი მიწები, რომლებსაც უმთავრესად ვღებულობთ სარწყავ სამუშაოთა გაფართოებისა და მორწყვის საქმის რაციონალიზაციის შედეგად.

ცალკე კულტურათა მიხედვით, ფართობი იყოფა შემდეგნაირად: ბამბა—12 ათასი ჰექტარი, (გადიდებულია 44,6 პროცენტით), თამბაქო—19.700 ჰექტარი (გადიდება უდრის 35,9 პროცენტს), კანაფი—1800 ჰექტარი (გად. 800 პროც.), ჩინური ლობიო—15.000 ჰექტარი (140 პროც.), საშაქრე ჭარხალი—20 ჰექტარი (25 პროც.), მზესუმზირა—300 ჰექტარი (20 პროც.), ეთეროვან-ზეთოვანი მცენარეები—210 ჰექტარი (110 პროც.), რამი—40 ჰექტარი (20 პროც.).

განსაზოგადოებული სექტორის წილად მოდის 9.299 ჰექტარი: საბჭოთა მეურნეობებში—2.270 ჰექტარი და კოლექტიურ მეურნეობებში—7029 ჰექტარი. ამრიგად, ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა განსაზოგადოებულ სექტორში იქნება 17,5 პროცენტი.

რათა ტექნიკურ კულტურათა დამუშავებამ კარგი შედეგები გამოიღოს, ტექნიკურ კულტურათა მთელ ფართობზე გავრცელდება საწარმოო კონტრაქტაცია. ეს უკანასკნელი გაადიდებს ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობას და ღირსებას მით, რომ ხელშეკრულებათა დადების საშუალებით, გლეხურ მეურნეობაში შეიჭრება სამიწადმოქმედო ტექნიკის გაუმჯობესებული წესები.

მებამბეებს ავანსი მიეცემათ სამ ვადაში—ხვნის წინ, თესვის წინ (თესლეულთან ერთად) და ნათესების შემოწმების შემდეგ (ივნისში). ბამბის ყველა მთესველებს უნდა აღმოეჩინოს საწარმოო დახმარება: დახარისხებული თესლეულის მიცემით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების მიწოდებით გამქირავებელი პუნქტებიდან, კოლექტიურ გაერთიანებათა შექმნით, სასუქ ნივთიერებათა მიწოდებით (ზოგიერთ რაიონებში). ამასთან ერთად მებამბეებს მტკიცე ფასებში მიეცემათ პური და სამრეწველო საქონელი. დაკონტრაქტებულ მეურნეობებს ევალებათ გაატარონ მთელი რიგი გაუმჯობესებანი ხვნის საქმეში, სთესონ მწკრივობრივ იქ, სადაც მოიპოვება ბამბის სათესი მანქანების საკმაო რაოდენობა, და სხვა.

კანაფი კახეთის რაიონში დაითესება 1000 ჰექტარზე, ზუგდიდის რაიონში—400 ჰექტარზე, სენაკის—250 ჰექტარზე და ბორჩალოს რაიონში—150 ჰექტარზე. კანაფის მთესველთ აღმოეჩინება საწარმოო დახმარება თესლეულის და აუცილებელი მანქანების მიწოდებით და კანაფის ღეროების დასალბობად კოოპერატიული სალბობის აშენებით. კანაფის მთესველებს აგრონომიულ დახმარებას, გარდა მიწადმოქმედების ორგანოთა აგრონომებისა, აღმოუჩენს აქციონერული საზოგადოება „კანაფის“ აგრონომების შტატი.

აფხაზეთში თამბაქოს ნათესების სივრცე იქნება 16.000 ჰექტარი, ლაგოდეხში—2300 ჰექტარი, სამეგრელოში—800 ჰექტარი და გურიაში—600 ჰექტარი. გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს განზრახულია თამბაქოს რაიონებში გაშენდეს 45 საჩვენებელი ნაკვეთი, მოხდეს 3000 ჰექტარი მიწის დანერგვა, დაურიგდეს მთესველებს 24 ტონა მინერალური სასუქი, გაიხსნას სასოფლო სამეურნეო მანქანებისა და იარაღების 4 გამქირავებელი პუნქტი, გაიხსნას გლეხობისათვის მოკლე ვადიანი კურსები და ჩატარდეს გლეხთა ექსკურსიები სანიმუშო მეურნეობებში.

100 ბაქოელი მუშა საქართველოს სოფლებში

აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, ბაქოს პროლეტარიატი საქართველოში და სომხეთში გზავნის 200 საწარმოო მუშას გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. 200 კაციდან 100 იგზავნება საქართველოში და 100 სომხეთში. საქ. პროფსაბჭო ამჟამად ადგენს გეგმას აღნიშნული მუშების საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გასაგზავნად. ამრიგად, გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სოფლად სულ გაიგზავნება 500 მუშა. აქედან 400 საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებიდან.

მუშათა ბრიგადის წევრები

გერასიმენკო, არუტიუნოვა, ბერიძე, ხარბედია, ჭაბუკიძე, იაგდჯიანცი, ბეინდაროვი, გოჭორიშვილი, პოლოსოვი, და არზუმანოვი (თამბაქოს 1-ლი ქარხანა)

კაზიმოვი, მაჩაიძე, სკვარცოვი, ამირხანოვი, ჩესკი, ბაბკოვი, და აბაჯანოვი (ხის ნაწარმი).

მოხალისე მუშათა ბრიგადა

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ“-ში ჩამოყალიბდა მოხალისე მუშათა ბრიგადა, რომელიც ემზადება სოფლად წასასვლელად გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ბრიგადაში შედიან ამხ. ბ. ჯავახიშვილი, დილმელაშვილი, კურდაშვილი, მჭედლიშვილი, მანჩალოვი, სტეფანოვი, კირაკოზოვი და ლამბაროვი.

200 სტუდენტი სოფელს

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ამხ. ვ. კანდელაკმა გაზაფხულის თესვის კამპანიაში ინსტიტუტის სტუდენტების მონაწილეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

წარსული თესვის კამპანიებში სტუდენტობის მონაწილეობა ძლიერ უმნიშვნელო იყო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი ამ საკითხს არ აქცევდა სერიოზულ ყურადღებას. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი სტუდენტებიც კი გამოუყენებელი რჩებოდნენ.

ამის გამო წარსული გაზაფხულის და შემოდგომის თესვის კამპანიაში მხოლოდ 50 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა უმაღლესი ორგანოებიდან მიიღო დავალება—გამოჰყოს თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად 200 სტუდენტი ნაწილობრივ მესამე, ხოლო უმთავრესად კი მეოთხე კურსიდან. ეს 200 სტუდენტი დაახლოებით განაწილდება 70 ჯგუფად; თვითეულ ჯგუფში შევა ერთი მემინდვრე, ერთი მესაქონლე და ერთი მებაღე. ასეთი სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფების გაგზავნა ამიერ-კავკასიაში პირველად არის გამოყენებული. ასეთმა ცდამ უკრაინაში დადებითი შედეგი გამოიღო.

იანვრის ბოლო რიცხვებისათვის ინსტიტუტის სტუდენტები უკვე გაიგზავნებიან სამუშაოდ ერთი თვის ვადით. სტუდენტებს ეძლევათ კონკრეტული დავალება: ჩაატარონ კურსები აგრორწმუნებულებისა და გლეხური აქტივისათვის იმ ვარაუდით, რომ გაზაფხულის თესვის დაწყებას მსმენელები უკვე მომზადებული შეხვდნენ. სტუდენტობა დიდი სიხარულით ეგებება სოფლად გაგზავნას, ინსტიტუტი ისე შეარჩევს გასაგზავნ სტუდენტებს, რომ სოფლად მოხვდნენ საუკეთესო სტუდენტები როგორც ცოდნით, ისე იდეოლოგიური სიმტკიცით.

მაგრამ იმისათვის, რომ სტუდენტების გაგზავნამ და თესვის კამპანიაში მონაწილეობამ მაქსიმალური ეფექტი მოგვცეს, საჭიროა ახლო დღეებში გადაწყდეს მთელი რიგი საკითხები. პირველ ყოვლისა, მიღებულ უნდა იქნას ზომები პოპულიარული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოსაცემად ქართულ ენაზე საკმაო რაოდენობით.

კურსების წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა თავის დროზე და რაც შეიძლება სრულად გაიგზავნოს ადგილებზე საჭირო ქიმიური ნივთიერებანი, ხოლო გამქირავებელ პუნქტებში—სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, ტრიერები, დამხარისხებლები და სხვა. ეს იარაღები მოტანილი უნდა იქნეს საკურსო მუშაობის ჩატარების პერიოდში, რათა გლეხთა აქტივმა და აგრორწმუნებულებმაც საჭირო ცოდნა მიიღონ პრაქტიკულის გზით და გაზაფხულის თესვის გაჩაღებაზე.

ადგილობრივმა საბჭოებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სტუდენტების მუშაობას, მიაწოდონ მათ მგზავრობისათვის საჭირო საშუალებანი და სხვა.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ინსტიტუტი ყოველივე ღონეს იხმარს იმისათვის, რომ გაზაფხულის თესვას საუკეთესო სამსახური გაუწიოს ინსტიტუტის სტუდენტობის საშუალებით. მეორეს მხრით. ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა უნდა დააჩქარონ იმ აუცილებელი პირობების შექმნა, რომლებიც სტუდენტების მუშაობას მაქსიმალურად ნაყოფიერს და სასარგებლოს გახდიან.

საშეფო საზ-ბა სოფლად გზავნის 4 აგიტ-კოლონას

საშეფო საზოგადოება შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას გაზაფხულის თესვისათვის.

საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა სათანადო გეგმა, რომლის მიხედვით ქალაქად და სოფლად არსებულ კლუბებში გაიმართება მუშათა და გლეხთა დაახლოების საღამოები.

საღამოებზე გაშუქებული იქნება თესვის მნიშვნელობა, კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

თბილისის რაიონული საშეფო საბჭოები შეადგენენ მუშათა ბრიგადებს სოფლებში დასაგზავნად.

იმ მიზნით, რომ მუშათა ბრიგადები სავსებით გაერკვენ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა მნიშვნელობაში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიაში, ახლო ხანში გაიხსნება მუშათა ბრიგადების წევრების მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

სულ სოფლებში გაიგზავნება 40 ბრიგადა. თვითეულ ბრიგადაში შევა მჭედელი, ზეინკალი, დურგალი და სხვ.

ბრიგადები, გარდა იმისა, რომ შეაკეთებენ ღარიბ გლეხთა და კოლექტივების სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, იმავე დროს უხელმძღვანელებენ სოფლებსა და კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებას, კოლექტივებში მოაწყობენ კოლექტივის წევრთა საწარმოო თათბირებს, ითავებენ ახალ კოლექტივების მოწყობას და სხვ.

იმ რაიონებში, სადაც განზრახულია სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია (მაგ. ყარაია, ბორჩალო და სხვ.), გაიგზავნება აგიტკოლონები.

სულ გაიგზავნება 4 კოლონა. თვითეულ კოლონაში მუშების გარდა, შევა ექიმი, აგრონომი და ერთი მბეჭდავი, რომლის საშუალებით ადგილობრივ გამოცემული იქნება სახელდახელო გაზეთი.

გარდა ამისა საშეფო საზ-ბა 5 ადგილას მოაწყობს გლეხთა მოსამზადებელ კურსებს და 12 საჩვენებელ ნაკვეთს.

საშეფო ორგანიზაციების საშუალებით სოფლებში ჩატარებული იქნება კვირაობა კომკავშირის, პარტიულ და პროფორგანიზაციების დახმარებით. კვირაობის დროს წითელ არმიელების ოჯახებს და ქვრივ-ობლებს დაუხნავენ ყანებს.

კოლექტივიზაცია ხონის რაიონში

ქუთაისი, 25 დეკემბერი. ხონის რაიონში ჩამოყალიბებული იყო ორი კოლექტივი, რომელიც აერთიანებდა 21 კომლს. ამ ჟამად საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა 25 სასოფლო-სამეურნეო არტელი. თითო არტელში გაერთიანებულია 40—120 კომლამდე. სულ ხონის რაიონში 7.678 მეურნეთა რიცხვიდან კოლექტივებში გაერთიანებულია 1312 კომლი (17 პროც.). მიწადმოწყობას ატარებს მხოლოდ ერთი მიწის მზომელი. გლეხების ლტოლვა კოლექტივებისაკენ დიდია. საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კოლექტივებში მიწადმოწყობის დაჩქარება და მათთვის იარაღ-მანქანების, სათესლე მასალის და საქონლის შესაძენად საჭირო სესხების დაჩქარებით მიწოდება.

ს. მესხი.

70 წელი ე. ნინოშვილის დაბადებიდან

საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სახელოვანი მწერლის ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) დაბადებიდან 70 წლის თავი იქნა აღნიშნული თბილისში და სხვადასხვა ქალაქებში. აღსანიშნავია გურიის მშრომელ გლეხკაცობის მიერ მოწყობილ საზეიმო მიტინგი — ეგნატეს სამშობლო—სოფელ ჩანჩეთში.

მიტინგზე დასასწრებლად, 24 დეკემბერს, თბილისიდან გაემგზავრა ეგნატეს თანამებრძოლი— საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე—ამხ. ფილიპე მახარაძე, საქართველოს საბჭ. მწერლების ფედერაციის და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელთა თანხლებით. დელეგაციას ლანჩხუთში შეხვდა ოზურგ. სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. არტემ კვირიკაძე, ოზ. პროფბიუროს, ლანჩხუთის რაიაღმასკომის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამხ. ფილიპეს გამოჩენას გურიის მშრომელი გლეხობა, მოწაფეობა და მუშა-მოსამსახურეები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ. სრულ 11 საათზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება, სახალხო ორკესტრით, ამხ. ფილიპეს წინამძღოლობით, ფეხით გაემართა ეგნატეს სოფელ ჩანჩეთისაკენ, რომელიც სადგურ ჯუმათიდან ხუთი ვერსითაა დაშორებული. ხალხს გზადაგზა უერთდებოდა მახლობელი სოფლების გლეხები. გზაში ეგნატეს ახალგაზრდობის მომსწრე ხნიერი გლეხები ამხ. ფილიპეს უამბობდნენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საგულისხმო მომენტებს.

ეგნატე ცრუ-მორწმუნოების წინააღმდეგ

გლეხმა შალვა მახარაძემ, შემდეგი საინტერესო ამბავი მოუთხრო ამხ. ფილიპეს:

„ეგნატეს პატარა დაგეშილი ფინია ძაღლი ჰყავდა. როდესაც ეგნატე სახლში შედიოდა, ძაღლს ან ჯოხს, ან ქუდს დაუტოვებდა, ეგნატეს გამოსვლამდე ძაღლი დარაჯობდა დატოვებულ ნივთს. ერთ დღეს, ეგნატე ეკლესიაზე გამოვიდა (თედორობის კვირა იყო „დიდმარხვა“), მას ფინიაც თან აედევნა. ეგნატე პირდაპირ ეკლესიაში შევიდა. არავითარი ნივთი გარეთ არ დაუტოვებია, ამიტომ ფინიაც თან შეჰყვა. წირვა მიდიოდა, მორწმუნენი და სამღვდელოება შეაშფოთა ამ მოვლენამ, წირვა შესწყვიტეს და ეგნატეს დაუწყეს საყვედურები, თუ რატომ შელახა „წმიდა ეკლესია“. მან აღელვებული მორწმუნეებს და სამღვდელოებას მშვიდათ და სიცილით უპასუხა:

— ეკლესიაში მოქადაგე მატყუარა ხალხზე რით არის უარესი ჩემი ფინიაო.

ეს შემთხვევა აცნობებს მეფის მთავრობის ორგანოებს, მაგრამ ეგნატემ მისთვის ჩვეულებრივი ნებისყოფა გამოიჩინა და არაფრად მიიჩნია მათი „რისხვა“.

ეგნატე დიდ გაჭირვებას განიცდიდა

ეგნატე გაჭირვებით ცხოვრობდა. ის ქალაქიდან სოფელში წერილებს გზავნიდა და დახმარებას ითხოვდა.

—„ეგნატე მოზრდილი ახალგაზრდა იყო,—სთქვა ერთმა გლეხმა, როდესაც მამას წერილი მოსწერა და სთხოვდა დახმარებას. მამა მისიც მეტად გაჭირვებული იყო. ამიტომ ადგილობრივი გლეხები მას უსაყვედურებდნენ:—„ქალაქად წასული შვილი გყავს, გვეგონა ის მოგაწვდიდა დახმარებას, ის კი აქეთ გთხოვს. ასეთი გამოუსადეგი და უსარგებლო შვილი სჯობია სულაც არ გყოლებოდათ“. მაგრამ მალე დარწმუნდა გურიის გლეხობა და მუშები, რომ ეგნატე დიდად გამოსადეგი აღმოჩნდა მთელი მშრომელი ხალხისათვის, დასძინა მოხუცმა გლეხმა. შემდეგ გლეხებმა გაიხსენეს სხვადასხვა საყურადღებო მომენტები ეგნატეს რევოლიუციონურ მოღვაწეობიდან.

12 საათისთვის მივაღწიეთ ეგნატეს საფლავს. ერთ გადასახვევ გზა-ბილიკზე აღმართული იყო მწვანით მორთული გადანასკული ბოძები წარწერით: „ნინოშვილის უბნის შესახვევი“, იქვე გადმოეკიდათ ეგნატეს პატარა სურათი, შორიდან დაგვანახვეს მწვანე ეზო, რომელშიაც იდგა პატარა სახლი, რომელსაც მოუვლელობა ეტყობოდა. პირველის ნახევარზე მივადექით მაღალ გორაკს, სადაც გაშენებულია სკოლა, წიგნთსაცავ-სამკითხველო, ხოლო უფრო ზევით კი ეკლესიის ნანგრევები მოსჩანს.

სამკითხველო გავერანებულია; გლეხობა, როგორც სჩანს, მოელის ვილაცასაგან დახმარებას, შენობას ფანჯრები არა აქვს. სამკითხველოში 8 დეკემბრის გაზეთი—„კომუნისტი“-ა, რომელიც როგორც სჩანს შემთხვევით შემოუტანია ადგილობრივ ნოქარს. ამხ. ფილიპე გააკვირვა ასეთმა დაუდევრობამ. გამოირკვა, რომ ორი ადგილობრივი სოფელი ეჯიბრება ერთი-მეორეს, სოფელი ცაცხვიანი თავისად აცხადებს, ეგნატეს, ჩანჩეთი კი თავისად. ერთ დროს ეგნატეს საფლავს დარაჯებიც კი მიუჩინეს, რადგან ცაცხვიანში მობინადრე გლეხობა ლამობდა ნეშთის გატაცებას.

რამოდენიმე ხნის წინად ჩანჩეთის გლეხობას სკოლისათვის გადაუცია მიწები, რომელზედაც უნდა გაშენებულიყო სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მოსულა აგრონომი ა. შარაშიძე, შეუმოწმებია ადგილები და დაუგეგმავს მიწები. მაგრამ შემდეგ საქმე მიფუჩეჩებულა. დღეს ეგნატეს სოფელი ჩამორჩენილია, გრძელდება ეგნატეს ირგვლივ ქიშპობა და დავა ორ სოფელს შორის.

ეგნატეს საფლავის გარშემო რკინის ღობეა შემოვლებული. ამ დღისთვის საფლავი საგანგებოდ მორთული იყო წითელი დროშებით და მწვანეულობით. ეკლესია დაუნგრევიათ და იმ მასალიდან კულტურული დაწესებულების აგებას აპირებენ. ეგნატეს ხსოვნის აღსანიშნავ დღისათვის საფლავზე სპეციალურად ქაღალდია გადაფენილი წარწერით „აქ განისვენებს მშრომელი ხალხის მესაიდუმლე—ეგნატე ნინოშვილი“.—სასაფლაოზე აუარებელი ხალხი შეიკრიბა, რომელიც მოელოდა ამხ. ფილიპეს გამოჩენას. ორ საათზე მიტინგი გახსნა ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავ-რე ამხ. გიორგი ფაცურიამ. „—დღეს შესრულდა 70 წელი ეგნატე ნინოშვილის დაბადებიდან. ის იყო გლეხის შვილი, მუშებისა და გლეხების გულის მესაიდუმლე, რევოლიუციონერი და მებრძოლი მუშათა კლასის და გლეხობის კეთილდღეობისათვის. ამას ემსახურებოდა ის თავისი ხანმოკლე სიცოცხლეში, ამას ემსახურებოდა მისი კალამი, ის იყო პირველი კომუნარი, მისმა იდეებმა დღეს გაიმარჯვეს და მის საქმეს დღეს ჩვენ, კომუნისტები განვაგრძობთ. —ასე დაასრულა სიტყვა ამხ. ფაცურიამ,

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

—ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ეგნატე. აი დღეს, შენი დაბადებიდან 70 წლის შესრულების დღეს, ჩვენ მოვედით შენს საფლავთან, რომ გადმოგცეთ მუშათა კლასის აღფრთოვანება, შეგატყობინოთ, რომ მშრომელი ხალხი უკვე შეუდგა იმ იდეალების განხორციელებას ,რომელსაც შენ ეტრფოდი და ჩაუყარე მტკიცე საფუძველი.

შენი სიკვდილის შემდეგ 35 წელიწადმა განვლო, ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლასმა სამი დიდი რევოლიუცია გამოიარა და დღეს „შობის“ დღეს, რომელიც საუკუნოებით ცრუ მორწმუნეების დღესასწაულს წარმოადგენდა,—დღეს ეს ცრუმორწმუნეობა ხალხმა დასძლია და შობის დღე—შრომის დღეთ გამოაცხადა,—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით წასაყვანად, ქალაქის და სოფლის სოციალისტურად გარდასაქმნელად. ჩვენ გილოცავთ დღევანდელ დღეს შენ რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყავი, უთუოდ უდიდეს კმაყოფილებას და სიამოვნებას იგრძნობდი, ვინაიდან შენი იდეალი უკვე განხორციელებულია. შემდეგ ამხ. ფილიპემ მიმართა მიტინგს, შემდეგი სიტყვებით: ეგნატე ამ 70 წლის წინეთ დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში, თავისი ცხოვრების პირველი დღეები ამ მიდამოებში გაატარა, დიდი ვაივაგლახის, ქალაქებში ხეტიალისა და ტანჯვის შემდეგი ის დაავადებული ისევ დაუბრუნდა სამშობლო ქოხს, რომ აქ გაეტარებინა თავისი უკანასკნელი დღეები. იმ დროს ეგნატეს უკვე მოხვეჭილი ჰქონდა დიდი სახელი, მას იცნობდა მშრომელი ხალხის ფართო მასები.

მოკლე დროის განმავლობაში ეგნატემ მოიხვეჭა მშრომელი ხალხის უღრმესი პატივისცემა და სიყვარული და ამით მან დაიმსახურა მშრომელთა მტრების სიძულვილი. სიკვდილამდე ორი წლით ადრე, ეგნატე შეგნებული რევოლიუციონერი, ნამდვილი მარქსისტი იყო და იბრძოდა ფარულად, გაბატონებული კლასის წინააღმდეგ.

— ბატონყმობა ჩვენში ფორმალურად, ზევიდან, ბრძანებით გააუქმეს იმის შიშით, რომ აჯანყება არ დაწყებულიყო. გლეხობას აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ეგნატე ნინოშვილიც, როგორც ამ დროის მომსწრე, თავის ნაწარმოებებში გვაძლევს მაშინდელი ცხოვრების სურათს. ხალხი ორ ფენად იყოფოდა—ერთ მხარეზე იდგნენ კაცია მუნჯაძეები, გოგია უიშვილები, სიმონა ძალაძეები და სხვ. მეორე მხარეზე კი—დავით დროიძეები, მოსე მწერლები, ტარიელ მკლავაძეები და სხვა. ისინი ერთმანეთს ებრძვიან. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებში ვხედავთ კლასობრივი ბრძოლის სურათს, ტანჯულ და დამცირებულ გლეხ ქალებს, მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილების ხდებიან უკულტურობის, ბურჟუაზიის თავგასულობის, მღვდლები და ცრუმორწმუნეობის მსხვერპლნი.

ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურმა განვითარებამ წარმოშვა მუშათა კლასი, რომელიც სათავეში ჩაუდგა განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ეგნატე ნინოშვილმა მოასწრო ამ მოძრაობის განვითარების გარიჟრაჟს. მან ჩაუყარა ამ დიდებულ საქმეს საძირკველი, მაგრამ ვერ მოესწრო რევოლიუციის გამარჯვებას. მის დროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (რომელშიაც თითონ მუშაობდა) არ არსებობდა ორი მიმდინარეობა, მაგრამ ის მტკიცე ხასიათი და კლასიურ მტრებთან შეურიგებლობა, რომელიც ახასიათებდა ეგნატეს, მისი ლიტერატურული და პუბლიცისტური შემოქმედება გვაძლევს სრულ საფუძველს ვსთქვათ, რომ ეგნატე ნამდვილი ურყევი ბოლშევიკი იქნებოდა, მას რომ ეცხოვრა ერთხანს.

შემდეგ ამხ. ფილიპე მოკლედ შეჩერდა თუ როგორ გაძლიერდა ეგნატის დაწყებული საქმე. გამარჯვებული კლასი—სთქვა ამხ ფილიპემ, აშენებს ახალ ქვეყანას, ანვითარებს სოციალისტურ მრეწველობას, გადაჰყავს სოფლის მეურნეობა ახალ სოციალისტურ საფუძველზე—კოლექტივიზაციის გზით სოციალიზმისაკენ. კოლმეურნეობების ზრდით, ღარიბ და საშუალო გლეხობის საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ნამდვილად ჰქმნის სოციალისტურ საზოგადოებას. გაუმარჯოს ეგნატე ნინოშვილის იდეალის განხორციელებას, გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, გაუმარჯოს სოციალიზმს. —დაასრულა ამხ. ფილიპემ თავისი სიტყვა.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სრ. საქ. მწერალთა ფედერაციის საბჭოს სახელით ამხ. **არისტო ჭუმბაძემ**, პროლეტარულ მწერალთა სახელით ამხ. **სანდრო ეულმა**, ამ უკანასკნელმა წაიკითხა ეგნატესადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

გარდა ამისა ილაპარაკეს ეგნატეს ბიძაშვილმა **იაჰდარ ინგოროყვამ, მოსე მშვილდაძემ**, ოზურგეთის პროფბიუროდან — **ებრალიძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ ეგნატეს სახელის უკვდავსაყოფად ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი აარსებს ორ სტიპენდიას, პროფბიურო კი ერთ სტიპენდიას ულარიბეს გლეხთა შვილების აღსაზრდელად. სოფ. ჩანჩეთის კომკავშირულ ახალგაზრდობის სახელით ილაპარაკა შალვა მახარაძემ და ილია მოისწრაფეშვილმა, გარდა ამისა სიტყვა სთქვა ნინოშვილის თემის მშრომელი გლეხობის სახელით—**ბართლომე ჩხარტიშვილმა** და ჩოჩხათის გლეხობის სახელით **ჯორბენაძემ**.

დასასრულ ამხ. ფილიპემ საჭირო რჩევა-დარიგება მისცა გლეხებს და თავის მხრივ შეჰპირდა, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს ეგნატეს სახელის უკვდავსაყოფად. ამხ. ფილიპე გლეხობამ ტაშითა და ვაშას ძახილით გამოაცილა, წამოსვლისას ამხ. ფილიპემ დაათვალიერა ის სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ეგნატე.

ჯუმათის სადგურზე ამხ. ფილიპე მოაცილა გლეხობამ. გლეხები დიდათ კმაყოფილი დარჩნენ ეგნატეს საუკეთესო თანამებრძოლის სტუმრობით.

იქაური.

ეგნატეს ხსოვნას

ლექსი წარმოთქმული მიტინგზე მისი პირადი ამხ. ესე მეგრელიძის მიერ

კიდევ მოვედით შენსა საფლავთან.
თავისუფალი და ბედნიერი,—
რომ ჩამოგძახოთ: აღსრულდა ნატვრა
შენი გულიდან ტანჯვით ხაზგერი,
აწ გიხაროდეს აღარ გვინავენ
როზგების ქვეშ უიშვილები,
აღარც სიმონას სტანჯავს დროიძე,
და ქრისტინეებს იასონები.
უნათლოშვილის ქვრივიც გიმადლის
ვერ ატყუებენ მოსე მწერლები.
ყველგან ფრიალებს წითელი დროშა,
ქვეყანას მართვენ მცირიშვილები.
და ამ მართვაში განხორციელდა
შენი ნატვრა და შენი ანდერძი.
საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობას
საფუძვლად უდევს რკინისა ღერძი.
თუ განისვენე კმაყოფილებით,
ჩვენ ბევრი არ გვყავს შენზე ძვირფასი,
კვლავაც შეკრბება შენსა საფლავზე
შენგან გაზრდილი—მესამე დასი.

პარტიული მშენებლობა

ა.-კ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1929—30 წ. სამუშაო გეგმა

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება ა.-კ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის გუმბერაზული გაქანება და მუშათა კლასის აქტივობის დღითი-დღე ზრდა მაქსიმალურ მოქნილობას მოითხოვს სახელმწიფო აპარატისაგან—ამავე დროს კი სახელმწიფო აპარატის მუშაობის ტემპი ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ ჩამორჩება ფართო მასების აქტივობის ზრდას. ჩვენ ისე უნდა გარდავქმნათ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, რომ ამ აპარატს, ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივებთან შეფარდებით, შეეძლოს სწრაფად და მკაფიოდ გაატაროს მის წინაშე დასმული ამოცანები, ხოლო ამ საქმეში დიდ როლს თამაშობენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობა უნდა შეეხოს სახელმწიფო აპარატის ყველა საფეხურებს, ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და კამპანიებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ ცალკე მომენტებს, რომელნიც აფერხებენ სახელმწიფო აპარატის მუშაობას. შვებულებათა არასწორი განაწილება (ყველა ზაფხულის პერიოდში მიდის) ცუდ გავლენას ახდენს ყველა სახელმწიფო დაწესებულების მუშაობაზე. ხშირად, ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელთა შვებულებაში ყოფნის გამო, უმნიშვნელოვანესი გეგმები სდგება უხეში შეცდომებით და დაგვიანებით. შვებულებების გარდა, ჩვენში ძალიან უყვართ მოგზაურობა, ხშირად, საქმიანი მოგზაურობის სახით, სულ უბრალო საქმეზე მიემგზავრებიან. ერთი თვის განმავლობაში მოსკოვი მოიარა 80 ამხანაგმა (სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან, ფინსახკომიდან, ს. მ. უ. საბჭოდან და სხვ.) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან. ამ მივლინებათა უმრავლესობა ზედმეტი იყო. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის აპარატსაც ახასიათებს ჩვენი სახელმწიფო აპარატის დეფექტები. ამ უკანასკნელ დრომდე საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის აპარატს არა ჰქონდა თავისი ერთეულები ოლქებში, რაც თვალსაჩინო გავლენას ახდენდა მისი მუშაობის ტემპზე. ამჟამად ეს საკითხი გადაჭრილია დადებითად. მუშგლეხინის სისტემა უნდა შეეხოს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ყველა საფეხურებს და გააუმჯობესოს მთელი მისი მუშაობა. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის ხარისხი თვალსაჩინოდ დამოკიდებულია მისი ოპერატიული მუშაკების ხარისხზე. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—გადავათვალიეროთ და გავაუმჯობესოთ საბჭოთა აპარატი. ამასთან ერთად ყოველდღიურად უნდა ვმუშაობდეთ საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; უამისოდ ჩვენ ვერ შევსძლებთ ინსტრუქციები მივაწოდოთ მთელს ჩვენს სახელმწიფო აპარატს და მოვახდინოთ მისი რაციონალიზაცია. მუშგლეხინის მუშაკთა კადრების ამოცანასთან ერთად მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას საკითხი მუშგლეხინის მუშაობაში მუშათა ფართო მასების ჩაბმის შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო დაწინაურებულ მუშათა მუშაობას საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებში და აღნიშნა, რომ მუშათა დაწინაურებამ მუშგლეხინის მუშაობაში სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. შემდეგში უფრო გაბედულად უნდა ჩავაბათ წარმოების მუშები საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ხელმძღვანელ მუშაობაში.

დაწინაურებულ მუშათა რიცხვი ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიასა და მუშგლეხინში აყვანილ იქნება 20—25-მდე.

მომხსენებელი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ მიმდინარეობს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, და აღნიშნა, რომ ამ მხრივ დღემდე ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს. მუშგლეხინის კონტროლი თავს იჩენს უმთავრესად იმის შემოწმებაში, თუ როგორ სრულდება დადგენილებები ამა თუ იმ მუშაკის მოხსნის შესახებ, მაშინ როდესაც უმრავლეს შემთხვევებში სუსტად მიმდინარეობს შემოწმება იმ წინადადებათა შესრულებისა, რომლებმაც უნდა გააუმჯობესონ ამა თუ იმ აპარატის მუშაობა. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ძირითადი ამოცანაა სასტიკად ადევნოს თვალყური იმას, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დირექტივები და საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის დადგენილებები ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის შესახებ. ამიერ-კავკასიის ცალკე ორგანიზაციებში (ბაქო, წებელდა, აჭარისტანი და სხვ.) უმსგავსობათა აღმოჩენა მოწმობს, რომ ჩვენს მუშაობაში საჭიროა მოხდეს ერთგვარი გარდატეხა.

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი შეეხო ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის გეგმას 1929—30 წლისათვის და აღნიშნა, რომ მუშგლეხინის მუშაობის უმთავრეს ამოცანას მიმდინარე პერიოდში წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია მისი რაციონალიზაციის, შემცირებისა და გამარტივების მიზნით. თუმცა ეს მუშაობა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ბევრი რამ შესაძლებელია გაკეთდეს და კიდევაც უნდა გაკეთდეს ეხლავე. სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისა და გამარტივების სავარაუდო გეგმები ჩვენ უკვე გვაქვს. ამ გეგმებს ჩვენ ფართოდ გავაშუქებთ პრესაში, პარტკრებებზე და სხვ. ჩვენ ფართო შესაძლებლობები მოგვეპოვება ჩვენი ძვირად ღირებული სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და გაიაფების საქმეში.

შემდეგ ამხ. ნაზარეტიანი შეეხო პარტიისა და საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხს და აღნიშნა, რომ ეს მუშაობა სავსებით ნორმალურად ვერ მიმდინარეობს. საჭიროა შემდეგში მეტ შედეგებს მივაღწიოთ და აღარ გავიმეოროთ ჩადენილი შეცდომები.

ერთ-ერთი დაკვრითი ამოცანა, რომელიც მახლობელ პერიოდში სდგას საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოების წინაშე, არის აქტიური მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში, რომელშიაც მუშგლეხინის ორგანოები უნდა იყვნენ არა მარტო მეთვალყურენი, არამედ აქტიური მონაწილენიც მუშაობის ყველა სტადიაში. განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში უდრის 3,6 პროცენტს, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი მთლიანი კოლექტივიზაციის საქმეში. ამ ბოლო დროს ჩვენშიაც ადგილი აქვს გარდატეხას ამ სფეროში.

მახლობელი პერიოდის მეორე უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა—გაძლიერებულ იქნას დავალიანების აკრეფა საგადასახადო სექტორში. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში საგადასახადო სექტორის ნარჩენები — 3.200.000 მანეთს შეადგენენ. ეს უსათუოდ უნდა მოისპოს. ამ საქმეში მუშგლეხინმა უნდა ჩააბას თვალსაჩინო ძალები, უნდა გამოიყენოს გამოცდილი მუშაკები ნარჩენების ლიკვიდაციისათვის.

ამიერ-კავკასიის სოლქო საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის 1929—30 წლის კალენდარული გეგმა შედგენილია ჩვენი პარტიის ძირითადი გეზისა და დირექტივების აღრიცხვით, როგორც სამრეწველო მშენებლობის, ისე სოფლის მეურნეობის საკითხებში. გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ-კულტურულ მშენებლობას — მშრომელთა სოციალისტური ყოფის შესწავლასა და ორგანიზაციას. უდიდესი ყურადღება ეთმობა მიწოდების ორგანიზაციას. ამ საკითხთან დაკავშირებულია მებამბეობის, მეხორცეობისა და მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების მოწყობის საკითხები. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება მოითხოვს ფართო მასებთან საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის კავშირის მაქსიმალურად გაძლიერებას. ჩვენ იშვიათად გამოვდივართ მასიურ კრებებზე. საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ყოველ წევრს თავის მოვალეობად უნდა მიაჩნდეს მასიურ კრებებზე გამოსვლა. დამკვრელი ბრიგადები—მასების ენტუზიაზმის ეს ახალი თაოსნობა—მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობაში. ამ საქმეში ჩვენ პარტორგანიზაციები და პროფკავშირებიც უნდა დაგვეხმარონ. პროფკავშირებმა უნდა გამოჰყონ ათასამდე დამკვრელი მუშაკი და მუშათა ბრიგადები.

საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თავიანთ მუშაობაში „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფების გამოყენება, უნდა გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა ამ ჯგუფების მიმართ და ამ ჯგუფების საშუალებით თავიანთ მუშაობაში ჩააბან მუშათა ფართო მასები. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს საკონტროლო კომისიის და მუშგლეხინის კავშირი ეკონომთათბირებთან, დროებით საკონტროლო კომისიებთან, საზოგადოებრივი კონტროლის ადგილობრივ ორგანოებთან. იმასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ფინკონტროლი მუშგლეხინის სისტემაში გადადის, საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა ორგანიზაციებმა—დამკვრელმა ბრიგადებმა, „მსუბუქმა კავალერიამ“, ეკონომთათბირებმა, დროებითმა საკონტროლო კომისიებმა—უნდა იკისრონ სახელმწიფო ფინკონტროლის ფუნქციები. მუშათა ორგანიზაციების მიერ ცალკე დაწესებულებებზე შეფობის აღების ცდამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. საჭიროა მაქსიმალურად გაფართოვდეს ეს გამოცდილება და ფაბრიკა-ქარხნების შეფობა გავრცელდეს დაწესებულებებზე. მუშგლეხინის მუშაობაში, მუშების ჩაბმასთან ერთად, პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ პარტიის წევრების ჩაბმა საკონტროლო კომისიების მუშაობაში. პარტიის წევრები უნდა გამოვიყენოთ საკონტროლო კომისიების ყოველდღიურ მუშაობაში, ამა თუ იმ საქმეების გარჩევაში, მივანდოთ მათ საქმეების გამოძიება და სხვ. ამ მხრივ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიის წესდების ის მუხლი, რომელიც ეხება პარტიის ცალკე წევრების ჩაბმას საკონტროლო კომისიების მუშაობაში. ეს საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ბევრი ნიჭიერი მუშაკი. გარდა ამისა, საკონტროლო კომისიების ცალკე წევრები უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა საკითხების დასამუშავებლად.

დასასრულ, ამხ. ნაზარეტიანი შეეხო საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის ორგანოების მიერ მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოყენების საკითხს და აღნიშნა, რომ აქაც უნდა მოხდეს გარდატეხა იმ მიზნით, რომ ეს ორგანიზაციები აქტიურად ჩაებან მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში. (ადს).

ვინ აფერხებს მუშათა დაწინაურების საქმეს

პარტიის წინაშე მდგომ გრანდიოზულ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს საბჭოთა და სამეურნეო აპარატის სწორ და შეუფერხებელ მუშაობას. სწორედ ამიტომ ჩვენს დღის წესრიგში გადაუდებელ საკითხად დაისვა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება, მისი გაწმენდა კლასობრივად უცხო და ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან. საბჭოთა აპარატის გაწმენდა იმდენად ძნელი საქმე არ არის, რამდენად ძნელია მისი შევსება ახალი მუშაკებით, ახალი, სოციალურად მისაღებ და საკმაოდ კვალიფიციური კადრებით, რომლებიც ნამდვილად გაატარებენ პარტიის ხაზს და საბოლოოდ აღმოფხვრიან ბიუროკრატიზმის სენს პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანოებში.

მუშათა დაწინაურების ამოცანა პარტიამ დიდი ხანია წამოაყენა. საბჭოთა ორგანოების გამუშურების გზით პარტია სცდილობს შექმნას მოქნილი, გრძნობიერი საბჭოთა აპარატი, დაუახლოოს ეს უკანასკნელი მასების მოთხოვნილებებს და შეუფარდოს იგი სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ამოცანების გადაჭრას.

რა მდგომარეობაშია მუშათა დაწინაურება ამჟამად?

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ა. წ. ნოემბერში გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „სახელმწიფო და სამეცნიერო ორგანოების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირების მონაწილეობითა და სათანადო პარტიულ ორგანოების ხელმძღვანელობით, ჩაატარონ იმ საპასუხისმგებლო თანამდებობათა აღრიცხვა, რომლებიც შეიძლება დაკავებულ იქნას დაწინაურებულ წარმოების მუშების მიერ. ასეთ თანამდებობათა განსაზღვრას პრინციპათ უნდა დაედოს ყველა უვარგის, ბიუროკრატიულ და პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტების მუშებით შეცვლა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში“.

ამ დირექტივის განხორციელება უშუალოდ დაწესებულებისა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს ეკისრებოდათ. მაგრამ, თუ როგორ შეასრულეს მათ ეს საპასუხისმგებლო დავალება, ამაზე პასუხს გვაძლევს „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფების მასალა, რომლებმაც ამ დღეებში შეამოწმეს ზოგიერთ დაწესებულების მიერ ცეკას ხსენებული დირექტივის ცხოვრებაში გატარება.

სადირექტივო წერილი უქრავათ იდო

იუსტიციის სახ. კომისარიატის აპარატის გაჯანსაღების შესახებ ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა, პრაქტიკულად კი დღემდე ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა. ან კი რა უნდა გაკეთებულიყო, როდესაც კომისარიატის ხელმძღვანელები ბევრად თავს არ იცხელებენ ცეკას დირექტივის შესასრულებლად. „მივედით ამხ. დარახველიძესთან—სწერს „მსუბუქი კავალერისტი“.—და მოვსთხოვეთ მას ცნობები ცეკას ნოემბრის დირექტივის შესრულების შესახებ. ამხ. დარახველიძემ არ ისურვა ჩვენთან ლაპარაკი, დაუძახა დამლაგებელ ქალს და გაგვგზავნა მისი საშუალებით საერთო განყოფილების გამგესთან: „ყველა ცნობები იმას აქვსო“. საერთო განყოფილების გამგე ვერ ვნახეთ. იძულებული შევიქენით ისევ დარახველიძისათვის შეგვემართა. მან ეხლა გაგვგზავნა საარიცხვო განყოფილების გამგესთან, რომელმაც განაცხადა, რომ მათ არავითარი ცეკას დირექტივა არ მიუღიათ. დავბრუნდით ისევ ამხ. დარახველიძესთან. დიდი ძებნის შემდეგ იპოვეთ ცეკას დირექტივა. ეს ცირკულიარი მიუღიათ 23 ნოემბერს, ხოლო ამხ. ტალახაძეს წაუკითხავს და ზედ რეზოლიუცია წაუწერია 14 დეკემბერს. ამხ. დარახველიძემ კი ცირკულიარი მხოლოდ მაშინ ნახა პირველად და ჩვენს თვალწინ წაიკითხა. არც ამის შემდეგ ისურვა მან ჩვენთან ამ საკითხის გარჩევა: 24 დეკემბერს, მოდით, მაშინ მოგცემთ დაწვრილებით ცნობებსო“.

24 დეკემბერს „მსუბუქი კავალერისტები“ ამხ. დარახველიძეს აღარ ეწვიენ და კარგადაც მოიქცნენ: დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც ისეთი ტემპით მუშაობს, რომ პარტიის უმნიშვნელოვანეს დირექტივას მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, ისიც მსუბუქი კავალერიის თავდასხმის გამო, ეცნობა, 5 დღის განმავლობაში კი არა 5 თვესაც ბევრს ვერაფერს გააკეთებს. ამას მჭევრმეტყველურად ამტკიცებს იუსტიციის სახ. კომისარიატში მუშების დაწინაურების საქმის მდგომარეობაც.

„სახკინმრეწვის“ თანამდებობები

ბევრი ეხვეწა „მსუბუქი კავალერისტი“ სახკინმრეწვის დარაჯს: „ამხ. ამირალოვთან შესვლის ნებართვა მომეციო“, მაგრამ უშედეგოდ—ამხ. ამირალოვი 3 საათამდე არავის ღებულობს. „კავალერისტმა“ უნებართვოდ მოახერხა „სახკინმრეწვის“ „ჩინური კედლის“ გადალახვა და ამხ. ამირალოვის კაბინეტში შესვლა, მაგრამ, თუ რით დაგვირგვინდა მისი „თავდასხმა“, ამის შესახებ თვით „კავალერისტს“ მოუსმინოთ: „ამხ. ამირალოვს აუხსენი ვინც ვიყავი და ვსთხოვე ჩემს კითხვებზე პასუხი მოეცა. მან უარი მითხრა და მანდატი მომთხოვა: „თუ მანდატი არა გაქვს პასუხს ვერ მოგცემო“. მანდატი მე არ მქონდა, მაგრამ მაინც ვკითხე რა ზომები მიიღეთ ცეკას ცირკულიარის შესასრულებლათ. მან მიპასუხა, რომ ჩვენ ამის შესახებ უკვე გადაუგზავნეთ ცნობა ცენტრალურ კომიტეტში და იმაზე საპასუხისმგებლო ადგილები, რაც ცეკაში გავგზავნეთ არა გვაქვსო“.

იმედ გაცრუებული „კავალერისტი“ წამოვიდა, „აღიჭურვა“ მანდატით და მეორე დღეს „უფრო დაწვრილებით ცნობების მისაღებათ“ მიადგა „სახკინმრეწვის“ კარებს, მაგრამ ეხლა მას არც მანდატმა უშველა: იგი ამხ. ამირალოვთან არ გაატარეს.

დავინტერესდით: რომელი საპასუხისმგებლო ადგილები შეარჩია ამხ. ამირალოვმა დაწინაურებულთათვის? ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩვენ გადავათვალიერეთ ამხ. ამირალოვის მიერ „ცეკაში გაგზავნილი ცნობა“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სახკინმრეწვში დაწინაურებულებს შეუძლიათ დაიკავონ: კომენდანტის, სამნეო ნაწილის გამგის და რეჟისორის თანაშემწის ადგილები. ეს „საპასუხისმგებლო“ თანამდებობები გაიმეტა ამხ. ამირალოვმა დაწინაურებული მუშებისათვის და ამით ფიქრობს ის გააჯანსაღოს „სახკინმრეწვის“ აპარატი, რომელშიაც ამ ორგანიზაციის დაარსებიდანვე მაგრად მოიკალათეს გაკოტრებულმა თავად-აზნაურობამ და ყველა სხვა ჯურის ყოფილმა ადამიანებმა.

როგორ აწინაურებენ ფინსახკომში

საქართველოს ფინსახკომის ცენტრალურ აპარატში მხოლოდ ერთი დაწინაურებულია. დაწინაურებულთათვის შერჩეულ თერთმეტი ადგილიდან დაკავებულია მხოლოდ ორი. უნდა ითქვას, რომ დაწინაურება ფინსახკომში რაღაც თავისებურ ხასიათს ატარებს. ცეკას დირექტივაში გარკვევითაა ნათქვამი: მუშები უნდა დაწინაურებულ იქნენ საპასუხისმგებლო ადგილებზე, ფინსახკომში კი საპასუხისმგებლო ადმინისტრატიული თანამდებობა არც ერთ დაწინაურებულს არ უჭირავს.

„მსუბუქმა კავალერისტებმა“ შენიშნეს ეს გარემოება და დაუსახელეს ადმინისტრაციას საპასუხისმგებლო თანამდებობანი, რომლებზედაც შეიძლება მუშების წამოყენება. ადმინისტრაციამ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ იქ სპეციალისტებია საჭირო, მუშათა ბრიგადაში კი არ მოიპოვებიან ასეთები.

ასე და ამრიგად, ფინსახკომის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან იმ ურწმუნოებიდან, რომელსაც იჩენდნენ და დღემდე იჩენენ საბჭოთა აპარატში ჩამსხდარი ბიუროკრატები დაწინაურებულებისადმი: „მუშას სადა აქვს იმდენი ცოდნა, რომ ფინანსიური მეცნიერება დასძლიოს“—ფიქრობენ ფინსახკომელები და თავგამოდებით იცავენ თავიანთ „სპეციალისტებს“.

ამხ. კალატოზოვის აზრი

სას.-სამ. ბანკის აპარატში მუშების დაწინაურება შეიძლება მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარის და მისი მოადგილის თანამდებობაზე. „სხვა ადგილები დაწინაურებული მუშებისათვის სას.-სამ. ბანკში არ არის, თუ დაწინაურებული ამხანაგები წინასწარ არ მოემზადებიან ფინანსიურ კურსებზეო“—არწმუნებდა ამხ. კალატოზოვი „მსუბუქ კავალერისტებს“. ამ უკანასკნელებისა და ჩვენი აზრი კი არის: ამხ. კალატოზოვო, თქვენს ბანკზე ალბად მიმაგრებულია მუშათა ბრიგადა, დააწინაურეთ იქიდან ახალი მუშაკები და შემდეგშიაც ნუ დაივიწყებთ მათი გადამზადების საქმეს. თქვენი პასუხი კი გვაეჭვებს: ჩვენ ის უბრალო „ოტპისკა“ გვგონია და მეტი არაფერი.

არავითარი ახსნა-განმარტება—ასეთია ამხ. პევცოვის პასუხი

„მსუბუქი კავალერია“ ეწვია ს.მ.უ.ს. თავმჯდომარეს ამხ. პევცოვს და მოსთხოვა მას ახსნა-განმარტება ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შესრულების საკითხზე. ამხ. პევცოვმა ახედ-დახედა დაუპატიჟებელ სტუმრებს და მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ კატეგორიული უარი განაცხადა რაიმე განმარტების მიცემაზე.

ჩვენთვის საეჭვო არ არის, რომ ს.მ.უ. საბჭოში ცეკას ამ დირექტივის შესასრულებლად არაფერი გაკეთებულა. ამხ. პევცოვის მოქმედება კი ნათლად ამტკიცებს როგორც ამ აზრს, ისე იმასაც, რომ ეს პასუხისმგებელი ამხანაგი მეტად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მუშათა დაწინაურების საკითხს.

„მსუბუქმა კავალერიამ“ ვერ მიიღო ახსნა-განმარტება ვერც მარგანეცის ტრესტში, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზით: ტრესტში კავალერიის თავდასხმის დროს არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი არ აღმოჩნდა.

ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, რომ დაწესებულებების ხელმძღვანელთა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ მუშათა დაწინაურება მიმდინარე პერიოდის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ბევრმა პასუხისმგებელმა მუშაკმა კიდევ ვერ დასძლია უნდობლობა დაწინაურებულ მუშების უნარისა და შესაძლებლობისადმი, ბევრგან კი სადირექტივო ორგანოების თვალის ასახვევად აწინაურებენ მუშებს, მაგრამ საპასუხისმგებლო ადგილებზე კი არა, გამგეების მოადგილეებათ, კომენდანტებათ.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა მუშების საპასუხისმგებლო-ადმინისტრატიულ თანამდებობაზე დაწინაურების შესახებ, გადაუხვევლად შესრულდეს. დროა დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა იგრძნონ, რომ ისინი ნამდვილად პასუხისმგებელნი არიან ამ საქმეში.

კანდიდ.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება
შაბათს, 28 დეკემბერს, დილის სრულ 9 საათზე პროფმუშაკის კაბინეტში
(შე-ავალი ჯორჯიაშვილის ქუჩიდან)
იწვევს
კავშირების ცენტრალურ გამგეობათა კულტგანყოფილებების გამგეთა, კლუბების გამგეობების თავმჯდომარეთა, კლუბების ინსტრუქტორთა, ახალგაზრდათა სექციების თავმჯდომარეთა, კულტკომისიების განთავისუფლებულ მუშაკთა და საბიბლიოთეკო მუშაკთა
თათბირს
თათბირზე მოწვეულნი არიან ყველა გაზეთების რედაქციები და ინჟენერ-ტექნიკოსთა ბიუროები.
თათბირის დღის წესრიგშია საკითხი:
„გამომგონებლობის დათვალიერების შესახებ“ დაუგვიანებლივ გამოცხადება სავალდებულოა
2—1 ნ. 3613. საქ. პროფ საბჭოს კულტგანყოფილება.

28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მელითონეთა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია
საშეფო საზოგადოების თბ. საბჭოს მე-3 პლენუმი
საშეფო საზოგადოების რაიონულ საბჭოებთან, უჯრედების ბიუროებთან, რწმუნებულებთან და სექციების ბიუროებთან ერთად.
დღის წესრიგი:
1. საშეფო საზოგადოების მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო-სამ. კამპანიაში.
2. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადება თბილის-როსტოვს შორის.
3. საორგანიზაციო საკითხები.

ნ. 3 07. საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს სამდივნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის გარდაცვალების გამო

ძვირფას მასწავლებლის ხსოვნას

წავიდა ჩვენი რიგებიდან რევოლიუციის ვეტერანი, მტკიცე ბოლშევიკი, რომელიც მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში შეუდრეკელად იდგა პროლეტარული რევოლიუციის სადარაჯოზე.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილს იცნობდა თბილისის ყოველი მუშა, ყოველი ხელოსანი, განსაკუთრებით კარგად იცნობენ ხეზე მომუშავე ხელოსნები.

მიხა ჩოდრიშვილის ოჯახი, მისი ძმები, ძმისშვილები, თითქმის მთელი გვარეულობა ჩაბმული იყო რევოლიუციის ფერხულში. სანდრო, ვანო და განსაკუთრებით ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი—ეს საუკეთესო რევოლიუციონერები, რომელნიც მიხასთან ერთად აკეთებდნენ მომავლის დიად საქმეს.

მე ვიყავი მიხას შეგირდი. მან შემასწავლა ხელობა და მასთან ერთად—რევოლიუციის პირველი ანბანიც. ეს იყო 1901 წელში.

მახსოვს ხშირად ვკითხავდით: ოსტატო რათ აგროვებ ამ ფულსთქო (მაშინ თითო აბაზი იყო საწევრო გადასახადი), მიხა გვიპასუხებდა: რუსეთიდან ერთი კაცი მოვიდა და ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ ქალაქში ერთი ხელოსანიც უსწავლელი არ უნდა დარჩესო. ასეთი პასუხის შემდეგ ჩვენც სიამოვნებით ვიხდიდით საწ. გადასახადს. რამდენიმე ხნის შემდეგ მიხამ გახსნა პლეხანოვის პროსპექტზე (მიხეილის შესახვევი) სახელოსნო, რომელიც რევოლიუციონერთა ბუდე იყო, ვიდრე სახელოსნო. მე მახსოვს ერთხელ ამხ. **სოსო ჯუღაშვილი** (მაშინ „კობათ" წოდებული) მოვიდა მიხასთან, ის ბაქოდან ჩამოსულიყო. მიხასა და სოსოს შორის გაიმართა საუბარი ხელოსანთა შორის რევოლიუციონურ მუშაობაზე, მუშათა მოძრაობის ზრდაზე მთელ რუსეთში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში. არ გათავებულიყო სოსოს და მიხას შორის საუბარი, რომ გვაცნობეს, ჟანდარმებმა გაიგეს სოსოს ჩამოსვლა და შენობას ალყა შემოარტყესო. ალბათ, ვინმემ გაგვცა, და ჩვენც უკანა კარებიდან მოგვიხდა გაპარვა და თავის შველა.

1910 წელში, როდესაც მე და ზაქრო ჩოდრიშვილი საკატორღოთ გაგვამზადეს, მიხამ, რომელიც მაშინ ორთაჭალის ციხეში იყო, გამომშვიდობებისას კითხრა: „შვილო, გაგზარდე, ხელობა გასწავლე, რევოლიუციის ფერხულში ჩაგაბი და იმედია სულით არ დაეცემი, დღეს თუ ხვალ იფეთქებს რევოლიუცია და შენ მაშინ თავისუფლად ამოისუნთქავ. რევოლიუციონერები პირადი ინტერესებით არ არიან გამსჭვალულნი, ისინი მშრომელი ხალხის მომავალ ბედნიერების შექმნისათვის იბრძვიანო".

მე და ზაქრო ჩოდრიშვილმა მოსკოვამდე და შემდეგ იაროსლავის ციხემდე ერთად ვიმგზავრეთ, ზაქრო გადაგზავნეს სარატოვის საკატორღო ციხეში, სადაც გარდაიცვალა, მე კი გამგზავნეს ნერჩინსკის მაღაროებში.

მიხაზე ზაქროს სიკვდილმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, „ახ ჩემო მარჯვენა ხელო, ზაქარ-ჯანო"—ხშირად ამოიოხრებდა ხოლმე მიხა.

მიხას წარსულიდან კიდევ ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ მათ ჩამოსათვლელად ეხლა კალამს ვერ ვიმორჩილებ.

მშვიდობით ამხ. მიხა, შენი ამაგი და შეუდრეკელი მუშაობის ნაყოფი შენვე ხომ ხედე. დიახ, შენი დაწყებული საქმე განაგრძოს მომავალ თაობამ. შენი სახელი, როგორც ძველი ბოლშევიკის, ძველი მებრძოლის დაუვიწყარი იქნება მუშათა გულში.

მშვიდობით დიდო რევოლიუციონერო, საყვარელო ოსტატო მიხა.

გიორგი ზუბაშვილი.



ამხ. მ. ჩოდრიშვილის სურათი. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს არქივიდან

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

ეს ის დრო იყო, როდესაც ამხ. მიხა თავს უყრიდა და აკავშირებდა მუშა-დურგლებს და ქმნიდა ორგანიზაციას. ამ ხნიდან ამხ. მიხა ჩაება მედგარ და შეუპოვარ ბრძოლაში.

ამ ბრძოლას ამხ. მიხა აწარმოებდა გატაცებით და შეუდრეკელად, მთელი თავის ძალას და ენერგიას ანდომებდა ის პოლიტიკურ მუშაობას, ათვითცნობიერებდა მუშებს, იძენდა და ავრცელებდა მათ შორის წიგნებს.

ამხ. მიხას იცნობდა ყველა შეგნებული მუშა და მას უზიარებდენ თავის ჭირ - ვარამს.

ამხ. მიხას ირგვლივ თავს იყრიდა მოწინავე მუშები. ამხ. მიხა იყო მათთვის გზის მაჩვენებელი, აგიტატორი და პროპაგანდისტი.

ამხ. მიხა ასწავლიდა მუშებს, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლება თავისუფლების მოპოვება, რომ მუშების განთავისუფლება მუშის საქმეა.

პლეხანოვის ქუჩის კუთხეში ერთ პატარა ქარხანაში თავს ვიყრიდით მრავალი რკინისგზელი მუშები. ამხ. მიხა იყო სული და გული ასეთ კრებების.

ერთხელ, 1900 წელში, ერთ-ერთ კრების დროს მოგვისწრო ჟანდარმმა ლავროვმა. მე ეს შევატყობინე ამხ. მიხას. მან დამშვიდებით მითხრა: რისი გეშინიათ, ასეთი არამზადა აქ დღეში ათასი გაივლის და თუ ყველასი შეგვეშინდება, ჩვენ საქმეს ვერ გავაკეთებთო.

ამხ. მიხა ნამდვილი მებრძოლი იყო და გმირულად აწარმოებდა შეუპოვარ ბრძოლას.

ამ ბრძოლაში ამხ. მიხას გვერდით უდგა მისი მეუღლე ამხ. მელანია.

ამ დიდი მებრძოლის მიერ განვლილი გზა, მისი დაუღალავი და შეუპოვარი ბრძოლა დაუვიწყარია. ამას არც დაივიწყებს მომავალი თაობა.

მშვიდობით ამხ. მიხა!

შენი თავგანწირული რევოლიუციონური ბრძოლა წარუშლელია მუშების გულში.

გიორგი რთველაძე.

ამხ. ჩოდრიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს სარეწაო კავშირის გამგეობამ დეკემბრის 25-ის სხდომაზე, მიიღო რა ცნობა ძველი დამსახურებული რევოლიუციონერის, თვითმშრომელთა საზოგადოების უაქტიურესი ორგანიზატორის ამხ. მიხა ჩოდრიშვილის გარდაცვალების შესახებ დაადგინა:

1) საქართველოს სარეწაო კოოპერაციის თბილისის კლუბს ამიერიდან ეწოდოს ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელი.

2) გვირგვინების ნაცვლად შექმნილ იქნას სათანადო ფონდი და დაინიშნოს ერთი მუდმივი სტიპენდია თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტთან ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელზე. სტიპენდია მიეცემა ღარიბ შინამრეწველის შვილებს.

3) სათანადო მოწოდება დაეგზავნოს კავშირის სისტემის ყველა არტელებს და ამხანაგობებს, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამხ. ჩოდრიშვილის დაკრძალვაში.

* ამხ. ჩოდრიშვილის დამკრძალავმა კომისიამ დაადგინა—განსვენებულის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის ხელოსანთა კლუბს ეწოდოს „ამხ. მიხა ჩოდრიშვილის სახელობის მუშათა კლუბი".

— თბილისის ოლქის აღმასკომს წინადადება მიეცა სადგურის ქუჩას უწოდოს ამხ. ჩოდრიშვილის ქუჩა.

დასაფლავების გადაღება კინოთი

სახკინმრეწვის გამგეობამ გადასწყვიტა კინო-ლენტზე გადაიღოს დამსახურებული რევოლიუციონერის ამხ. მიხა ჩოდრიშვილის დაკრძალვა.

ჩოდრიშვილების რევოლიუციონური ოჯახი

ჩოდრიშვილების ოჯახი ძველთაგანვე განთქმული იყო, როგორც რევოლიუციონური ბუდე. თვით მიხა ჩოდრიშვილი რევოლიუციონურ მუშაობას იწყებს ჯერ კიდევ 80-იან წლებში, როდესაც ის ჩაება ნაროდნიკულ მოძრაობაში. ამხ. მიხა ეკუთვნოდა მარქსისტთა იმ წრეს, რომელმაც პირველმა დაიწყო საქართველოს მუშათა კლასში რევოლიუციონურ-სოციალისტური მუშაობა. ყველა ძველი ბოლშევიკები იცნობს მიხას, როგორც საუკეთესო ორგანიზატორს და დიდ ენტუზიასტს.

მიხას უმცროსი ძმა—ზაქრო ჩოდრიშვილი, რომელიც იზრდებოდა მიხას გავლენის ქვეშ თავიდანვე აქტიურათ ჩაება რევოლიუციონურ მუშაობაში. ზაქრო ჩოდრიშვილი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა თითქმის ყველა რევოლიუციონურ გამოსვლებში. იგი, სხვათაშორის, ერთი ინიციატორთაგანი იყო—900-იან წლებში გამოცხადებულ თბილ. მთავარი სახელოსნოების მუშათა 1-ლი გაფიცვის.

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ ზაქროს არ შესწყვეტია რევოლიუციონური მუშაობა და იგი ბოლშევიკ-რევოლიუციონერების დავალებით ინახავდა იარაღის საწყობს, რომელიც აღმოაჩინეს ჟანდარმებმა და რის გამოც ზაქროს 8 წლის კატორღა მიუსაჯეს. ამხ. ზაქრო ჩოდრიშვილი გარდაიცვალა ნიკოლაევის საკატორღო ციხეში 1916 წელს.

ჩოდრიშვილის ოჯახიდან დიდი რევოლიუციონური დამსახურება მიუძღვოდა მიხა ჩოდრიშვილის მეუღლეს მელანიას. ამხ. მელანია იშვიათი კონსპირატორი იყო და იგი საარაკო მოხერხებით ფარავდა იმ რევოლიუციონერებს, რომლებიც ხშირად იმავე ოთახში იმყოფებოდნენ, სადაც ჟანდარმები ჩხრეკას აწარმოებდნენ.

მელანიას დიდი ამაგი მიუძღვის ძველ კატორღელ ბოლშევიკებზე. იგი მუდამ ციხის კარებთან იყო და საკუთარი მცირე შემოსავლიდან ახერხებდა მიეწოდებია ცოტა რამ პატიმართათვის. ამიტომ იყო, რომ ძველმა ბოლშევიკებმა მელანიას ზედმეტ სახელათ „ციხის დედა" დაარქვეს. მელანია დაიღუპა ქ. როსტოვში, ამხ. მიხას როსტოვის ციხეში ყოფნისას.



მარცხნიდან მარჯვნივ: ზაქრო ჩოდრიშვილი (გარდაიცვალა 1916 წ. ნიკოლაევის საკატორღო ციხეში) მიხა ჩოდრიშვილი და მისი მეუღლე მელანია

ძველი ბოლშევიკები ამხ. მ. ჩოდრიშვილის შესახებ

ანდრო ფირცხალავა. მ. ჩოდრიშვილმა ბევრი ბოლშევიკი-რევოლიუციონერი აღუზარდა კომუნისტურ პარტიას. მისი ყოფილი მოწაფეები არიან „ექ. სართანია, ლ. მამალაძე, მისი მოწაფე ვარ მეც და მთელი წყება იმ რევოლიუციონერი მუშებისა, რომელნიც ეხლა ხელისუფლებას უდგანან სათავეში. ამხ. მიხა პირველი ბოლშევიკი იყო, რომელმაც დაიწყო თბილისელი დურგლების კომუნისტური ამხანაგობების მოწყობა, მაშინდელი ხელისუფლება ყოველმხრივ სდევნიდა ამ ამხანაგობებს.

ბოლშევიკთა არალეგალური მუშაობის ცენტრი მუდამ მიხას ოჯახი და მისი სახელოსნო იყო. მის სახელოსნოში ვიწვევდით კრებებს და თათბირებს, ვინახავდით ლიტერატურას და აქედან ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური შტაბი მთელ იმ დროინდელ არა ლეგალურ საქმიანობას თბილისის მასშტაბით.

ამხ. მ. კვარაცხელია—მიხა ჩოდრიშვილი მე გავიცანი 1903 წელს. მიხას ხელმძღვანელობით ბოლშევიკების ერთი ჯგუფი რუსეთ-იაპონიის ომის დროს, მუშაობას შეუდგა ჯარის კაცებში. მიხა ცნობილი იყო, როგორც დაკვირვებული და გამოცდილი მუშა და ამიტომ მთელ ჩვენ საგიტაციო მუშაობის გეგმას წინასწარვე ვათანხმებდით მასთან და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით ვმუშაობდით. ჯარის კაცებში იმდენად ბოლშევიკებმა ბევრი მომხრეები შეიძინეთ.

შემდეგში მე მომიხდა მუშაობა მიხასთან მენშევიკების დროს. მენშევიკების დროსაც მიუხედავათ თავისი მოხუცებულობისა, მიხა ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა პარტიულ მუშაობას. მაშინ მიხა ითვლებოდა თბილისის ბოლშევიკთა არალეგალური კომიტეტის წევრად და მეორე რაიკომის ხელმძღვანელად. არალეგალურ მეორე რაიკომს კი ბინა სწორედ მიხას სახლში ჰქონდა.

ბაბე გოჯორიძე (ძველი რევოლიუციონერი ქალია, რომელიც მუშაობდა ამხ. მიხასთან ერთად) ამბობს.

— მე ყოველთვის მაკვირვებდა მიხას მოხერხება. ერთხელ მიხამ გაკეთა რაღაც უცნაური შკაფი, რომელშიაც უნდა შენახულიყო ჭურჭლეულობა. შკაფს ჰქონდა საიდუმლო განყოფილებები აკრძალული ლიტერატურის შესანახავათ, რამდენჯერ იპოვეს ჟანდარმებმა ის შკაფი ჩხრეკის დროს, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიაგნეს ამ საიდუმლო განყოფილებებს და ბოლშევიკური ლიტერატურა მუდამ აღმოუჩენელი რჩებოდა.

მიხა ჩოდრიშვილის ინიციატივით, ერთხელ პარტიამ გადასწყვიტა იარაღის გატაცება ქუთაისის ერთ-ერთ სამხედრო საწყობიდან. საქმის ორგანიზაცია დამავალეს მე და ზაქრო ჩოდრიშვილს. ჩავედით ქუთაისში. მე ვიქირავე სახლი და ზაქრო მეყვანე, როგორც „ნახლებნიკი"—რომელსაც გვირაბი უნდა გაეყვანა ჩემი ბინიდან საწყობამდე, მაგრამ დაგვაბრკოლა რაღაც ტეხნიკურმა მიზეზმა და ჩვენ მოგვიხდა ქუთაისიდან გამოპარვა.

მიხა ჩოდრიშვილის ასეთსავე დახასიათებას იძლევიან ამხ. გ. რთველაძე, ექ. სართანია და სხვებიც.

ამხ. მ. ჩოდრიშვილის ავადმყოფობა

(საუბარი პროფესორ ა. მაჭავარიანთან)

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი უკვე დიდი ხანია დაავადებული იყო სწორი ნაწლავის კიბოთი. ვინაიდან უკანასკნელ დროს ავადმყოფი ძლიერ ტანჯვას განიცდიდა და მას გაძნელებული ჰქონდა ბუნებრივ საჭიროებათა შესრულება, ექიმების კონსილიუმმა გადასწყვიტა, რომ მდგომარეობის შესამსუბუქებლად მას გაუკეთებოდა ოპერაცია.

1929 წლის 22 ნოემბერს ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში ავადმყოფს გაუკეთდა ოპერაცია ადგილობრივი ანესტეზიის ქვეშ—ხელოვნური პისტულა. ავადმყოფმა ოპერაცია კარგად გადაიტანა. ოპერაციის შემდგომი პერიოდი ნორმალურად მიმდინარეობდა.

შემდეგ —საერთო დაუძლურების, გულის მოქმედებისა და თირკმლების ფუნქციების შესუსტების მოვლენათა გაძლიერების ნიადაგზე ავადმყოფი, უკვე თავის სახლში, გარდაიცვალა 1929 წლის 25 დეკემბერს, ე. ი. ოპერაციის შემდეგ იცოცხლა ერთი თვე და სამი დღე.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის დაკრძალვის წესი

გუშინ, მთავრობის სასახლეში შესდგა ამხ. მიხა ჩოდრიშვილის დამკრძალავი კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა განსვენებულის დაკრძალვის წესი.

სხდომაზე მიღებული დადგენილებით, დღეს ნაშუადღევის 4 საათზე, ცხედარს ბინიდან გადაასვენებენ მუშათა სასახლის დიდ დარბაზში, სადაც საღამოს 6 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

განსვენებულის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირა, 29 დეკემბერი. ცხედარს მუშათა სასახლიდან გამოასვენებენ დილის 11 საათზე. მუშათა სასახლიდან პროცესია გაემართება რუსთაველის პროსპექტით ელბაქიძის დაღმართისაკენ და შემდეგ ჟორესისა და საბჭოთა ქუჩით ხუდადოვის ტყისაკენ, სადაც განსვენებული დაკრძალული იქნება ძველი რევოლიუციონერების ძმათა სასაფლაოზე. სამგლოვიარო პროცესიის ხელმძღვანელად გამოყოფილია ამხ. ს. ხმალაძე და ამხ. ზელოვი. პროცესიის მსვლელობის გზაზე შეწყვეტილი იქნება ტრამვაის მოძრაობა დილის 11 ნახევარ საათიდან ნაშუადღევის 1-ლის ნახევრამდე.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის დამკრძალავ კომისიაში, გარდა იმ ამხანაგებისა, რომლებიც დასახელებული იყვნენ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში —შედიან ამხ. **შალვა ელიავა** და **ნინა ალაჯალოვა.**

მუშათა გამომგონებლობა აჩქარებს სახალხო მეურნეობის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გარდაქმნას

შევამოწმოთ მუშათა გამომგონებლობა

არც ერთი გამოგონება უყურადღებოთ

ა.-ქ. რკინის გზის ადმინისტრაცია და პროფკავშირები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა გამომგონებლობას

ჩავაბათ მუშათა ფართო მასები დათვალიერებაში

მუშათა გამომგონებლობის საქმის გაუმჯობესება, საწინდარია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისა და საერთოდ სოციალისტური მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა. გამომგონებლობა რაციონალიზატორული მუშაობის ერთი მთავარი დარგია, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და აძლიერებს მუშათა შემოქმედებითი უნარიანობას წარმოების რაციონალიზაციაში.

გამომგონებლობის გაძლიერებისა და მისი გაუმჯობესების მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს გამომგონებლობის სრულიად საკავშირო დათვალიერება. გამომგონებლობის დათვალიერების ამოცანაა „დარაზმოს მუშებისა და გამომგონებლობის ყურადღება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დარგში გენერალური ამოცანების გარშემო, ჩააბას მუშებისა და გამომგონებლების მასები სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე რიგებში და ამით კიდევ უფრო შეუწყოს ხელი შეჯიბრების გაშლა-გაფართოებას გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული ღონისძიებათა) განვითარების საფუძველზე და სხ." (საკ. პროფსაბჭოს და გამომგონებლობაზე ბეჭდვითი სიტყვის საშეფო კომიტეტის ცირკულიარიდან).

დათვალიერებამ გარდა იმისა, რომ უნდა გამოარკვიოს რა პირობებში უხდებათ მუშაობა გამომგონებლებს, რა უშლის ხელს გამომგონებლობის ქსელის გაფართოებას, როგორ ხელმძღვანელობას უწევენ გამომგონებლობას ადგილობრივი პროფორგანოები, საწარმოო თათბირები, ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალები და ადმინისტრაცია, ამავე დროს ხელი უნდა შეუწყოს მუშათა ფართო მასების თვითშემოქმედების გაძლიერებას და მათ ახალ ძალების ჩაბმას გამომგონებლობაში, მუშათა ფართო მასების თვითმოქმედების გაძლიერებას, წინადადებების განხორციელებას, ახალ გამოგონებათა წაყენებას, ინჟენერ-ტეხნიკოსთა ხელმძღვანელობის გაძლიერებას გამომგონებლობაზე და სხვა.

დათვალიერებამ უნდა გამოარკვიოს არა მარტო ის თუ როგორ მუშაობენ ადგილობრივი გამომგონებლობის ხელის შემწყობი კომისიები, არამედ ისიც, თუ რა ღონისძიებების გატარება საჭირო მომავალში ამ კომისიების მუშაობის გასაჯანსაღებლად და გამომგონებელთა ქსელის გასაფართოვებლად. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გამომგონებლობის დათვალიერებაში ჩაბმული იქნებიან მუშათა ფართო მასები. ადგილობრივ პროფორგანოებმა ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ იმისთვის, რომ დათვალიერება ჩატარდეს მასიურად და თვითკრიტიკის კიდევ უფრო ფართოდ გაშლით გამომგონებლობისა და მასზე ხელმძღვანელობის საქმეში.

პროფორგანოებმა უნდა შეამზადონ მუშათა საზოგადოებრივი აზრი გამომგონებლობის დათვალიერების წარმატებით ჩასატარებლად. უნდა გაძლიერდეს და გაცხოველდეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა გამომგონებლობის დარგში.

ამ მხრივ დიდი როლი აქვს დაკისრებული ადგილობრივ კედლის გაზეთებს. კედლის გაზეთებმა ფართოდ უნდა გაშალონ გამომგონებლობის ხელისშემწყობი კომისიების საქმიანობა, უნდა გამოამჟღავნონ გამომგონებლობაზე ხელმძღვანელობის და მუშათა წინადადებების განხორციელების ნაკლოვანებები და მიუთითონ სათანადო ორგანოებს ღონისძიებებზე გამომგონებლობის საქმის გასაუმჯობესებლად.

დათვალიერება გამოყენებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ მოხდეს ძირითადი გარდატეხა პროფკავშირების მუშაობაში გამომგონებლობაზე ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად და გამოგონებათა დაჩქარებით განსახორციელებლად. დათვალიერების დროს საწარმოებში უნდა ჩამოყალიბდეს გამომგონებელთა წრეები, უნდა გაძლიერდეს ინჟ.-ტეხ. მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გამომგონებლობაზე. ამ მიზნით თვითეულ ინჟენერმა ან ტეხნიკოსმა და ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციებმა უნდა იკისრონ მზრუნველობა გამომგონებლებზე და საერთოდ გამომგონებლობაზე. უნდა მოეწყოს ტეხნიკური ლიტერატურის სამკითხველოები და გაძლიერდეს საერთოდ გამომგონებელთა შორის ტეხნიკური უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა. დათვალიერების დროს პროფორგანოებმა და გამომკვლევ კომისიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხებს.

ვ. ნ.

გამომგონებლობა უყურადღებოდ

(თბ. დეპო)

მუშათა გამომგონებლობა ერთი მთავარი საშუალებათაგანია პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად და საერთოდ წარმოების გასაუმჯობესებლად. ამიტომ ყველა პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც დაინტერესებული არიან წარმოების რაციონალიზაციაში, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ მუშათა გამომგონებლობას, რათა გაუმჯობესდეს მუშათა გამომგონებლობის ხარისხი და გაძლიერდეს მათი შემოქმედებითი უნარიანობა წარმოების რაციონალიზაციაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რკინის გზებზე საერთოდ და კერძოდ თბილისის დეპოში, ადმინისტრაციაც და პროფესიონალური ორგანიზაციაც ერთობ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა გამომგონებლობას.

თბილისის დეპოში იმყოფება 57 მუშა გამომგონი, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ ახალი გამოგონებისათვის და ყოველგვარ ზომებს ხმარობენ წარმოების რაციონალიზაციისათვის. მაგრამ არც დეპოს ადმინისტრაცია და არც პროფესიონალური ორგანიზაცია გამომგონებელთა მუშაობას არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას. დეპოში დღემდე არ არის მოწყობილი გამომგონებელთა კუთხე, სადაც გამომგონებელს შეეძლება მიიღოს რაიმე ცოდნა-გამოცდილება და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით გააუმჯობესოს თავისი კვალიფიკაცია. არ არის მოწყობილი სპეციალური სახელოსნო, სადაც შესაძლებელი იქნება დაამზადოს გამომგონ მუშამ მის მიერ გამოგონილი მანქანა, არ არის აგრეთვე ტეხნიკური ლიტერატურის სამკითხველო და სხვ. ამიტომ გამოგონებულ მანქანა-აპარატების დამზადება ერთობ ჭიანურდება.

დეპოსთან არსებული გამომგონებელთა ხელის შემწყობი კომისიის ნაყოფიერი მუშაობით, განხორციელებულია რამდენიმე გამოგონება. 53 წინადადებიდან, რომელიც განიხილა გამომგონებელთა ხელის შემწყობ კომისიამ, მიღებულია 45. ამათგან უმეტესი ნაწილი უკვე გატარებულია ცხოვრებაში.

გამომგონებელთა მთელი ასი პროცენტის დაჯილდოვება დეპოში არ სწარმოებს. დაჯილდოვებულია მხოლოდ გამომგონებელთა 50 პროცენტი, საშუალოდ თითო 50 მანეთით. ერთი წლის განმავლობაში გაცემულია სულ 3.500 მანეთი ჯილდო, გარდა ამისა სწარმოებს აგრეთვე გამომგონებელთა ერთდროული ფულადი დახმარება, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, გამომგონ მუშის ზედმეტი შვებულებაში გაშვება და სხვ.

შემმოწმებელმა კომისიამ გამოარკვია, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალები სრულებით არ არიან ჩაბმული გამომგონებლობის საქმეში. ისინი ძალიან ნაკლებ დახმარებას უწევენ მუშა-გამომგონებლებს და არ არიან დაინტერესებული გამოგონების განხორციელებაში. დღემდე არც ერთ ინჟენერ-ტეხნიკოსს არ ჩაუტარებია ლექცია ამა თუ იმ ტეხნიკურ საკითხებზე და არ უწარმოებია მუშაობა გამომგონ მუშის კვალიფიკაციის ასაწევად.

ადგილკომის კულტკომისიაც სუსტ მუშაობას აწარმოებდა გამომგონებელთა შორის. ის დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი საღამოს მოწყობით. საჭიროა კულტურულმა კომისიამ გარდატეხა მოახდინოს თავის მუშაობაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამომგონ მუშათა კულტურულ დონის ამაღლებას.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, მუშათა გამომგონებლობა დეპოში მაინც ფართოვდება, მუშები მასიურად ებმებიან გამომგონებლობის საქმეში და ცდილობენ რაც შეიძლება ხელი შეუწყონ წარმოების რაციონალიზაციას. გამომკვლევ კომისიის მუშაობის პროცესში, გამომგონებელთა ხელის შემწყობ კომისიაში შემოვიდა კიდევ 16 ახალი გამოგონება. ეს იმას ნიშნავს, რომ გამომგონებლობა თბილისის დეპოში მასიურად იზრდება, მაგრამ მას ესაჭიროება ხელმძღვანელობა, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ რკინის გზის ადმინისტრაციამ და პროფესიონალურმა კავშირმა.

ხელოსანი.

მუშა-გამომგონებლები

(ზევიდან, მარცხნიდან მარჯვნით)

ეგიაზაროვი (დეპო) გამოიგონა ორთქლმავლების მოძრაობის სიჩქარის გამომკვლევი აპარატი. გამოგონება გამოყენებული იქნება საგზაო მასშტაბით. **ნარიმანიძე** (დეპო) გამოიგონა მილების შედუღების ახალი საშუალება, რომელიც თვითეულ შედუღებაზე იძლევა 19 მან. 30 კაპ. ეკონომიას. **ბარბაქაძე** (დეპო) აქვს მთელი რიგი წვრილი გამოგონებანი. **კანდელაკი** (დეპო) გააუმჯობესა ორთქლმავლების ცივი და ცხელ გარეცხვის პროცესი. იძლევა დროის ეკონომიას 50 პროცენტით. **აღდგომელაშვილი** (სტალინის სახ. ქარხანა) გამოიგონა ორი პრესი ვაგონების ყოველგვარი ნაწილების მოსაღუნად, გამოგონება აძლევს წარმოებას 4.500 მ. ეკონომიკას **იაკოვლევი** (სტალინის სახ. ქარხანა) გამოიგონა ხელსაწყოების ახალი სალესი, რომელიც ერთადერთია მთელ ქარხანაში. **კევლიშვილი** (დეპო) გამოიგონა ორთქლმავლის ფანარი, რომელიც არ დნება ცეცხლისაგან. გამოგონებას დიდი მნიშვნელობა ექნება ორთქლმავლების მუშაობაში. **აგაბაჯანოვი** („თემქა"), გააუმჯობესა სახარატო დაზგა, რამაც ასწია შრომის ნაყოფიერება 50 პროც.

ადმინისტრაცია ხელს უშლის გამომგონებლობას

(სავაგონო პარკი)

როგორც გამოირკვა გამომგონებელთა შემმოწმებელ კომისიის მუშაობიდან, მუშა გამომგონებლებს სავაგონო პარკში მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. სავაგონო პარკის ადმინისტრაცია შეგნებულად უშლის ხელს გამომგონებლობას და არ აძლევს საშუალებას მუშას გამოიჩინოს შემოქმედებითი უნარიანობა წარმოების გაუმჯობესებაში. მთელი რიგი გამოგონებისა, ადმინისტრაციის ბიუროკრატიული მუშაობის წყალობით, მთელი წლის განმავლობაში უყურადღებოდ არის მიტოვებული. გამომგონებლებს არავითარი ჯილდო ადმინისტრაციის მიერ არ ეძლევა. ადმინისტრაცია აჯილდოვებს მხოლოდ იმათ, რომლების გამოგონებაც გაცილებით მეტ ეკონომიას იძლევიან.

სავაგონო პარკში ისე, როგორც თბილისის დეპოში, არ არის ჩამოყალიბებული გამომგონებელთა წრე, გამომგონებელთა კუთხე და სხვ. საწარმოო თათბირი, გამომგონებელთა ხელის შემწყობი კომისია და თვით ადგილკომიც, თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ მუშა გამომგონებელთა შორის. 17 წინადადებიდან, რომლებიც წარმოადგენენ დიდ მნიშვნელოვან გამოგონებებს წარმოებაში, განხორციელებულია მხოლოდ ოთხი, დანარჩენი 13 გამოგონება ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული. ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალები სავაგონო პარკშიაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშათა გამომგონებლობის საქმეს. ისე როგორც თბილისის დეპოში, სავაგონო პარკშიაც არ არის ჩატარებული ლექციები, არ სწარმოებს მუშაობა ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის მიერ მუშა გამომგონებელთა შორის და სხვ. ეს გარემოება ხელს უშლის გამომგონებლობის გაფართოებას.

გარდა ამისა გამომგონებლობის საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული აგრეთვე ახალგაზრდა მუშებიც. სავაგონო პარკთან არსებობს საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, სადაც შესაძლებელი არის შეკვეთების სახით დამზადებული იქნეს ესა თუ ის გამოგონება, მაგრამ ადმინისტრაცია არამც თუ ამზადებს ამ გამოგონებებს, არამედ ხელს უშლის გამოგონებების ცხოვრებაში გატარებას და აფერხებს წარმოების რაციონალიზაციას. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება რომ ისეთი გამოგონებებიც კი, რომლებიც უკვე მიღებულია და გატარებულია ცხოვრებაში და რომლებიც საგრძნობ ეკონომიას იძლევიან, არ არის გატარებული რკინის გზის სხვა უბნებში.

შემმოწმებელმა კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა გამომგონებლობის გასაფართოვებლად და ყველა მნიშვნელოვან გამოგონებების ცხოვრებაში გასატარებლად. გამოყოფილი უნდა იქნეს გამომგონებელთა შორის სპეციალური პასუხისმგებელი მომუშავე, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას გამომგონებლობას და მუშათა არც ერთ წინადადებას არ დასტოვებს უყურადღებოდ. ვფიქრობთ სავაგონო პარკის ადმინისტრაცია ამის შემდეგ მაინც მიაქცევს შესაფერ ყურადღებას მუშათა გამომგონებლობას.

ზეინკალი.

მეტი ყურადღება გამომგონ მუშას

ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხნებში მუშა-გამომგონებლებს არ აძლევენ გასაქანს. ზეინკალმა ალ. ალტუხოვმა გადააკეთა ბურბუშელის დამამზადებელი დაზგა, რომელიც უნაყოფოდ იდგა და იძლეოდა დიდ ზარალს. წინა ერთი დღის განმავლობაში ეს დაზგა აკეთებდა 15 ფ. ბურბუშელას. ეს რაოდენობა მარტო თავის ხარჯს ვერ ისტუმრებდა. გამომგონმა მუშამ შესცვალა ეს უვარგისი დაზგა, რაც ადიდებს შრომის ნაყოფიერებას 80 პროცენტით; 15 ფუთის ნაცვლად დაზგა ამზადებს 200 ფუთ ბურბუშელას. მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია რატომღაც უყურადღებოთ ეპყრობა გამოგონებას. სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

გ. მუშკორი.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

კოლექტიურად ხელისმოწერის ვადის გაგრძელება

დღემდე არსებული წესით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე კოლექტიურად ხელის მოწერის ვადა განისაზღვრებოდა მხოლოდ სარეალიზაციო პერიოდით, ესე იგი 30 ნოემბრამდე. ამის გამო იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ა. წ. 30 ნოემბრის შემდეგ იქნენ მიღებული სამსახურში, არ ჰქონდათ საშუალება სესხზე კოლექტიური ხელისმოწერა ეწარმოებინათ.

იმ მიზნით, რომ ყველა მუშა-მოსამსახურეს (ზემო აღნიშნულ ვადების შემდეგ მიღებულთა და სხვ.) მიეცეს საშუალება სესხზე ხელის მოწერის, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც რაიმე მიზეზების გამო ვერ მოაწერეს ხელი სესხზე 1929 წლის 30 ნოემბრამდე, ანდა ისინი მიღებული იქნენ 30 ნოემბრის შემდეგ, შეუძლიათ სესხზე ხელის მოწერა კოლექტიურად იმ ხნის განმავლობაში, რომლის დროსაც მათ უნდა აწარმოონ ობლიგაციების გამოსყიდვა. კოლექტიურად ხელის მოწერა სესხზე იმ ვარაუდით უნდა იქნას ჩატარებული, რომ მთელმა კოლექტივმა ობლიგაციების ღირებულება გაანაღდოს, არა უგვიანეს 1930 წლის 1 ივლისისა. ამასთანავე ერთად დაუშვებლად არის ცნობილი, რომ ობლიგაციის გამოსასყიდი ფული ყოველთვიურად აღემატებოდეს მუშა-მოსამსახურის თვიური ხელფასის ერთ მეათედს.

ამგვარად, სამსახურში შესვლის დროს, (მაგალითად 1930 წლის 1 იანვრიდან), კოლექტიურად ხელის მოწერის დროს ობლიგაციის ღირებულების ჯამი უნდა უდრიდეს თვითეული მუშა-მოსამსახურის 6 თვის ხელფასის 60 პროცენტს, რადგანაც 1 იანვრიდან—1 ივლისამდე ობლიგაციების გამოსასყიდი ვადა განისაზღვრება მხოლოდ 6 თვე და დადგენილების თანახმად კი ობლიგაციის გამოსასყიდი ფული ყოველთვიურად არ უნდა აღემატებოდეს მუშა-მოსამსახურის თვიური ხელფასის 10 პროცენტს.

სამსახურში ა. წ. 30 ნოემბრის შემდეგ მიღებულ მუშა-მოსამსახურეებისათვის ობლიგაციები გაიყიდება ნომინალური ღირებულების მიხედვით.

აღნიშნული წესი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციისა ვრცელდება არა მარტო იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც სარეალიზაციო პერიოდში იმყოფებოდნენ უმუშევრად, არამედ იმ მუშა-მოსამსახურეებზედაც, რომლებიც გადავიდნენ ერთი წარმოებიდან ან დაწესებულებიდან მეორეში. უკანასკნელ შემთხვევის დროს არ არის საჭირო მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმა სესხზე ხელ-ახალ ხელის მოსაწერად თუ, რასაკვირველია, მათ არ მოხსნეს სესხზე ხელის მოწერა იმ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც ისინი წინად მუშაობდნენ.

სამზადისი საკავშირო რადიო-შეკრებისათვის

სუსტად მიმდინარეობდა

28 დეკემბერს ეწყობა საბჭოთა კავშირის მშრომელთა რადიო-კრება დამკვრელი ბრიგადების ყრილობის შედეგების განსახილველად. ამ მიზნით წინასწარვე საკავშირო პროფსაბჭომ, კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა"-ს რედაქციამ დაუგზავნა მიმართვა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ დაუყოვნებლივ ჩაეტარებიათ მოსამზადებელი მუშაობა რადიოგამოძახებისათვის და მოეწესრიგებიათ კლუბებში რადიოს მიმღებები. ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა ეზრუნათ იმისათვის, რომ მუშებისათვის ეცნობებიათ კრების ჩატარება, რომ მათ საშუალება მიეცეთ მოისმინონ რადიო-კრება. უნდა ჩაეტარებინათ ქალაქის და რაიონის ხმა-მაღლა მოლაპარაკე რადიო-დადგმულობანი და სხვ.

კომკავშირის ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რადიოს მეგობართა საზოგადოებასთან და პროფორგანიზაციებთან ერთად, უნდა გამოყონ დამკვრელი ბრიგადები რადიო დადგმულობათა შესაკეთებლად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ადგილებზე ბევრი არაფერი გაკეთებულა. საქ. რადიო-მეგობართა საზოგადოების ცენტრალურ გამგეობამ ამ საქმეში თავისი „მოვალეობა" უკვე მოიხადა. მან დააგზავნა დირექტივები ადგილებზე, რომ მიიღონ აქტიური მონაწილეობა რადიო-მიტინგისათვის მოსამზადებელ მუშაობაში და შედეგი აცნობონ რადიო-მეგობართა ცენტრალურ გამგეობას. არავითარი კონკრეტული ნაბიჯები რ.მ.ს. გამგეობის მიერ არ არის გადადგმული.

პროფსაბჭოს მუშაობაც ამ მხრივ მოისუსტებს. მუშათა კლუბების უმეტესი ნაწილი ასე არის მომზადებული რადიო-მიტინგისათვის მუშათა ახალ კლუბის გამგეობამ ჯერაც არაფერი იცის საკავშირო რადიო-მიტინგის შესახებ.

არავითარი დირექტივა მას პროფსაბჭოდან არ მიუღია და არც არავითარი მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს რადიო-მიტინგისათვის. კლუბთან დაარსებულია რადიოწრე, მოწყობილია რადიო-მიმღები და მუშაობენ ისინი ჩვეულებრივად. არავითარ ახალს ისინი არა გრძნობენ და არც იციან რამე.

ხვალ უკვე დაიწყება რადიო-მიტინგი და მუშათა კლუბები კი სამისოთ არ არიან მომზადებული.

საკავშირო რადიო-მიტინგი-გამოძახება

საკავშ. რადიო-მიტინგი—გამოიძახებს, რომელიც ჩატარდება ა.-წ. 28 დეკემბერს, საქართველოდან რადიო-მიტინგში მონაწილეობას მიიღებს ამხ. **მიხა ცხაკაია** და 26 კომუნარის სახ. ქარხნის დამკვრელ ბრიგადის წევრი მუშა ამხ. **გელაშვილი.**

ბაქო-ბათომის ნავთსადენის საცდელი ამუშავება

22 დეკემბრიდან დაიწყო ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის ნაწილობრივი საცდელი ამუშავება. ნავთსადენის გამოსაცდელათ პირველ რიგში გაშვებულ იქნა წყალი სად. მანგეჩაურიდან ბათომამდე. წყალის გადაქაჩვისას ნავთსადენის ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა სამ ადგილას. მილები დაუყოვნებლივ იქნა შეკეთებული.

შეკეთების შემდეგ მოხდა ნავთის საცდელი გადაქაჩვა. ნავთი გამოშვებულია სად. ფოილოდან და დღეს საღამოსათვის უნდა მიაღწიოს ხაშურში. 25 დეკემბერს ნავთმა მიაღწია სად. მცხეთას. სად. მანგეჩაურიდან მცხეთამდე ნავთსადენის მილი შესანიშნავ ტეხნიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და არსად ნავთს არ გაუჟონავს.

ნავთის გადაქაჩვას და ნავთსადენის მილის მდგომარეობას თვალყურს ადევნებს „აზნევთის" სპეციალისტთა კომისია.

თუ სად. მინგეჩაურიდან ბათომამდე ნავთსადენი კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ნავთმა არსად გაჟონა, გადაწყვეტილია დაწყებულ იქნეს ნავთის პირდაპირი გადაქაჩვა აღნიშნული სადგურიდან ბათომამდე.

„აზნევთის" სპეციალისტთა კომისია გუშინ გაემგზავრა ხაშურში ნავთსადენის მილის შესამოწმებლათ და ნავთის გადაქაჩვისათვის თვალყურის სადევნებლათ.

მუშათა აღწერა თბილისში

25 დეკემბრამდე აღწერაში გატარდა 5.000 მუშა

თბილისის მუშათა აღწერა, რომელიც 21 დეკემბერს დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობს. მუშები ხალისით ცხადდებიან აღწერაზე, არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. 25 დეკემბრამდე, ე. ი. ოთხი დღის განმავლობაში აღწერაში გატარდა 5.000 მუშა.

წარმოებებში აღწერა იწყება მუშაობის დამთავრებისთანავე. აღწერის ბიურომ სთხოვა ფაბქარხკომებს, რომ აღწერაში გასატარებლად პირველ რიგში გამოეყოთ ისეთი მუშები, რომლებიც წარმოებისაგან მოშორებით ცხოვრობენ. რათა მათ არ მოუხდეთ ცდა, მაგრამ ეს დღემდე არ არის მოგვარებული.

აღწერა კარგათ მიმდინარეობს სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნოებში, მკერავთა კოლექტივში და საპონ-ზეთის ქარხანაში.

გუშინ, 26 დეკემბერს, აღწერა მიმდინარეობდა თბილისის 46 წარმოებაში.

აღწერა არ ეხება რკინისგზელებს. რადგან მათი აღწერა ამას წინად ჩაატარა რკინისგზელთა კავშირმა. მაშინ აღწერაში გატარებული იქნა 6.500 მუშა. აქედან ს. პ. ქ. ს. სტატისტიკური განყოფილება გამოიყენებს ცნობებს 4.500 მუშაზე, (რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან); იანვრის პირველ რიცხვებში ჩატარებული იქნება მათი დამატებითი დაკითხვა.

მთელი აღწერის დამთავრება განზრახულია იანვრის პირველ ნახევარში.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად

კულაკმა მოკლა მოჯამაგირე

სოფლად სოციალისტური სექტორის გაძლიერების გამო კულაკებმა დაიწყეს აშკარა შეტევა ღარიბებისა და მოჯამაგირეების წინააღმდეგ. კულაკები იარაღით უსწორდებიან იმათ, ვინც ხელისუფლებას ეხმარებიან. სასოფლო-სამეურნეო რეკონსტრუქციისა და კოლექტიურ მშენებლობის საქმეში და იმავე დროს ამჟღავნებენ კულაკების ოინებს, მიმართულს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავიდან აცილებისაკენ.

კულაკები განსაკუთრებით ავიწროვებენ იმ მოჯამაგირეებს, რომლებიც გაბედავენ და მოსთხოვენ მათ კანონით დაკისრებულ ვალდებულებების შესრულებას.

კულაკები არ იცავენ შრომის კანონებს და უმოწყალოდ ყვლეფენ და ავიწროვებენ მოჯამაგირეებს.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ექცევიან მოჯამაგირეებს კულაკები, მოვიყვანთ რამდენიმე აღმაშფოთებელ ფაქტს:

სოფ. ერწოში კულაკი **ისმაილ გობერიძე** აწამებდა 16—17 წლის მოჯამაგირე ლადო სომხიშვილს. გობერიძე მოჯამაგირეს დღე და ღამე ამუშავებდა და შიშიშველს ატარებდა.

გობერიძემ ერთ ღამეს მოჯამაგირე აიძულა წასულიყო ტყეში ფარულად ხეების მოსაჭრელად. ღამით ხის ჭრის დროს მოჯამაგირეს დაეცა მოჭრილი ხე და იქვე მოკლა.

კულაკი შეპყრობილია.

დიდ თონეთში კულაკ **ჭიმშიტაშვილს** მოჯამაგირედ ჰყავდა **გიორგი ჭურჭელაური.**

ჭიმშიტაშვილი უმოწყალოდ ყვლეფდა მოჯამაგირეს, არ აძლევდა დასვენების საშუალებას, არც ხელფასს. ამ ნიადაგზე მოჯამაგირისა და მას შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება.

ჭიმშიტაშვილს შეცდომაში შეჰყავდა ხელისუფლება და მალავდა დასაბეგრ ობიექტებს, თავი ღარიბად მოჰქონდა და ხშირად ახერხებდა შეღავათების მიღებასაც.

ეს იცოდა მოჯამაგირემ და რომ მას არ გაემჟღავნებინა ეს ოინები, ჭიმშიტაშვილმა გადასწყვიტა მოჯამაგირის თავიდან მოცილება.

ჭურჭელაური მართლაც მალე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც ირკვევა კულაკს მოჯამაგირე მოუკლავს.

ჭიმშიტაშვილი შეპყრობილია.

გამორკვეულია კულაკ მეცხვარეების და მიწისმოიჯარეების მიერ მოჯამაგირეთა შევიწროვების მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტები.

მიღებულია ზომები მათ წინააღმდეგ.

სას.-სამ. გადასახადი

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით 15 დეკემბრისათვის მთელ საქართველოში აკრეფილი იყო 2.249.432 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი (ამ თანხაში შედის 2.231.227 მანეთი მიმდინარე წლის გადასახადი 6.538 მანეთი ნარჩენი და 11.667 მანეთი საურავი). აქედან ახალქალაქის მაზრაში აკრეფილია 141.166 მანეთი, **ახალციხის მაზრაში**—88.481 მანეთი, **გორის ოლქში** —164.679 მანეთი, **კახეთის ოლქში** —696.622 მანეთი, **თბილისის ოლქში**—585.336 მანეთი, **ქუთაისის ოლქში**—286.391 მანეთი, **ზუგდიდის მაზრაში**—88.552 მანეთი, **ოზურგეთის მაზრაში**—15.176 მანეთი, **სენაკის მაზრაში**—41.970 მანეთი, **აჭარისტანში**—20.716 მანეთი, **აფხაზეთში**—60.007 მანეთი და **სამხრეთ-ოსეთში**—60.256 მანეთი.

სოცშეჯიბრება კულტურულ ფრონტზე

არც ერთი მუშა და გლეხი არ უნდა დარჩეს უგაზეთოდ

სად. თბილისის და ნავთლუღის ვაგონების გამსინჯველებმა, ბარათაშვილმა, ჩხაიძემ, მეცხვარიშვილმა, ბახტაძემ, ზარდალიშვილმა, ზანგურიძემ, თვალთვაძემ, გ. ხარატაშვილმა და გ. ნასყიდაშვილმა გამოიწვიეს გაზ. „კომუნისტი" და ჟურ. „დროშა" და შეჯიბრებაში გამოიწვიეს მატარებლის გამცილებლები, მზეთავები, გამხურებლები, დამლაგებლები და სხვ.

ამხანაგები იმედს გამოსთქვამენ, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩება პოლიტიკური გაზეთ „კომუნისტზე" და ჟურ. „დროშა"-ზე ხელის მოწერის გარეშე.

მილიცია პირველ რიგში

— თბილისის მილიციის მეოთხე რაიონის თანამშრომლებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს მესამე რაიონის თანამშრომლები გაზ. „კომუნისტზე" ხელის მოსაწერად. შეჯიბრების თანახმად გაზ. „კომუნისტი" უნდა გამოიწეროს თანამშრომელთა ას პროცენტმა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ოპ. „ნიღაბიანი სალამო"— მუს. ვერდისა

ჯ. ვერდის უამრავი ოპერებიდან მხატვრულად და ისტორიულად გამოძლვა მხოლოდ ხუთმა ან ექვსმა, დანარჩენი კი, და მათ შორის „ნიღაბიანი სალამოც", დავიწყების წყალმა წაიღო. ამიტომ წყალწაღებული იქნება ის ოპერის თეატრიც, რომელიც ისტორიზმის და მხატვრული თვალსაზრისის უგუგებებით და დღევანდელ იდეოლოგიურ მიზანშეწონილობასთან ზურგ-აქცევით მოეჭიდება წყალწაღებულ თხზულებებს და მოისურვებს მათ გაცოცხლებას. ვის რად უნდა საბჭოთა ქვეყანაში ყოველ გამართლებას მოკლებული, „ვამპუკიზმით" გაჟღენთილი და მუსიკალურად უშინაარსო „ნიღაბიანი სალამო", სადაც მხოლოდ ერთად-ერთი არია რენატოსი ცოტაოდენ იზიდავს ყურადღებას? აქედან ცხადია, რომ „ნიღაბიანი სალამო" დეკემბრის 21 დაიდგა მხოლოდ გასტროლიორ სლივინსკის გამოსასვლელად რენატოს როლში. საუბედუროდ, სლივინსკიმ ვერ დასტოვა შესაფერისი შთაბეჭდილება ვერც თავისი ხმოვანი მასალით, ვერც შესრულების ხასიათით და ვერც სცენიური განსახიერებით. სლივინსკის ხმოვანი მასალა პირველ ხარისხოვნად ვერ ჩაითვლება. მრავალ შემთხვევებში ადგილი აქვს კილოს უსწორობას, ისე, რომ ირღვევა თანხმობა ორკესტრთან, ზოგიერთ შემთხვევებში კი ადგილი აქვს რითმიულ უთანხმოებასაც. მაგალითად, მესამე მოქმედებაში, მთელი სცენა რენატოს არიის შემდეგ ჩატარდა ისე, როგორც არ შეეფერება არა თუ გასტროლიორს, არამედ სეზონში მოსამსახურე მომღერალსაც კი.

ანდღულაძის (რიჩარდი) შესახებ აღარ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ მან უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება თავისი ხმის ცვლილებას. უეჭველია, რომ ანდღულაძის ხმამ დაკარგა მომხიბლავი სისუფთავე კილოსი და თუ ზემო ფარდებში მისი ხმა იშლება უწინდებური სიმძლავრით და სისუფთავით, შუა და ქვემო ფარდები მოითხოვენ განმეორებითი მუშაობის მის გამოსწორებისათვის. მეორის მხრივ, ანდღულაძის სასიმღერო ფრაზას აკლია საჭირო მოქნილობა და ეს გარემოება ზღუდავს ანდღულაძის სცენიურ მოძრაობის მოქნილობას.

ხუმაროვას (ულრიკა) უნდა ახსოვდეს, რომ ხმის სიმძლავრისაკენ მუდმივი გადახრა მომღერალს უკარგავს დინამიურ ზრდა-შენელების საშუალებას და ზოგიერთ შემთხვევაში, მომღერალისათვის შეუმჩნევლად, ქმნის კილოს შესამჩნევ უსწორობას, რაც თავს იჩენს მეორე მომღერალთან ორხმოვანად სიმღერის (დუეტი) დროს. სწორედ ამგვარ მოვლენას ჰქონდა ადგილი მეორე მოქმედებაში, როდესაც შეერთდნენ ხუმაროვას (ულრიკა) და **ბოგოლეპოვას** (ამელია) ხმები, ამ შემთხვევაში ბრალი ედება არა ბოგოლეპოვას. სხვა მხრივ კი, ხუმაროვა, როგორც ახალგაზრდა მომღერალი, შეეფერებოდა თავის როლს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვრილმან სცენიურ ნაკლოვანებებს.

კარგი სცენიური გამოცდილება, ვოკალური სისუფთავე და ტეხნიკა გამოიჩინა **ბოგოლეპოვამ** ამელიას როლში. საერთოდ ამ მომღერალის რეპერტუარში არის მრავალი როლი, სადაც მას შეუძლია ყოვლად ღირსეულად გამოიჩინოს თავი.

ნინუა-ცაგურიას (ოსკარი) შემოქმედება კარგი იყო სცენიურად და ვოკალურად.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა სახ. არტ. ი. ფალიაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ „ნიღაბიანი სალამოს" საორკესტრო ფაქტურა ვერ იძლევა საშუალებას დირიჟორის გაქანებისათვის, მან მთელი თავისი გამოცდილება და ენერგია გამოიყენა ოპერის მისაღები სახით ჩასატარებლად.

ძ. მელვინეთ-უხუცესი.

ქრონიკა

საქ. ცაკის სესიის მოწვევა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 13 იანვრისათვის თბილისში მოიწვიოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი მე-2 სესია.

მუშები შრ. კომისარიატის კოლეგიაში

შრომის კომისარიატის აპარატის გამუშურების მიზნით, შრომის კომისარიატის კოლეგიაში დამატებით შეყვანილია შემდეგი დაზგის მუშები: თამბაქოს ქარხნის მუშა-ქალი კინი, აბრეშუმის საქსოვ ქარხნის მუშა-ქალი—**კლდიაშვილი,** ტრამვაის მუშა—**ბაბუციძე,** 26 კომუნარის სახ. ქარხნის მუშა— **ალი-გული** და ტყავის ქარხნის მუშა—**გუკასოვი.**

კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების თათბირის დახურვა

კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სხდომაზე განხილულ იქნა კოლექტიურ მეურნეობების გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა. თათბირმა გეგმის გადასასინჯავად გამოჰყო კომისია კოლმეურნეობათა სამაზრო კავშირების, სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილებათა გამგეების და კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენლების შემადგენლობით. დასასრულ თათბირმა განიხილა და დაამტკიცა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

თათბირი დაიხურა გუშინ საღამოს.

მუშათა ახალი სახლები

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ჟორესის ქუჩაზე ააგოს მუშათა ახალი სახლი.

ავლაბარში სამხედრო მოსამსახურეებისათვის მომავალ წელს აგებული იქნება დიდი სახლი, ამ სახლების აგება დაჯდება 800.000 მანეთი.

მილიციელებისათვის საბურთალოში აგებული იქნება 1 სახლი 70 ოთახით.

მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის 2 სახლის ასაგებად გადადებულია 500.000 მანეთი. ორივე სახლს ექნება 70 ოთახი. სახლების აგება დამთავრდება 1930—31 წელს.

პოპულიარული ტეხნიკური ლიტერატურის გამოცემა

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან დაარსდა პოპულიარული ტეხნიკური ლიტერატურის გამოცემის ბიურო, რომელშიაც შედიან ვ. კაკაბაძე, გულისაშვილი, ზ. ჩხეიძე, ყანდარელი, მეტრეველი, არუთინოვი და დიასამიძე.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 28 დეკემბერს კუკიის ტბების მიდამოებში გაიმართება ზარბაზნების სროლა.

სამკურნალო დაწესებულებების გადაყვანა განუწყვეტელ კვირაზე

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სამკურნალო დაწესებულებების და საბავშო ბაგეების გადაყვანა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1930 წლის 1-ლ იანვრისა. აუცილებლად არის ცნობილი აგრეთვე განუწყვეტელ კვირაზე იქნეს გადაყვანილი ტალახით სამკურნალო და ყველა ღამის სანატორიუმები.

საზამთრო დასასვენებელი სახლი ქობულეთში

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სოცდაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტს—მიიღოს ზომები, რომ საზამთრო დასასვენებელი სახლის გახსნა ქობულეთში მოხდეს არა უგვიანეს 1930 წლის 15 იანვრისა.

თბ. აღმასკომში

◆ **გომბორის ყოფ. ყაზარმების** შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 50.000 მ. ამ ყაზარმებში მოთავსებულნი იქნებიან ინვალიდები.

◆ **თბ. მიდამოებში საბჭოთა მეურნეობების** მოსაწყობად ამხ. ავაქოვის თავმჯდომარეობით, აღმასკომთან დაარსდა ცალკე კომისია.

◆ **ვერაზე აბანოს** მოსაწყობად გადადებულია 100.000 მან.

◆ **ჯიშიან ღორების მოშენება.** სავეგმო კომისიამ შეიმუშავა თბ. ახლოს ჯიშიან ღორების მოსაშენებელი სადგური. სადგური მოეწყობა დიღომში.

◆ **გარაჟი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ცენტრალური გარაჟი. გარაჟის აგება დაჯდება 600.000 მ.

საქ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

◆ **საზაფხულო არდადეგები.** ვინაიდან განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა გაგზავნა იწყება ა. წ. 1-ლ თებერვლიდან, ამიტომ საზაფხულო არდადეგები გაგრძელდება მხოლოდ ერთი თვე.

◆ **ახლად მიღებული სტუდენტები** დაყოფილია ჯგუფებათ. ჯგუფებში მეცადინეობა ამ დღეებში დაიწყება.

◆ **ტრამვაი.** ამ დღეებში გაიხსნა ტრამვაით მიმოსვლა ინსტიტუტამდე.

შემთხვევები

ხანძარი

გუშინ, დღისით, ცეცხლი გაუჩნდა თიხის საწყობს (მაზუთის შესახ. № 6). სახანძროდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 20 წუთში. ამავე დღეს გრემოვის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 3. ხანძარი ჩააქრეს.

ბავშვის დაკარგვა

24 დეკემბერს, სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ავჭალაში მცხოვრები **სიკო გიორგისძე ჯაბიაშვილი** 15 წლის, საშუალო ტანის; ტანზე აცვია ყავის ფერი პალტო, ახურავს ნაბდის ქუდი.

ჯიბგირობა

ტრამვაის ვაგონში შალვა მარკოზის ძე მაცაბერიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 135 მან.—არუსიაკ გიორგის ასულ მარტიროსოვას თავისუფლების მოედანზე მოპარეს ოქროს საათი.

შეპყრობა

დაპატიმრებულია ალიზ აბდოხანოვი (უბინაო), რომელიც იპარავდა სხვადასხვა საოჯახო ნივთებს.

ქურდობა

გაქურდეს დავით თოთიბაძის ბინა (ნაკადის ქ. № 11), წაიღეს 450 მანეთის ნივთები.—გამსახკომის შენობიდან მოიპარეს ელექტრონის ლუმელი.—კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს საზეინკლო სახელოსნო (კომუნალური ქ. № 9); წაიღეს 700 მანეთის ხელსაწყოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებები მეცხვარეობის განვითარებისათვის

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

საქ. სახკომსაბჭოსთან (1929 წ. 25—26 ნოემბერს) მოწვეულ თათბირზე მოსმენილ მოხსენებათა გამო

ბ. საკვები ბაზის დარგში

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი საქართველოს საძოვრების ფონდის შემდგომი შემცირება.

2. რადგანაც საძოვრების ფონდი სამრეწველო მეცხვარეობის რაიონში ცხვრის საერთო რაოდენობასთან შედარებით საკმარისი არ არის და რადგანაც ამის გამო საჭირო ხდება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრების სწორი, საკვებ შესაძლებლობასთან შეფარდებული, განაწილება მეცხვარეებს შორის, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ერთიანი გეგმიანობის დაცვით ამ საკითხში,—მკიდროდ იქნეს ცნობილი, რათა ყველა, როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრების გამგებლობა და მათი სარგებლობის მოწესრიგება მთლად გადაიდეს მიწსახკო[illegible]ლობრივი მნიშვნელობის საძოვრების შემოსავალი.

3. იმ მიზნით, რათა შექმნილ იქნეს სტიმული საძოვრების რაციონალურად სარგებლობისათვის, საჭიროა საძოვრები და მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრები გადაეცეს მეცხვარეთა ქვედა შენაერთებს გრძელვადიან (5 წლითა და მეტი ხნით) სარგებლობაში.

საძოვრები იჯარით პირველ რიგში უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, ამასთანავე მათ უნდა დაეთმოთ მეურნეობრივად უკეთ მოწყობილი საძოვრები, ხოლო კოლექტივებს, ამას გარდა, უნდა მიეცეს შეღავათები.

4. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რათა მან დააკისროს მესაქონლეობის ორგანიზაციებს:

ა) იზრუნონ ამხანაგების წევრ-მესაქონლეთა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფისათვის, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე რესპუბლიკის გარედ და გაანთავისუფლონ ისინი საძოვრების შოვნასა და მათ იჯარასთან დაკავშირებული შრომისაგან.

ბ) როგორც წესი, დაამზადონ საზამთრო საძოვრებზე თივა, უმთავრესად საძოვრების გათიბვის საშუალებით, იმ მიზნით, რათა სუსხიან ზამთარში საქონელი უსაკვებოდ არ დარჩეს.

წინადადება მიეცეს საქართველოს მიწსახკომს გამოყოს ამ მიზნით სათანადო სათიბები.

5. საძოვრების საკვები თვისების გასაუმჯობესებლად მიწსახკომმა უნდა დააჩქაროს სათანადო საცდელი მუშაობა და აგრეთვე 1929—30 წელს უნდა შეუდგეს საძოვრების მასიურ გადახალისებას.

ამასთანავე ერთად მეცხვარეთა ქვედა შენაერთებთან საძოვრების იჯარის შესახებ გრძელვადიან ხელშეკრულებათა დადების დროს, ამ შენაერთებს უნდა დაევალოს განახორციელონ მინიმალური ღონისძიებანი საძოვრების გასაუმჯობესებლად და მტკიცედ დაიცვან საძოვრების რაციონალურად სარგებლობისათვის დადგენილი წესი.

6. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატებს მიწსახკომის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს გაითვალისწინოს საჭიროება საძოვრების ყოველმხრივ შესასწავლად წარმოებული მუშაობისათვის ფინანსების გაძლიერებისა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს ჭების ქსელის მოწყობა საზამთრო საძოვრებში და მიიღოს ყველა მისგან დამოკიდებული ღონისძიება, რათა ეს მუშაობა 1929—30 წ. განხორციელდეს.

8. დაევალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დაიცვან მეცხვარეთა შენობების და საძოვრების ნაგებობანი (ბინები, აუზები და სხვ.) დანგრევისაგან.

9. წინადადება მიეცეს მიწსახკომს და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ ზომები საქონლის არსებული გასარეკი გზების გასაფართოებლად და ამ გზებზე საკმაო რაოდენობის გასაჩერებელი ადგილების მოსაწყობად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შირაქ-ახალ-ქალაქისა და შირაქ-კავკასიის მთავარ უღელტეხილის გზებს.

დაევალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მტკიცედ ადევნონ თვალყური საქონლის გასარეკი გზების და გასაჩერებელი ადგილების დაცვას და მათი მოხვნისათვის დაადვან ხოლმე დამნაშავეს ადმინისტრატიული გადასახდელი.

10. მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს გადასინჯოს არსებული წესი საქონლის [illegible] გამორკვევისა და ზარალის რაოდენობის დადგენისა, რათა ამით მიღწეულ იქნეს ობიექტიური მიდგომა ამ საკითხისადმი და ორივე მხარის ინტერესების დაცვა.

11. წინადადება მიეცეს მიწსახკომს 1929—30 წ. ყოველმხრივ შეისწავლოს საკითხი სვანეთში, სამხრეთ-ოსეთში და ყოფ. რაჭის მაზრაში საზაფხულო საძოვრების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და თავის დროზე წარუდგინოს სათანადო მოხსენება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

12. მიწსახკომმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, კოლმეურნეობათა ცენტრმა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა დაშვებულ არ იქნეს საძოვრების სუბარენდა და მეცხვარეობისათვის დაწესებულ ნორმაზე მეტი საიჯარო ქირის გადახდევინება.

13. დაევალოს მიწსახკომს, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, გადასინჯოს არსებული წესი სასოფლო საძოვრების და სანადელო მიწების მესაქონლეებისათვის იჯარით გადაცემის შესახებ იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს ორივე მხარის ინტერესი.

14. ეთხოვოს საქართველოს ცაკს აღძრას ამიერ-კავკასიის ცაკის წინაშე საკითხი, რომ:

ა) საჭიროა სათანადო ზომების მიღება, რათა საქართველოს მეცხვარეებს აზერბეიჯანში და სომხეთში— ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, დაწესებულებანი და ცალკე პირები არ ახდევინებდენ იმ ნორმაზე მეტს, რაც ამიერ-კავკასიის ცაკისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. დაწესებულია საძოვრების იჯარისათვის და

ბ) საჭიროა,— ა.-კ. სფსრ სამრეწველო მეცხვარეობის შენარჩუნების მიზნით, წინადადება მიეცეს აზერბეიჯანისა და სომხეთის მიწსახკომებს თავის გამგებლობაში აიღონ მთელი საძოვრების ფონდის გეგმიანი განაწილება საკუთარ და სხვა რესპუბლიკებიდან მოსულ მეცხვარეებს შორის და ამავე დროს მიიღონ ზომები, რათა საქართველოს მეცხვარეთა ორგანიზაციებს შეეძლოთ იჯარით აიღონ საძოვრები არა ერთი სეზონის განმავლობაში, არამედ 5 წლით და მეტი ხნითაც მხოლოდ იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, რომელთაც ამ რესპუბლიკების მიწსახკომები დაასახელებენ.

გ. სას.-სამ. კოოპერაციის მოქმედების შესახებ მეცხვარეობის დარგში

1. მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საჭიროა:

ა) მესაქონლეობის ქვედა ორგანიზაციებმა მთლიანად გააერთიანონ მეცხვარენი.

ბ) გაიშალოს მუშაობა ღარიბების კოოპერაციაში გასაერთიანებლად და მათთვის კრედიტების მისაწოდებლად, აგრონომიული დახმარების გასაწევად კოოპერაციაში გაერთიანებული მეცხვარეებისათვის და პირველ რიგში მეცხვარეობის კოლექტივებისათვის და აგრეთვე კოოპერატიულად გაერთიანებული მოსახლეობის კულტურულ-განმანათლებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

2. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა მატყლის დამზადების გეგმა სავსებით იქნეს შესრულებული და რათა მოისპოს ის მოვლენა, რომ მატყლის სასაქონლო ნაწილს გარეშენი ხელთ ვერ იგდებდენ.

3. რადგანაც მეცხვარეობის ამხანაგობათა მომარაგებითი მუშაობა სუსტია იმის გამო, რომ ცენტრის მიერ მათი მომარაგება საკმარისი არ არის და რადგანაც ქვედა ორგანიზაციებს შორის სამომარაგებლო საქონლის განაწილება არ არის თანაბარი დამზადების გეგმასთან შედარებით— წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მაქსიმალურად და დამზადების გეგმის შესაბამისად, გააძლიერონ მესაქონლეობის ამხანაგობათა მომარაგება ყოველგვარი საქონლით, რაც საჭიროა მეცხვარეობის წარმატებით განვითარებისათვის.

4. რადგანაც მესაქონლეობის ამხანაგობებს მოსაწოდებელ საქონელზე ძალიან დიდი წანამატი აქვთ და არ არსებობს ამ წანამატის განსაზღვრული ნორმა, წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, გამოიმუშაონ წანამატების ნორმები და მტკიცედ ადევნონ თვალყური მათ ცხოვრებაში გატარებას.

5. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მიიღოს ზომები, რათა მესაქონლეობის ქვედა ორგანიზაციებში მოხდეს სამმართველო და სავაჭრო-საორგანიზაციო ხარჯების შემდგომი შემცირება.

6. რადგანაც მეცხვარეობის ამხანაგობანი უკანასკნელ დრომდე ვერ აწარმოებენ გეგმიან მუშაობას მეცხვარეობის პროდუქციის (ყველის, საკლავი საქონელი და სხვ.) დამზადების დარგში, გარდა მატყლის დამზადებისა,— წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას უახლოეს დროში მიაქციოს ყურადღება მუშაობის გაძლიერებას ამ მიმართულებით.

7. დაევალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სამრეწველო მეცხვარეობის რაიონებში დააწესონ მჭიდრო კავშირი მეცხვარეობის ორგანიზაციებთან და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ ცენტრის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

დ. მეცხვარეობის პროდუქციის კონცენტრაციის დარგში

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა 1929—30 წლიდან საქართველოში დაიწყოს მატყლის წლიური პროდუქციის (გაზაფხულისა და შემოდგომის ნაპარსი) კონტრაქტაციის გატარება.

2. მეცხვარეობის 1929—30 წ. პროდუქციის დამზადება უმთავრესად ჩატარებულ უნდა იქნას ჯგუფური კონტრაქტაციის გზით, სასოფლო-ამხანაგობებისა, ბინებისა და სხვ. შემწეობით.

3. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი მეცხვარეობის კოლმეურნეობათა პროდუქციის მრავალწლიანი კონტრაქტაცია, რის გამოც წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს დაამუშაოს და გაატაროს სათანადო ორგანიზაციებში მრავალწლიან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების მხარეების ურთიერთ დამოკიდებულების წესი და პრაქტიკული ფორმები.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში ორმხრივ ვალდებულებათა შეტანა, რაც არსებითად შემდეგში უნდა გამოიხატოს:

ა) იმ მეურნეობისა, ან მეურნეობათა ჯგუფისათვის, რომლის კონტრაქტაციაც ხდება—ვალდებულება, რომ იგი განახორციელებს საწარმოო ღონისძიებებს (ცხვრების კვება, შესრულება, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მინიმუმისა, რის განხორციელებაც შესაძლებელია ამა თუ იმ რაიონის პირობებში), ჩააბარებს განსაზღვრული რაოდენობის მატყლს განსაზღვრულ ვადაზე და სხვ.

ბ) იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც კონტრაქტაციას სდებს—ვალდებულება, რომ იგი მიაწოდებს მეურნეობას თუ მეურნეობათა ჯგუფს სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების საქონელს და საჭირო მასალას და გაუწევს მას ზოოტექნიკურ მომსახურეობას და ვეტერინალურ დახმარებას.

5. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ ჯგუფურ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების საკითხები აუცილებლად ისმებოდეს ღარიბ და საშუალო მეცხვარეთა კრებებზე; ამასთანავე ღარიბ და საშუალო მეცხვარეთა უმრავლესობის დადგენილება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესასრულებლად კონკრეტულ ვალდებულებათა აღების შესახებ, სავალდებულო უნდა იყოს ამა თუ იმ საწარმოო შენაერთის ყველა წევრისათვის.

6. საჭიროდ იქნას ცნობილი, რათა მეცხვარეებისათვის მატყლის კონტრაქტაციის საფუძველზე ავანსის მიცემა,—როგორც ფულად, ისე ნატურით, სწარმოებდეს ხელშეკრულებითი კამპანიის დაწყებასთან ერთად.

7. მიღებულ იქნეს ზომები ფულადი ავანსის გაცემის მაქსიმალურად შემცირებისათვის იმით, რომ ეს უკანასკნელი შეცვლილ იქნეს მეცხვარეების ორგანიზაციულმა მომარაგებამ საქონლით, მედიკამენტებით, სამრეწველო და სასურსათო საქონლით და აგრეთვე მათთვის სისტემატიური აგროდახმარების გაწევამ.

8. კულაკურ მეურნეობებს, რომელნიც ჯგუფურ ხელშეკრულებათა დადების წესით ჩაბმულ იქნებიან კონტრაქტაციაში (სასოფლო-ამხანაგოია, ბინები და სხვა) არ მიეცემათ არც ფულადი და არც ნატურალური ავანსი.

9. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1929-30 წლიდან განხორციელდეს სისტემატიურად პრემიების მიცემა ჩაბარებული მატყლის სიწმინდისათვის, მატყლის ისეთი რაოდენობით ჩაბარებისათვის, რაც აღემატება მეურნეობათა ამა თუ იმ ჯგუფებისათვის დაწესებულ ნორმას ერთი სული ცხვრის მატყლის ჩასაბარებლად და მატყლის ვადამდე (საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადასთან შედარებით) ჩაბარებისათვის.

10. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიიღოს ზომები მეცხვარეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების გასაფართოებლად, როგორც ნომენკლატურის მხრივ (შეიტანოს ნომენკლატურაში შალი, ფართალი, ჩაი, შაქარი, ბრეზენტი და ქალამანი), ისე მომარაგების რაოდენობის მხრივაც, რისთვისაც ეს უკანასკნელი 1929-30 წელს უნდა აიყვანოს დაკონტრაქტებული მატყლის 50%-მდე მაინც და უნდა დააწესოს ნორმების სათანადო დიფერენციაცია სოციალური ნიშნის მიხედვით.

11. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ მეცხვარეთა მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით ტარდებოდეს.

12. რადგანაც ამჟამად ტარდება მესაქონლეობის კოოპერაციის რეორგანიზაცია და რადგანაც წარსულში სამომხმარებლო კოოპერაციის მატყლის დამზადების საქმეში ჩაბმას ცდამ დადებითი შედეგი ვერ მოგვცა, ამიტომ იმ მიზნით, რათა სხვა დამამზადებელთა ჩაბმამ ამ საქმეში არ ჩაშალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ მატყლის დამამზადებელ ერთად-ერთ ორგანიზაციად საქართველოში დარჩეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

სამომხმარებლო კოოპერაციას, ისე როგორც შინამრეწველთა კოოპერაციას მატყლის დამზადების შესაძლებლობა უნდა მიეცეს მხოლოდ არასამრეწველო მეცხვარეობის რაიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დამზადებას არ აწარმოებს. აღიძრას შუამდგომლობა სათანადო უმაღლესი ორგანოების წინაშე, რათა საქართველოს მიმართ გაუქმებული იქნეს მომქმედი დადგენილება მატყლის დამზადების საქმეში სამომხმარებლო კოოპერაციის დაშვების შესახებ.

13. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ მატყლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც მრეწველობას უნდა ჩაბარდეს.

ე. საგადასახადო დაბეგვრის დარგში

1. ვინაიდან საქართველოს პირობებში მეცხვარეობის დასაბეგრად დაწესებული ნორმა ერთი სული ცხვრის პირობითი წმინდა შემოსავლისა 2 მ. 50 კაპიკის რაოდენობით გადამეტებულია, აღიძრას კავშირის უმაღლესი ორგანოების წინაშე (ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მეშვეობით) საკითხი აღნიშნული ნორმის შემცირების შესახებ 1 მ. 50 კაპეიკამდე. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეისწავლოს საკითხი მეცხვარეობის მეურნეობათა პირობითი წმინდა შემოსავლის ნორმების დიფერენციაციის შესაძლებლობის შესახებ სოციალური ნიშნის მიხედვით.

2. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოიმუშაოს მეცხვარეობაში დაქირავებული შრომის უკიდურესი ნორმები, რომლის დროსაც იგი არ შეიძლება დაიბეგროს ინდივიდუალური წესით.

3. იმ მიზნით, რათა მომავალში აღკვეთილ იქნეს დამახინჯებანი თვითდაბეგვრის საქმეში საერთოდ, და, კერძოთ, მეცხვარეობის თვითდაბეგვრის საქმეში,—წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს მტკიცედ ადევნოს თვალყური იმას, რომ თვითდაბეგვრის რაოდენობა კანონით დაწესებულ ნორმებს არ აღემატებოდეს.

4. წინადადება მიეცეს მიწსახკომს მიმდინარე წლისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა საბოლოოდ გამორკვევის შემდეგ წარმოადგინოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ამ რეზოლუციაში აღნიშნულ ყველა იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც მიწსახკომს შეეხება.

5. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას ორი თვის შემდეგ შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მიგრელიშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 298.

რადიო-გადაცემა

საკავშირო რადიო-გამოძახება

დღეს, 27 დეკემბერს, 8-დან 9 საათამდე (მოსკოვის დროით) მთელს კავშირში ჩატარდება რადიო-გამოძახება და სოფლის რადიო-გადაცემის და რადიოფიკაციის წარმოების დათვალიერება. გადაცემა იწარმოებს შემდეგი გეგმით:

8-დან 8 ს. და 10 წუთამდე—ამხ. ფრანცის მოხსენება სოფლის რადიოფიკაციის შესახებ. 2) მუსიკალური შესვენება—2 წუთი, 3) 8 ს. და 12 წუთიდან—8 ს. 17 წ-დე—გამოძახებაში მონაწილეობას იღებს თბილისი, 4) მუსიკალური შესვენება ერთი წუთი. 8 ს. 18 წ.—8 ს. 28 წ.—ამხ. იდროვის მოხსენება—სოფლისათვის რადიო-გადაცემების შესახებ, 6)—მუსიკალური შესვენება ერთი წუთი, 7) 8 ს. 20 წუთზე—8 ს. 34 წუთ.—მონაწილეობას ღებულობს როსტოვ-დონი, 8) მუსიკალური შესვენება ერთი წუთი, 9) 8 საათზე 35 წუთზე—8 ს. 40 წ.—მონაწილეობას ღებულობს ხარკოვი, 10) მუსიკალური შესვენება ერთი წუთი; 11) 8 ს. 41 წ.—8 ს. 51 წ.—ამხ. მალიაროვის მოხსენება მოსკოვის რადიო-ცენტრის განყოფილების სოფლად მუშაობის შესახებ, 12) მუსიკალური შესვენება 1 წუთი, 13) 8 ს. 52 წ.—8 ს. 57 წ. მონაწილეობას ღებულობს ვორონეჟი, 14) 8 ს. 57 წ.—9 ს. 1-ე—საბოლოო სიტყვა და მუსიკალური ნაწილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ერთიან პარტიულ დღეს, პარასკევს, 27 დეკემბერს, რაიონში შემავალ პარტუჯრედების სხდომაზე უნდა დამუშავდეს შემდეგი საკითხები: 1) საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დირექტივები და ა.-კ. საოლქო კომიტეტის ნოემბრის პლენუმი ა.-კ. საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ; 2) საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დირექტივები და ა.-კ. საოლქო კომიტეტის ნოემბრის პლენუმი—საოლქო კომიტეტის შემდგომ მუშაობის შესახებ დამუშავებული უნდა იქნას კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებულ ღია კრებებზე შემდეგ უჯრედებში: ზაჰესის უჯრედში მომხ. ხადარაია (ა.-კ. პოლიტსამმართველო), მიწსახკომი—ს. ბახტაძე (საქ. კ.პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი), აგურის ქარხნები—პოლოსოვი (გაზეთ „პროლეტარი“-ს რედაქცია), გლეხთა სახლი—სიხარულიძე (გაზ. „მუშა“-ს რედაქცია), „ზაკსოიუზი“—კურსელი („ზაკსოიუზი“), სატყეო ტრესტი—იორამაშვილი (სატყეო ტრესტი), აბრეშუმის ტრესტი—ვ. ქურდაძე (სოფლის კავშირი).

ა.-კ. და საქ. პოლიტსამმართველოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტსამმართველოს მე-8 პოლკის, იუსტიციის სახ. კომისარიატის, ა.-კ. მუშგლეხინის, საქ. სახდაზღვევის, გზათა სახ. კომისარიატის სამმართველოს, ა.-კ. სახდაზღვევის უჯრედები აღნიშნულ საკითხებზე მომხსენებლებს გამოყოფენ ადგილობრივ.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგებს—სახ. მეურნეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებზე და კადრების მომზადების შესახებ დაამუშავებენ კომპარტიის და კომკავშირის გაერთიანებულ შემდეგ უჯრედების სხდომებზე:

მესამე სტამბა—მომხ. ამხ. მანჯგალაძე (მესამე სტამბა), პირველი სტამბა—მიროტაძე (ა.-კ. საოლქო კომიტეტი), მეორე სტამბა—ლაქტიონოვი (სახ. ბანკი), „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა—პანჩინსკი (ა.-კ. საოლქო კომიტეტი). პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია—ალნიაშვილი (ლიტოგრაფია), კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სტამბის განყოფილება—ოსიპოვი (თბ. საოლქო კომიტეტი), პოლიგრაფსკოლა—კობახიძე (საქ. მუშგლეხინი), კავკ. წით. დრ. არმიის ტიპოლიტოგრაფია—დოიჯაშვილი (საქ. მუშგლეხინი), თემქა—ლისოვსკი (ა.-კ. კომ. უნივერსიტეტი), ცეცხლის მქრობელთა რაზმი—კამალოვა (ა.-კ. საკონტრ. კომისია), ა.-კ. სამხედრო მომხ. საზოგადოება—გიკი (ა.-კ. სამ. მომხ. საზ-ბა), კავშირ-გამშუღლობის ა.-კ. საოლქო სამმართველო—ყამარაული (იქიდანვე), ცენტრალური პარტიული სკოლა—ხაჭაპურიძე (ა.-კ. კომ. უნივერსიტეტი), აბრეშუმის საქსოვი ქარხანა—ილ. მაჟულია, სახელმწიფო ოპერის თეატრი და რუსთაველის თეატრის უჯრედები ერთად (ოპერის თეატრის შენობაში)—კვიცარიძე (სახ. უნივერსიტეტი), გემო-კვება—ხომერიკი, (ა.-კ. საოლქო კომიტეტი), თბილისის აღმასკომი—ერქომაიშვილი (სახ. უნივ.), სამხატვრო აკადემია—მეგრელიძე (განსახკომი), ქართული მუშფაკი—დ. კანდელაკი (განსახკომი), ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო—ვეინგერი (ა.-კ სახ. საგეგმო კომისია), ა.-კ. სახ. დაზღვევა—სტეფანოვი, ტელეფონი და ტელეგრაფი—ს. ჯაფარიძე, თბ. მუშათა თეატრი—ხუციევი (ა.-კ. პროფსაბჭო), რეზინოტრესტი და ჯგუფკომი № 1 (ჯგუფკომ № 3 ბინაზე, კეცხ. ქუჩა № 4)—ზელენკი (ა.-კ. საოლქო კომიტეტი), გემო-კვება—ტყაბლაძე (საოლქო კომიტეტი), სოფლის საკრედ. ამხანაგობის მოწყობთა კურსები—ჩხარტიშვილი (განსახკომი), ლილების ფაბრიკა—მესროპოვი (საქ. ცაკი), ლუდის ქარხანა—ბუაჩიძე ანდრო (სახ. უნ-ტი), მთ. საავადმყოფო—ფრანგულიანი (განსახკომი), საქ. ღვინო—კაჭახიძე (ქართ. მუშფაკი), მთავარი ფოსტა—პოპოვა (განსახკომი), რადიო—მნაცაკანოვი (რადიო-ცენტრი), ახალი მშენი—ბუხნიკაშვილი (განსახკომი), სახ. ბანკი—კარკლინი, საქ. ფინსახკომი—ურუშაძე ამხ., ა.-კ. და საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი—გრიგორიანი (ა.-კ. სტატისტიკური სამმართველო), თბ. ჯანმრთელობის განყოფილება—პეტერსკი (გაზ. „რაბ. პრავდა“), რკ. გზის ფოსტ—გაჩეჩილაძე (განსახკომი), სახლის მუშები—ხოჯაძერიანი (ა.-კ. საკონტრ. კომისია), თელასი—თარხანოვი, სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატი—დარახველიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები შემდეგ საკითხებზე: კოლმეურნეობათა მშენებლობის ამოცანები და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილება საკავშირო მიწსახკომის დაარსების შესახებ დამუშავებული უნდა იქნეს კომპარტიის და კომკავშირის შემდეგ უჯრედების სხდომებზე:

მეექვსე სტამბა—ცეფი (გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია), ავეჯეულობის ქარხანა—ა. ელსხი (საქ. ფინსახკომი), მეხუთე სტამბა—გრიგორიანი (გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქცია), ზაკავტოპრომტორგი—მამულია (საქ. კ.პ. (ბ) ცეკა), ცეკავშირი—მარიამ ორახელაშვილი (განსახკომი), სახელგამი—ვ. კანდელაკი (სას.-სამ. ინსტიტუტი), სახმედვაჭრობა—ჩინჩალაძე (ა.-კ. რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილება), გინეკოლოგიური ინსტიტუტი—სულუხია (სახ. უნ-ტი), მუშათა სასახლე—მარკმანი (პროფსაბჭო).

განსახკომის, ა.-კ. ფინსახკომის, საქ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს, სოფლის კავშირის და მუშკოოპის უჯრედები აღნიშნულ საკითხებზე მომხსენებლებს გამოყოფენ თვითონ.

—:—

პარასკევს, 27 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას შენობაში ამხ. ხვანიძის კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლათ და დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ამხ. ლიაზნაევსკაია (ა.-კ. პროფსაბჭო), ნუცუბიძე (მუშკოპი), გაჩეჩილაძე (განათლების კომისარიატი), მნაცაკანოვი (მუშკოოპი), ჯინჭარაძე (სახელმწ. უნივერსიტეტი), მ. სარქისოვი (26 კომ. რ.), ქურდოვანიძე (რკ. გზელთა საუბნო კომიტეტი), ინაშვილი, მინასიანი, პეპიკო კალანდაძე (საქ. სადგ., უჯრ. მდივანი), შალვა გოცირიძე (საგალეტო ფაბრიკის უჯრედის თავმჯდომარე), დიმიტრი შახნაზაროვი (მე-3 ჯგუფკომის თავმჯდომარე), სტეფანე ბერძენიშვილი (მე-4 სტამბის ადგილკომის თავმჯდომარე), ვლადიმერ მეგრელიძე (მე-4 სტამბის ადგილკ. ნიკოლოზ ოგანოვი (ფიოფიცარის ფაბრიკის დირექტორი, კავშირის ყოფ. მდივანი), იოსებ გვარამაშვილი (ავეჯეულობის ფაბრიკის დირექტორი, ხეზე მომუშავეთა კავშ. ც. გამგეობის წევრი), ბუაძე (26 კომუნ. სახ. ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარე), ონისიმე არალოვი (საქ. მ. და გლ. ინსპექცია), კახიანი (მიწსახკომის ადგილკომის თავმჯდომარე).

—:—

შაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე ცენტრალური პარტიული სკოლის შენობაში შესდგება კომკავშირელების საღამოს უნივერსიტეტის მიმღები კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ ყველა ის ამხანაგები, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს საღამოს კომკავშ. უნივერსიტეტში მიღების შესახებ.

—:—

დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათისათვის მე-84 შრომის სკოლის შენობაში (ავლაბრის ქ. № 34) მოწვეულია 26 კომუნართა რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის ღია სხდომა.

კრებაზე მოწვეული არიან კომკავშირელი და უპარტიო მასწავლებლებიც.

—:—

ს. ს. პ. ი. სამშენებლო ფაკულტეტის კ.პ. (ბ) უჯრედის კრება კომკავშირელებთან ერთად შესდგება 27 დეკ. საღამოს 6 საათზე.

დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რკინის გზის მე-8-ე შრომის სკოლის შენობაში შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა ს. კ. პ. (ბ) უჯრედის წევრთა ღია კრება.

დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება ოდონტოლოგიური ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. პ. ი. ელექტრო-მექანიკურ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის და ა. ლ. კ. კ. უჯრედების გაერთიანებული დახურული კრება შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველ რევოლუციონერ-ბოლშევიკის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 25 ნაშუადღევის 2 საათზე მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მედგარი რევოლუციონერი და ძველი ბოლშევიკი ს. ს. ცაკის წევრი

მიხა ჩოდრიშვილი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აუწყებს საზოგადოებას ძველი ბოლშევიკის, მედგარი რევოლუციონერის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული ქალაქის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველ ბოლშევიკ-რევოლუციონერის, ქალაქის რაიონის ორგანიზაციის უძველესი და აქტიური წევრის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

ძველი ბოლშევიკები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, შალვა ელიავა, ს. თოდრია, მ. ფილია, კ. ხომერიკი, დ. ნასარიძე, ა. დოლიძე, ვ. ბოლქვაძე, ვ. სტურუა, გ. სტურუა, ლ. სუხიშვილი, მ. ტოროშელიძე, თ. დოლიძე, მ. კვარაცხელია, ს. მეგრელიშვილი, გ. ჩხეიძე, ვ. იტრიევი, ვ. გოგიბერიძე, თ. ჟღენტი, ვ. ვაშაკიძე, ნ. კიკნაძე, ან. ფირცხალავა, გ. რთველაძე, ტ. მგალობლიშვილი, გერ. მგალობლიშვილი, გ. ვაშაძე, ა. ვაშაძე, ს. ჯუღელი, შამშე ლეჟავა, გრიგოლ მგალობლიშვილი და კ. მოდებაძე ღრმა მწუხარებით აცხადებენ, რომ გარდაიცვალა თანამებრძოლი ძველი ბოლშევიკი-რევოლუციონერი

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

ევდოკია ანტონის ასული ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და მეგობარ ნაცნობებს ძველი ბოლშევიკის, ძვირფასი ქმრის

მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 26 დეკემბერს.

ღრმად დამწუხრებული სანდრო, მეუღლე სოფიო, შვილები: თამრო, ვასო, ლადო და სიძე მიშა ჯოვანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის და ბიძის

მიხა იოსების ძე ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული ძმა ვასო, შვილებით სოსო, ნინა და მანია, რძალი მარო და შვილისშვილები ნათელა თამარა, შოთა და ბიჭიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი ძმის, ბიძის და პაპის

მიხა იოსების ძე ჩოდრიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

მ. ბოჭორიძე, ბ. ბოჭორიძე, ბ. [illegible], გ. ელისაბედაშვილი, ვ. ქურდაძე, გვარამია, პ. ცინცაძე, ი. ხიორაძე, ს. მამულია, დ. აფციაური, ი. ჯორბენაძე, ნიჟარაძე, ა. გეორგაძე და მ. ბაქრაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძველ ბოლშევიკ-რევოლიუციონერის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

მიხა ორმოცაძე უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის და დაუვიწყარი მეგობრის

მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალების გამო. 5002

მეუღლე თიკო, შვილებ: შოთა და ზინა, ძმა ვასო ჯანაშვილი თავისი მეუღლით სოფიოთი და შვილებით ვერა და ნინათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

დიმიტრი ივანეს ძე ჯანაშვილი

დაკრძალულ იქნება სოფ. ვაქირში (კახეთის ოლქში) შაბათს, 28 დეკემბერს.

ღრმათ დამწუხრებულნი: მამა ალექსანდრე, დებ: თალიკო, ირა და, ვალენტინა, სიძეებით, ძმები: ძამია და პახუნი, მამიდა [illegible] და ბიძა ბემამეჯოვი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

დონიკა ალექსანდრე გველესიანის ასულის

უდროოდ გარდაცვალებას. 5[illegible]6

დამწუხრებული მშობლები მარგალიტა და პლატონი, დები: ანიჩკა და აგრაფინა; ძმები: გალაქტიონი, შალიკო და ვლადიმერი; სიძე ანტოშა პაჭკორია. რძალი ტალია და დისშვილი კუკური აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

ვენედიქტე პლატონის-ძე ხახუბია

დაკრძალვა კვირას, 29 დეკემბერს, ქ. ფოთში. 5001

მეუღლე აპოლონი (ძიშა) ჯაფარიძე, შვილები: ვალიკო, მარო და აპალონა, დები: ანა, ნინო, ვარო, ლიზა და ოლია ქმარ-შვილით, მაზლი ნიკო ჯაფარიძე და რძალი სონა ჯაფარიძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეზობლებს და მეგობრებს, რომ უდროოდ და უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ აბრამის ასული ჯაფარიძისა

დაკრძალვა მოხდება ავლაბრის სასაფლაოზე (რკინის გზ. გადაღმა) შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდები საკუთარ ბინაზე აოგუთის ქუჩა № 22. [illegible] დღეს, საღ. 6 საათზე. (3—1)

მიიღება ხელის მოწერა „კომუნისტი“ 1930 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.—კ.	6 თვით	6 მან.—კ.
3 „	3 „ —„	ერთი წლით	12 „ —„

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მან. 30 კ.	6 „	7 მან. 80 კ.
3 „	3 „ 90 „	ერთი წლით	15 „ 60 „

საზღვარ-გარეთ

1 თვით.	3 მან.
3 „	9 მან.
6 „	18 მან.
1 წლით	36 მან.

ხელისმოწერა მიიღება 29 დეკემბრამდე.

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0 6

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—94.

პარასკევი, 27 დეკემბერი

დიდი სასპორტო წარმოდგენა

1) მხტომელთა კონკურსი საუკეთესო მხტომელის სახელწოდების მისაღებად. 2) გადახტომა ცხენებისა და აქლემების ჯგუფებზე, მონაწილეობს 20-მდე მხტომელი. 3) მთელ საღამოს ცირკის ასპარეზზეა

ჩარლი ჩაპლინი

კვირას, 29 დეკემბერს, წარმოდგენა დღისით მთელი დასის მონაწილეობით. დასაწყისი დღის 2 საათზე. სეზონურ ბილეთებსა და კონტრამარკებს შაბათობით და კვირაობით ძალა არა აქვს.

დირექცია.

3-ჯ 6.3604

[illegible] გამგზავრების გამო

საჩქაროდ იყიდება საბინაო ნივთები

გოგოლის ქ. № 47.

ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე და 3 საათ. საღ. 10 ს.

3—2 4874

საქ. ფინსახკომის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ა. წ. 29 დეკემბერს დილით 10 საათზე, ხაზინის ქ. № 3 (ყ. ხაზინის შენობაში) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი [illegible] ასანაზღაურებლად გაიყიდება პიანინოები, შიფონერკები, ბუფეტის შკაფები, პირსაბანები და სხვა ოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე. მსურველებს შეუძლიათ წინასწარ დაათვალიერონ ნივთები. 6 3 09

ქუთ. I უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

აცხადებს, რომ გოგებაშვილის ქუჩაზე, 30 დეკემბერს, დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისხაკ არონის ძე ფიჩხაძის მოძრავ ქონებას, როიალს, ბუფეტის შკაფს და სხვ. შეფასებულს 846 მ. ნ. [illegible] და სხვ. დასაკმაყოფილებლათ საჯარო ვაჭრობა არის მეორე და ასეთი დაიწყება შეფასებითი თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც პირველათ იქნება შემოძლეული ნ. 5014

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პროსპ. № 10 — სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას ([illegible]). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცები და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—1

ი. პ. მჭედლიშვილი შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ ღებულობს 5—7 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ელსმენი № 15—02. 25—1

ი. გაგიჩვაძე ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

ი. ი. ზერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე მესავალი, სასტუმრო „ევროპას“ ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასეუის ქ. (ყოფ. კრასოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათების ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველ ვარ დეფექტებს. იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან. 25—21

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით 7—ს. საღამოს—6—ს საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6: საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 552

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13—6

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი [illegible]), ფსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად.

— პროფკავშირის წიგნაკი № 4071 გალაქტიონ ივანიძეს სახელზე. 5006
— მეტრიკული ამონაწერი თენგიზ ალექსანდრეს-ძე დემეტრაშვილის სახელზე. 5003
— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1101, პროფკავშირის წიგნაკი № 25329, კონსტანტინე ნესტორის-ძე პეტრიაშვილის სახელზე 5004
— საპენსიო წიგნაკი № 256 ვლადიმერ დავითის-ძე აბულაძეს სახ. 5007
— პურის წიგნაკი, გაცემული ზესტაფონის 10 წლედის მიერ, ვლადიმერ აბულაძის სახელზე. 5008
— პირადობის მოწმობა № 734, აღრიცხვის წიგნაკი № 477—ალექსანდრე თირანის-ძე გაგანიძეს სახელზე. 5009
— კოოპერატიული წიგნაკი № 1189 ლეონიდე გრიგორის-ძე ბოხუას სახელზე. 5010
— პურის წიგნაკი 1 82—გრიგოლ მიხეილის-ძე ჩიქოვანის სახ. 5011
— კავშირის წიგნაკი № 34191—ფილარეტ გორგობიანის სახელზე. 5012
— პირად. მოწმობა № 24 არონ იოსების-ძე ბინოშვილის სახელზე 5013
— რკ. გზ. ს მგზავრო (ერთდროული) ბილეთი ალექსანდრე ხოსროევის სახელზე. 5015

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

პარასკევი, 27 დეკემბერი, მე-3 აბონემ. მე-5 წარმ. დამს. არტ. კ. მ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **აიდა**

შაბათი, 28 დეკემბ. მე-12 აბონემ. მე-2 წარმ. ალ. პიროგოვის მონაწ. **ტრილბი**

ყველა საბონემ. წარმოდგენაზე ბილეთების ნაწ. დატოვებულია ხელზე გასასყიდად. ტალონებით ბილეთები გაიცემა დღის 2 საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე.

ნ. 3608

აპოლო	მხატვრული ფილმი **2 ქალი** იაკოვლევას და სოლნცევას მონაწილეობით
სოლეი	**ჟენი პორტენი** ახალ მხატვრულ სურათში
პალასი	**მარტინ ფალკჰაგენი** (6 წლის შემდეგ საპყრობილედან)
არფასტო	**მულენ-რუჟ** პიერ ბენუას რომან „ალბერტინა“-ს მიხედვით
მინიონი	ჟენი იუგო და ვერნერ კრაუსი სურათში **მინისტრის ცოლი**
დარიალი	საუკეთესო ფილმი **ცეცხლის კაცი** ძმ. ლავროვების გასტროლები, ახალი პროგრამა

მალე: „ძველი და ახალი“ 0 23

მალე

კინო **სოლეიში**

მხატვრული ფილმი

კაცი პანოპეიკუმიდან

რუსთაველის თეატრი

1 იანვრისათვის 1930 წლ. უნდა იყოს დაფარული აბონემენტების ყველა სერიის **მე-5 შემოსატანი**

დაუფარავი აბონემენტების ადგილები 1 იანვრიდან გაიყიდება თეატრის სალაროში. თეატრის დირექცია. 5—2

ხელისმოწერას გაზ. „კომუნისტზე“ აწარმოებს

1) სამტრედიაში და მის რაიონში—ლ. გოგელია
2) საჩუდში—ს. ქავთარაძე
3) მოძრაობის დარგში მ. წულაია
4) დიდ-ჯიხაიშში—გ. ბიბილეიშვილი
5) საჭილაოში—ქარხნის სამკითხველო.

0—1 კომუნისტის მთავარი კანტორა.

ტირაჟი—43.020 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩ. № 68. მთავლიტი № 904